


მიხეილ ოქროსაშვილი

## გასაღათმცოდნეობა



„ტექნიკური უნივერსიტეტი“

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

მიწები თქოსაშვილი

მასალათმცოდნეობა

ლექციების კურსი

სასურსათო პროდუქტების წარმოების ინჟინერიის  
სტუდენტებისათვის



თბილისი  
2018

სალექციო კურსში განხილულია ტექნიკაში გამოყენებული შავი და ფერადი ლი-  
თონების, არალითონური, მათ შორის პოლიმერული საკონსტრუქციო მასალების აგე-  
ბულება, თვისებები, გამოყენების სფეროები და ნაკეთობის თვისებათა სასურველი მი-  
მართულებით შეცვლის ხერხები და საშუალებები. ყურადღება გამახვილებულია სა-  
სურსათო და გადასამუშავებელ წარმოებაში გამოყენებული როგორც ლითონური, ისე  
პოლიმერული მასალებისადმი წაყენებულ სანიტარულ-ჰიგიენურ მოთხოვნებზე, ტარა-  
სა და საფუთავ მასალებზე სასურსათო მრეწველობის სხვადასხვა სფეროში.

სალექციო კურსი განკუთვნილია სასურსათო პროდუქტების წარმოების ინჟინე-  
რის ბაკალავრიატის სტუდენტებისათვის.

**რეცენზენტები:** ნ. ლოლაძე, სტუ-ის მეტალურგიის, მასალათმცოდნეობისა და  
ლითონების დამუშავების დეპარტამენტის პროფესორი

რ. ხუციშვილი, სტუ-ის ქიმიური და ბიოლოგიური  
ტექნოლოგიების დეპარტამენტის პროფესორი

## შ ე ს ა ვ ა ლ ი

მანქანათა ნაწილების, ხელსაწყოებისა და კონსტრუქციების, ქიმიურ და სასურსათო წარმოებაში გამოყენებული აპარატურის და მათი კონსტრუქციების დასამზადებლად ტექნიკა სრულიად განსხვავებული თვისებების მქონე მასალების გამოყენებას მოითხოვს. ზოგადი მანქანათმშენებლობისა და ხელსაწყოთმშენებლობისათვის უმთავრესია სალი და რბილი, მაგნიტური და არამაგნიტური, კარგი ელექტროგამტარი და მაღალი ელექტრული წინადობის მასალები; ზემაღალი ტემპერატურისა და წნევის პირობებში მდგრადი მასალები საჭიროა გაზის ტურბინების, ალმასის სინთეზის აპარატურისა და ტექნიკის სხვა დარგებისთვისაც. მედიცინა კი სრულიად განსხვავებული თვისებების მასალებს მოითხოვს. გარდა სიმტკიცისა, ისინი უნდა ხასიათდებოდეს მდგრადობით ცოცხალი ორგანიზმის ქიმიური ნივთიერებების ზემოქმედების მიმართ და შეთავსებადობით, ანუ ქსოვილთან შეზრდის უნარით.

სასურსათო წარმოების ტექნოლოგია არსებითად განსხვავდება მრეწველობის სხვა დარგების ტექნოლოგიური პროცესებისაგან. მისი უმთავრესი მოთხოვნაა აპარატურის კვანძების, საფუთავი თუ ნედლეულის, ნახევარფაბრიკატისა და მზა პროდუქტის ტრანსპორტირებისათვის განკუთვნილი მოწყობილობის კვანძების დასამზადებლად ისეთი მასალების გამოყენება, რომელიც სურსათის უგნებლობას და მისი შენახვისა და ტრანსპორტირების პირობებს უზრუნველყოფს.

პრაქტიკული მიზნებისათვის ლითონების, შენადნობებისა და არალითონური საკონსტრუქციო მასალების სწორად შერჩევისათვის აუცილებელია მათ მიმართ წაყენებული თვისებების უზრუნველყოფის გზებისა და ხერხების ცოდნა. ნაკეთობის საექსპლუატაციო თვისებებს კი გამოყენებული მასალის შედგენილობა, აგებულება და დამუშავების ხერხი განსაზღვრავს. აქედან გამომდინარე, მასალათმცოდნეობის, როგორც გამოყენებითი მეცნიერების ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანაა ლითონებისა და შენადნობების სტრუქტურის შესწავლა და დამუშავების სხვადასხვა ხერხის ზემოქმედებით, სტრუქტურის ტრანსფორმაციის გზით, თვისებათა სასურველი კომპლექსის უზრუნველყოფა და გამოყენების სფეროების განსაზღვრა.

## ლითონის პრისტალური აბებულება

### 1.1. ლითონების კლასიზიკია

„ლითონი არის დია ფერის სხეული, რომლის ჭედვა შეიძლება“ – წერდა ლომონოსოვი დაახლოებით 200 წლის წინ. იმ დროისათვის სავსებით მისაღები ეს განმარტება დღეს აღარ გვაქმაყოფილებს, რადგან ლომონოსოვის დროს ჩამონათვალში ლითონების მცირე რაოდენობა შედიოდა (ოქრო, ვერცხლი, სპილენძი, კალა, თუთია და რკინა) და მათი მრავალი თვისება ჯერ კიდევ ცნობილი არ იყო.

ლითონის ძირითადი გარეგნული ნიშანი მისი პზინგარებაა, რაც განპირობებულია დიდი არეკვლის უნარით. ლითონისათვის დამახასიათებელია მაღალი სიმტკიცე, პლასტიკურობა, ელექტრო და თბოგამტარობა.

ლითონებს მიეკუთვნება ელემენტების გარკვეული ჯგუფი, რომელიც მენდელევის პერიოდული სისტემის მარცხენა ნაწილშია განლაგებული. გარუ ელექტრონულ გარსზე მათ 1-2 ელექტრონი გააჩნიათ, არალითონებს კი – 5-6. ქიმიურ რეაქციებში ლითონები გასცემს სავალენტო ელექტრონებს და დადებით იონებად გადაიქცევა.

ლითონური თვისებებით ხასიათდება არა მარტო სუფთა ლითონები, მაგალითად, ალუმინი, სპილენძი, რკინა და ა.შ., არამედ უფრო რთული ნივთიერებებიც, რომელთა შედგენილობაში შეიძლება შედიოდეს არა მარტო რამდენიმე სუფთა ლითონი, არამედ არალითონური ელემენტების მნიშვნელოვანი რაოდენობაც. ასეთ ნივთიერებებს ლითონურ შენადნობებს უწოდებენ.

დ. მენდელეევის პერიოდული სისტემა 80-მდე ლითონური ბუნების ელემენტს ითვლის, მაგრამ მრეწველობისათვის გადამწყვეტ როლს კველა მათგანი არ ასრულებს. ამიტომ ლითონების კლასიფიკაციას, უპირველეს ყოვლისა, ტექნიკისათვის მნიშვნელოვანი თვისებებიდან გამომდინარე აწარმოებენ.

ლითონები ორ დიდ ჯგუფად იყოფა: შავ და ფერად ლითონებად.

შავი ლითონებისათვის დამახასიათებელია რუხი-ნაცრისფერი შეფერილობა, მაღალი სიმკვრივე (გარდა ტუტემიწათა ლითონებისა), დნობის მაღალი ტემპერატურა და შედარებით მაღალი სისალე. ამ ჯგუფის ტიპური წარმომადგენელია რკინა.

ფერადი ლითონები დამახასიათებელი შეფერილობით გამოირჩევა (მოწითალო, ყვითელი, თეთრი) და ხასიათდება მაღალი პლასტიკურობით, შედარებით დაბალი

დნობის ტემპერატურით და სისალით. ამ ჯგუფის ტიპური ლითონია სპილენძი.

ტექნიკაში გამოყენებულ შავ ლითონებს, თავის მხრივ, ყოფენ:

– რკინის ჯგუფის ლითონებად, სადაც რკინასთან ერთად გაერთიანებულია კობალტი, ნიკელი და თვისებებით მათთან ახლოს მდგომი მანგანუმი;

– ძნელდნობად ლითონებად, რომელთა დნობის ტემპერატურა აღემატება რკინის დნობის ტემპერატურას ( $1539^{\circ}\text{C}$ ). მათ რიცხვს მიეკუთვნება ვოლფრამი, რენიუმი, ტანტალი, მოლიბდენი, ნიობიუმი, ჰაფნიუმი, ვანადიუმი, ქრომი და ცირკონიუმი;

– ურანის ჯგუფის ლითონებად – აქტინოდებად, რომლებიც უპირატესად ატომური ენერგეტიკის შენადნობებში გამოიყენება;

– იშვიათ მიწა ლითონებად – ლანთანი, ცერიუმი, ნეოდიუმი, პრაზეოდიუმი და სხვა, რომლებიც გაერთიანებულია სახელწოდებით ლანთანოიდები. ამ ჯგუფს მიაკუთვნებენ აგრეთვე თვისებებით მათთან ახლოს მდგომ იტრიუმსა და სკანდიუმს. იშვიათი მიწა ლითონები გამოიყენება დანამატებად შენადნობებში;

– ტუბე მიწათა ლითონებად, რომლებიც თავისუფალი სახით არ გამოიყენება საგანგებო შემთხვევების გარდა.

ფერად ლითონებში სიმკვრივის მიხედვით ანსხვავებენ:

– მსუბუქ ლითონებს (მაგნიუმი,  $\gamma=1,7 \text{ g/cm}^3$ ; ბერილიუმი,  $\gamma=1,8 \text{ g/cm}^3$ ; ალუმინი,  $\gamma=2,7 \text{ g/cm}^3$ );


– კეთილშობილ ლითონებს, როგორიცაა ოქრო, ვერცხლი და პლატინის ჯგუფის ელემენტები. მათ რიცხვს მიაკუთვნებენ აგრეთვე „ნახევრად კეთილშობილ“ ლითონებს – სპილენძს. კეთილშობილი ლითონები კოროზიისადმი მაღალი მდგრადობით ხასიათდება;

– ადვილდნობად ლითონებს – თუთიას, კალას, ტყვიას, დარიშხანს, ბისმუტს, თალიუმს, ვერცხლისწყალს და შემცირებული ლითონური თვისებების მქონე ელემენტებს – გალიუმსა და გერმანიუმს.

სისუფთავის მიხედვით ლითონებს პირობითად ყოფენ ტექნიკურად სუფთა, ქიმიურად სუფთა და განსაკუთრებული სისუფთავის ლითონებად. თუ ელემენტი ძირითად ლითონს შეიცავს  $99,9\%-ზე$  ნაკლები რაოდენობით (დანარჩენი მინარევებია), იგი ტექნიკურად სუფთაა;  $99,9\%-დან$   $99,99\%-მდე$  – ქიმიურად სუფთა, ხოლო  $99,999\%-ზე$  ზევით – განსაკუთრებული სისუფთავის.

## 12. ლითონის პრისტალური აბებულება

**კრისტალური გისოსის ტიპები ლითონებში.** დადგენილია, რომ ყველა ლითონი კრისტალური აგებულებით ხასიათდება. კრისტალურ ნივთიერებებში, ამორფულისა-გან განსხვავებით, ატომები სივრცეში განლაგებულია არა ნებისმიერად, არამედ მოწერიგებულად, გარკვეული კანონზომიერებით. ასეთი მოწერიგებული, კანონზომიერი განლაგების შედეგად ატომები წარმოქმნის წარმოსახვით სივრცით კრისტალურ გისოსს, რომლის კვანძებში თვითონ არიან განთავსებული. 1.1. სურათზე წარმოდგენილია სივრცითი გისოსის ერთ-ერთი კრისტალოგრაფიული სიბრტყე.



სურ. 1.1. სივრცითი გისოსის კრისტალოგრაფიული სიბრტყე


კრისტალური გისოსი წარმოადგენს რაიმე სწორი გეომეტრიული ნაკვთის მრავალჯერად განმეორებას სივრცეში. გისოსის ელემენტარულ ნაწილაკს, რომელიც მრავალჯერ მეორდება სივრცეში, კრისტალური გისოსის ელემენტარული უჯრედი ეწოდება.

ლითონებში ყველაზე გავრცელებულია სამი სახის კრისტალური გისოსი: სივრცით დაცენტრიზებული კუბი (სურ. 1.2, а), წახნაგდაცენტრიზებული კუბი (ბ) და ჰექსაგონური პრიზმა (გ).


კრისტალური გისოსი, გარდა გეომეტრიული ფორმისა, ხასიათდება პარამეტრებით, ანუ პერიოდებით. პარამეტრი ეწოდება ატომთა შორის მანძილს სამი სხვადასხვა მიმართულებით. იგი აღინიშნება  $a$ ,  $b$  და  $c$  ასოებით და იზომება ანგსტრემებში ( $1 \text{ \AA} = 10^{-8} \text{ სმ}$ ) ან ნანომეტრებში ( $1 \text{ nm} = 10^{-7} \text{ სმ}$ ).

ჰექსაგონურ პრიზმაში თუ შიგა სამი ატომი ეხება ზედა და ქვედა წახნაგების ატომებს, პარამეტრების შეფარდება  $c/a = 1,633$ . ასეთ გისოსს მჭიდრო გისოსი ეწოდება. ზოგიერთი ლითონისათვის დამახასიათებელია ტეტრაგონური გისოსი (სურ. 1.3). იგი იმით განსხვავდება კუბური გისოსისაგან, რომ  $c$  და  $a$  პარამეტრები ერთმანეთისგან განსხვავებულია.  $c/a$  შეფარდება ახასიათებს ეწ. ტეტრაგონურობის ხარისხს.

კრისტალური გისოსის სიმჭიდროვეს ახასიათებს მოცემული ატომიდან ტოლ-და უმოკლეს მანძილზე დაშორებული ატომების რიცხვი, რომელსაც საკოორდინაციო რიცხვი ეწოდება. უბრალო კუბური გისოსისათვის იგი ტოლია 6, სივრცით დაცენტ-



სურ. 12. კრისტალური გისოსის ელემენტარული უჯრედის სქემა.  
 ა - სივრცით დაცენტრებული კუბი; ბ - წახნაგდაცენტრებული  
 კუბი; გ - ჰექსაგონური პრიზმა



სურ. 13. ტეტრაგონური კრისტალური  
 გისოსის სქემა

რებული კუბისათვის – 8 ხოლო წახნაგდა-  
 ცენტრებული კუბისა და მჭიდრო ჰექსაგონუ-  
 რი პრიზმისათვის – 12. კრისტალური გისო-  
 სის შემოკლებული აღნიშვნისათვის სარგებ-  
 ლობენ მისი საკოორდინაციო რიცხვით. ლი-  
 ტერატურაში შემოდებულია ქვემოთ წარმოდ-  
 გენილი ერთ-ერთი სისტემა:

უბრალო კუბური	3	კ 6
კუბური სივრცით დაცენტრებული	სდკ	კ 8
კუბური წახნაგ- დაცენტრებული	წდკ	კ 12
მჭიდრო ჰექსაგო- ნური	ჟმ	კ 12

**ატომთა შორის კავშირი ლითონებში.** კრისტალის აგებულებასა და მის თვისებებს იმ ძალების ბუნება განსაზღვრავს, რომლებიც იონებს, ატომებსა თუ მოლექულებს კრისტალური გისოსის კვანძებში აკავებს. მყარ სხეულებში ნაწილაკებს შორის კავშირი ელექტრული ხასიათისაა, მაგრამ სხვადასხვა კრისტალში სხვადასხვაგვარად მედავნდება.

ლითონებში სავალენტო ელექტრონები სუსტად არის დაკავშირებული ბირთვთან, ამიტომ ისინი ადვილად სცილდებიან საქუთარ ატომს, თავისუფლად მოძრაობები აღნიშნული საერთო ზონის ფარგლებში ატომიდან ატომზე და ყოველი მათგანისათვის საერთო, კოლექტიური ხდებიან. ასეთ თავისუფლად მოძრავ ელექტრონთა ერთობლიობას ელექტრონული სითხე, ან ელექტრონული აირი ეწოდება. ელექტრონები ამჟიდროვებს დადებით იონებს, რომლებიც, თავის მხრივ, ერთმანეთისგან განიზიდება გარკვეულ მანძილზე მათი მიახლოებისას. იონები კანონზომიერად ლაგდებიან სივრცეში ერთმანეთის მიმართ ისე, რომ მიზიდვისა და განზიდვის ძალები გაწონასწორებულია. ატომთა შორის ასეთ კავშირს ლითონურს უწოდებენ.

ამგვარად, ლითონურ კრისტალებში ატომთა შორის კავშირს განაპირობებს ატომ-იონებსა და მათ ირგვლივ სივრცეში ადვილად მოძრავ ელექტრონულ აირს შორის ურთიერთქმედების ძალები. სწორედ ელექტრონული აირის არსებობა განაპირობებს ლითონისათვის დამახასიათებელ ძირითად თვისებებს.

ჩვეულებრივ პირობებში კოლექტიური ელექტრონები ქაოსურად მოძრაობს. ლითონის ბოლოებზე პოტენციალთა სხვაობის მოდებით ელექტრონები მიმართულებით მოძრაობას იწყებს და გამტარში დენი აღიძვრება.

ლითონის ტემპერატურის გაზრდა იწვევს იონთა რხევითი მოძრაობის ამპლიტუდის გაზრდას, რაც დაბრკოლებას წარმოქმნის ელექტრონების მოძრაობის გზაზე და ლითონის ელექტროგამტარობა მცირდება.

კრისტალურ ნივთიერებებში სითბოგადაცემა ხორციელდება როგორც სავალენტო ელექტრონებით, ისე ატომებისა და იონების რხევითი მოძრაობის ხარჯზე. ლითონებში ეს პროცესი ძირითადად სავალენტო ელექტრონებით მიმდინარეობს და მათ უკეთესი სითბოგამტარობა ახასიათებს.

ლითონთა პლასტიკურობის საკითხში გადამწყვეტ როლს კვლავ ლითონური კავშირი ასრულებს. დეფორმაციის შედეგად, მართალია, ხდება იონების გადაადგილება სივრცეში, მაგრამ მათი კავშირი ელექტრონულ აირთან არ ირღვევა. ამის შედეგია


ის, რომ ლითონი კარგი ჭედადობით ხასიათდება. მხოლოდ მნიშვნელოვანი დეფორმაციის შემდეგ წყდება ატომები ერთმანეთს და ლითონის მთლიანობაც ირღვევა.

**კრისტალური აღნაგობის დეფექტები.** ჩვენს მიერ ზემოთ განხილული კრისტალები გარკვეულად იდეალიზებულია. კრისტალური გისოსი წარმოდგენილი იყო, როგორც მრავალჯერადი განმეორება ელემენტარული უჯრედისა, სადაც ყველა გეომეტრიული კვანძი სათანადო ლითონის ატომებით იყო დაკავებული. რეალური კრისტალები ყოველთვის მოკლებულია ასეთ აბსოლუტურ სისწორეს და ისინი ყოველთვის დამახინჯებულია.

რეალურ კრისტალებში გვხვდება წერტილოვანი, ხაზოვანი და სტრუქტურული დეფექტები.

წერტილოვან დეფექტებს მიეკუთვნება ვაკანსია, კვანძებსშორისი (დისლოცირებული) ატომი და უცხო ატომი.

ვაკანსია წარმოადგენს თავისუფალ ადგილს კრისტალურ გისოსში (სურ. 1.4, а). იგი წარმოიქმნება გისოსის კვანძებიდან ატომის მოწყვეტით და მისი გადასვლით ან კრისტალის ზედაპირზე, ან სრული აორთქლებით. თუ რეგულარული მდგომარეობიდან ამოვარდნილი ატომი დაიკავებს ადგილს გისოსის კვანძებს შორის, მას კვანძებსშორისი ატომი ეწოდება (ბ).




სურ. 1.4. წერტილოვანი დეფექტების სქემა.  
ა – ვაკანსია; ბ – კვანძებსშორისი ატომი; გ – უცხო ატომი

უცხო, ანუ მინარევის ატომი, რომელიც ლითონში სხვადასხვა მიზეზით შეიძლება მოხვდეს, ადგილს იკავებს ან კრისტალური გისოსის კვანძებში, სადაც ცვლის ძირითადი ლითონის ატომებს, ან კვანძებს შორის ჩაინერგება (სურ. 1.4 გ). უცხო ატომი ყოველთვის არსებობს მინარევის სახით როგორც ტექნიკურად სუფთა, ისე სა-

კმაოდ მაღალი სისუფთავის ლითონებში.

აღნიშნული დეფექტები ამასინჯებს კრისტალური გისოსის სწორ გეომეტრიულ ფორმას, რაც იწვევს ლითონის ფიზიკური და მექანიკური თვისებების შეცვლას. კერძოდ, იზრდება ელექტროჭინადობისა და სიმტკიცის მახასიათებლები, პლასტიკურობა კი მცირდება.

საზოგან დეფექტებს დისლოკაცია მიეკუთვნება. იგი წარმოადგენს გისოსის ლოკალურ დამასინჯებას, რაც გამოწვეულია კრისტალში „ზედმეტი“ ატომური ნახევარსიბრტყის, ე.წ. ექსტრასიბრტყის გაჩენით (სურ. 1.5, ა). ექსტრასიბრტყის 1-1 კიდე წარმოქმნის გ.წ. კიდურა დისლოკაციას. დისლოკაცია სიგრძეში შეიძლება გავრცელდეს გისოსის რამდენიმე ათას პარამეტრზე, შეიძლება იყოს სწორი ან გაიღუნოს და ბოლოს, დაეხვეს და მიიღოს სპირალის ფორმა. ამ უკანასკნელს ხრახნული დისლოკაცია ეწოდება (ბ).




სურ. 1.5. კიდურა (ა) და ხრახნული (ბ) დისლოკაციების სქემა

კრისტალში შეიძლება წარმოიქმნას 1.5 ა სურათზე წარმოდგენილ დისლოკაციისაგან განსხვავებული, შებრუნებული დისლოკაცია, როდესაც ზედმეტი ატომური ნახევარსიბრტყე „ჩასოლილი“ აღმოჩნდება არა ზემოდან, არამედ ქვემოდან. პირველ მათგანს დადებით, ხოლო მეორეს – უარყოფით დისლოკაციას უწოდებენ. დადებითი დისლოკაცია აღინიშნება სიმბოლოთი  $\perp$ , ხოლო უარყოფითი –  $T$ . ერთი და იგივე ნიშნის დისლოკაციები ერთმანეთისგან განიზიდება, ხოლო საწინააღმდეგო ნიშნისა – მიიზიდება.

დისლოკაციის გარშემო აღიძვრება დრეკადი დამასინჯების ზონა, ამიტომ შემდ-

გომი დეფორმაციის ზემოქმედებით დისლოკაცია ადვილად ამოძრავდება – იგი დაიძვრება ნეიტრალური მდებარეობიდან, ხოლო მეზობელი სიბრტყე შუალედური მდგომარეობის გავლით (სურ. 1.6, а, б) ექსტრასიბრტყედ გადაიქცევა (გ). საბოლოო ჯამში დისლოკაცია შეიძლება კრისტალის საზღვრის გარეთაც გამოვიდეს, ანუ განვითარდეს პლასტიკური დეფორმაცია. მოძრაობის პროცესში, მიახლოებისას, საწინააღმდეგო




სურ. 1.6. დისლოკაციის გადაადგილების სქემა

ნიშნის დისლოკაციები ერთმანეთს სპობს.

ლითონის 1 სმ<sup>3</sup> მოცულობაში დისლოკაციის ჯამურ სიგრძეს სანტიმეტრებში დისლოკაციის სიმკვრივე ეწოდება. მისი განზომილებაა:


$$\rho = \text{სმ}/\text{სმ}^3 = \text{სმ}^{-2}$$

ერთ-ერთ სტრუქტურულ დეფექტს მოზაიკური სტრუქტურა მიეკუთვნება. მარცვალი არ წარმოადგენს მონოლითურ კრისტალს, რომელიც შედგენილი იქნება მკაცრად პარალელური კრისტალოგრაფიული სიბრტყეებისაგან. სინამდვილეში ელემენტარული უჯრედების მთელი ჯგუფები ერთმანეთის მიმართ შემობრუნებულია მცირე კუთხით ( $\theta=0,3-4^0$ ). ასეთი დამახინჯებით მიღებულ სტრუქტურას მოზაიკურს უწოდებენ (სურ. 1.7), ხოლო მის შემადგენელ ბლოკებს – მოზაიკის ბლოკებს. ბლოკის ზომები  $10^{-5}-10^{-3}$  სმ–ს შეადგენს. ბლოკების ურთიერთ შეუდლება დისლოკაციებით ხორციელდება (სურ. 1.8).



სურ. 1.7. მოზაიკურის სტრუქტურის აქემა


ხშირად ბლოკები ერთიანდებიან უფრო მსხვილ აგრეგატებად – ფრაგმენტებად, რომლებიც ერთმანეთის მიმართ რამდენიმე გრადუსით ( $\theta=5-10^0$ ) არის შემობრუნებული. დაბოლოს, ფრაგმენტები ერთიანდებიან მარცვალში. მარცვლები ერთმანეთის მიმართ რამდენიმე



სურ. 1.8. ბლოკებს შორის საზღვრის სქემა

ათეული გრადუსით არის შემობრუნებული.

1.9 სურათზე წარმოდგენილია ნახშირბადმცირე ფოლადის მიკროსტრუქტურა, რომელიც შეიცავს მარცვლებს, ფრაგმენტებსა და ბლოკებს. მარცვლები ყოველთვის არ ხასიათდება ასეთი სამსაფეხურიანი სტრუქტურით. შეიძლება ისინი შედგებოდეს ფრაგმენტებისაგან მოზაოგური სტრუქტურის გარეშე ან მხოლოდ მოზაიკის ბლოკებისაგან.



სურ. 1.9. ნახშირბადმცირე ფოლადის მიკროსტრუქტურა.

ა – ფერიტის მარცვლები (მსხვილი საზღვრები) და ფრაგმენტები (წვრილი საზღვრები). x250.

ბ – ფერიტის მარცვლის ბლოკები (ფრაგმენტებისა და ბლოკების საზღვრები). x16000.

## სუზია ლითონების პრისტალიზაცია


პირველადი კრისტალიზაციის შედეგად ჩამოყალიბებული სტრუქტურა ნაკეთობის მრავალ თვისებას განსაზღვრავს. ამ პროცესში ფორმირებული დეფექტები ლითონის ფორმის შეცვლისა თუ დამუშავების სხვადასხვა სტადიის გავლის შემდეგ შეიძლება მზა პროდუქციაში აღმოჩნდეს, რაც ართულებს სასურველი თვისებების მქონე ლითონის მიღებას. აქედან გამომდინარე, ინჟინრისა თუ მეცნიერის ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანაა ქიმიური შედგენილობითა და თვისებებით ერთგვაროვანი, უდევექტოზოდის და სხმულის მიღება, რაც კრისტალიზაციის პროცესის მართვის გზით არის შესაძლებელი.

### 2.1. პრისტალიზაციის პროცესის მნიშვნელობები და მემანიზმები

როგორც ცნობილია, ნებისმიერი ნივთიერება შეიძლება აირად, თხევად ან მყარ მდგომარეობაში არსებობდეს. სუფთა ლითონებში გარკვეულ პირობებში მიმდინარეობს აგრეგატული მდგომარეობის შეცვლა: აირადი მდგომარეობა იცვლება თხევადით, თხევადი კი მყარით. გარდაქმნის ტემპერატურა დამოკიდებულია წნევაზე, მაგრამ მუდმივი წნევის პირობებში იგი სრულიად განსაზღვრულია.

ლითონის გაცივების დროს კრისტალიზაციის პროცესი თვითნებურად მიმდინარეობს, რაც გამომდინარეობს თერმოდინამიკის ზოგადი კანონებიდან, რომლის თანახმად, სისტემა ყოველთვის ცდილობს დაიკავოს ისეთი მდგომარეობა, სადაც მას მინიმალური თავისუფალი ენერგია ექნება.


ტემპერატურის შეცვლით თხევადი და მყარი მდგომარეობების თავისუფალი ენერგიები სხვადასხვა კანონზომიერებით იცვლება და მრუდები გარკვეულ  $T_0$  წერტილში იკვეთება (სურ. 2.1).  $T_0$  ტემპერატურა დნობის (გამყარების) თეორიულ ტემპერატურას წარმოადგენს. თუმცა ამ წერტილში კრისტალიზაცია არ შეიძლება მიმდინარეობდეს, რადგან თხევადი და მყარი ფაზის თავისუფალი ენერგიები ტოლია:  $F_b=F_g$ .  $T_0$  წერტილის მარჯვნივ, ე. ი. მაღალ ტემპერატურაზე, სისტემისათვის უფრო ხელსაყრელია თხევადი მდგომარეობა, რადგან ეს უკანასკნელი ნაკლები თავისუფალი ენერ-



სურ. 2.1. თხევადი და მყარი მდგომარეობების თავისუფალი ენერგიების დამოკიდებულება ტემპერატურაზე

სი, კრისტალიზაციის ფაქტიური ტემპერატურა  $T_0 - T_g = n$  – გადაცივების ხარისხი.

სუფთა ლითონის გაცივების პროცესი შეიძლება გამოისახოს მრუდით კოორდინატებში ტემპერატურა – დრო (სურ. 2.2). თხევადი ფაზის გაცივებისას სისტემის ტემპერატურა ჯერ მდოვრედ მცირდება ( $1 \rightarrow 2$  უბანი ბ მრუდზე), რადგან ამ დროს სითხეში არავითარი ხარისხობრივი ცვლილება არ ხდება. ამორფულ ნივთიერებებში, სადაც გამყარება კრისტალების წარმოქმნის, ანუ კრისტალიზაციის გარეშე მიმდინარეობს, ტემპერატურის ცვლილების ასეთი მდოვრე ხასიათი შენარჩუნებულია გაცივების



სურ. 2.2. ამორფული (ა) და კრისტალური (ბ, გ) ნივთიერებების გაცივების მრუდები

გით ხასიათდება, მარცხნივ კი – კრისტალური მდგომარეობა. ამიტომ, თუ გამდნარ ლითონს  $T_0$  ტემპერატურის ქვემოთ, რადაც  $T_1$  ტემპერატურამდე გადავაციებთ, დაიწყება კრისტალიზაციის პროცესი, რომლის მამოძრავებელ ძალას არსებითად თხევად და მყარ მდგომარეობებს შორის თავისუფალი ენერგიების სხვაობა ( $\Delta F = F_1 - F_2$ ) წარმოადგენს (სურ. 2.1). ტემპერატურას, რომელზეც რეალურად იწყება კრისტალიზაციის პროცესი, კრისტალურატურა ეწოდება, ხოლო ტემპერატურათა სხვაობას  $T_0 - T_g = n$  – გადაცივების ხარისხი.


მთელ ინტერვალში (სურ. 2.2, ა). ლითონებში, როგორც კი სისტემის ტემპერატურა კრისტალიზაციის ფაქტიურ ტემპერატურას მიაღწევს, მრუდზე ჰორიზონტალური ბაქანი (2-2') წარმოიქმნება. ეს იმის მაჩვენებელია, რომ კრისტალიზაციის პროცესი სუფთა ლითონებში მუდმივ ტემპერატურაზე, იზოთერმულად მიმდინარეობს, რადგან ატ-მოსფეროში გაცემული სითბო კომპენსირდება კრისტალიზაციის ფარული სითბოს გამოყოფით (ვერტიკალური ისრები დიაგრამაზე, ბ მრუდი). ძლიერი გადაცივების შემთხვევაში ინტენსიურად გამოყოფილი ფარული სითბოს ხარჯზე ტემპერატურამ შეიძლება სწრაფად აიწიოს (გ) და დნობის წერტილსაც კი მიუახლოვდეს. თუ არ მოხდა სითბოს ატ-მოსფეროში გაცემა, გამყარების პროცესი შეიძლება შეწყდეს კიდევ.

კრისტალიზაცია განიხილება, როგორც ატომების გადასვლა თხევადი მდგომარეობისათვის დამახასიათებელი მოუწესრიგებელი მდგომარეობიდან მოწესრიგებულ მდგომარეობაში. პროცესი ორი თანმიმდევრული ელემენტარული აქტით მიმდინარეობს. პირველი მდგომარეობს კრისტალის უწვრილესი ნაწილაკების, ე.წ. კრისტალიზაციის ცენტრების ჩასახვაში, ხოლო მეორე – ამ წარმონაქმნებიდან კრისტალების ზრდაში.

ჩანასახი მდგრად წარმონაქმნად რომ გადაიქცეს, იგი გარკვეულ კრიტიკულ ზომამდე უნდა გაიზარდოს თხევადი ფაზის ხარჯზე, რათა წინააღმდეგობა გაუწიოს სითხის ატომების დამანგრეველ ზემოქმედებას. ჩანასახის მინიმალურ ზომას, რომლის გაზრდა შესაძლებელია, კრიტიკული ზომა ( $r_k$ ) ეწოდება, ხოლო ასეთ ჩანასახს – მდგრადი. ამ ცენტრებზე ხდება ლითონის ატომების დაშენება, ანუ კრისტალების ზომების ზრდა თხევადი ფაზიდან ჩანასახზე ატომების კანონზომიერად მიერთების გზით. ასეთ პროცესს თვითნებური, პომოგენური კრისტალიზაცია ეწოდება.

ამ ორი ელემენტარული საფეხურის გათვალისწინებით კრისტალიზაციის პროცესი შეიძლება შემდეგი სქემის სახით წარმოვიდგინოთ: დავუშვათ, 2.3 სურათზე გამოსახულ ფართობში ყოველ წამში ხუთი კრისტალიზაციის ცენტრი ჩაისახება. პირველი წამის ბოლოსათვის ჩასახული ცენტრებიდან მომდევნო წამში კრისტალები გარკვეულ ზომამდე გაიზრდება. ერთდროულად კვლავ ხუთი კრისტალიზაციის ცენტრი ჩაისახება და ა.შ. ცენტრების ამგვარი ჩასახვითა და მათი ზრდით მიმდინარეობს კრისტალიზაცია, რომელიც მოცემულ შემთხვევაში მეშვიდე წამში მთავრდება.

რეალურ ტექნიკურ ლითონებში ყოველთვის არის სხვადასხვა სახის მინარევები, რომლებმაც მზა კრისტალიზაციის ცენტრების როლი შეიძლება ითამაშოს. ასეთ




სურ. 2.3. კრისტალიზაციის პროცესის მოდელი

პროცესს პეტეროგენული კრისტალიზაცია ეწოდება და რეალურ ლითონებში მას წამყვანი როლი ენიჭება.

კრისტალიზაციის ცენტრთა რიცხვი და კრისტალების ზრდის სიჩქარე დამოკიდებულია გადაცივების ხარისხზე, რაც კარგად ჩანს 2.4 სურათზე წარმოდგენილი გრაფიკიდან. რაც უფრო მეტია გადაცივების ხარისხი, მით უფრო დიდია მყარ და თხევად ფაზებს შორის თავისუფალი ენერგიების სხვაობა, ამიტომ მით უფრო ინტენსურად მიმდინარეობს კრისტალიზაციის პროცესი და მით უფრო წვრილმარცვლოვანი სტრუქტურა ჩამოყალიბდება.

მეორე მხრივ, გადაცივების ხარისხის გაზრდით იზრდება ლითონის სიბლანტე, რაც ამნელებს დიფუზური პროცესების მიმდინარეობას და, აქედან გამომდინარე, კრისტალიზაციის ცენტრების ჩასახვასა და მათ ზრდას. ამიტომ გარკვეული გადაცივების ხარისხიდან დაწყებული, კრისტალიზაციის ორივე პარამეტრი კლებას იწყებს და მრუდები დაღმავალ ხასიათს დებულობს. თხევადი ფაზის ზესწრავი სიჩქარით ( $>10^6 \text{ } ^\circ\text{C}$ ) გაცივებისას დიფუზური პროცესების მიმდინარეობა იმდენად ძნელდება, რომ მუხრუჭდება ჩანასახის წარმოქმნის შესაძლებლობა. ტემპერატურის განუხრელი შემცირების გამო კი ნივთიერების სიბლანტე სულ უფრო იზრდება, იგი მყარდება კრისტალიზაციის გარეშე და ამორფულ მდგომარეობაში გადადის. ასეთი სტრუქტურის მქონე მასალებმა ამორფული ლითონის, ან ლითონური მინის სახელწოდება მიიღო.



სურ. 2.4. ცენტრთა რიცხვებია და კრისტალების ზრდის სიჩქარის დამოკიდებულება გადაცივების სარისსზე

რიცხლ ფორმას დებულობს, მაგრამ მზარდი კრისტალების ურთიერთობა მათი თავისუფალი ზრდის შეზღუდვა, ჩნდება მათ შორის საზღვარი და სწორი ფორმა მახინჯდება. ამგვარად მიიღება დამახინჯებული ზედაპირის მქონე წარმონაქმნები, რომელთაც მარცვლები ეწოდება (სურ. 2.5, ბ).

უმეტეს შემთხვევაში კრისტალი სხვადასხვა მიმართულებით სხვადასხვა სიჩქარით იზრდება. ასეთ შემთხვევაში თავდაპირველად წარმოიქმნება წაგრძელებული, ნემსისებრი გამონაზარდი, ე.წ. კრისტალის პირველი რიგის ლერძი. ანალოგიურად, პირველად დერძებზე მიიღება განშტოებები, რომლებიც, თავის მხრივ, სხვა განშტოებების საფუძველს წარმოადგენს. შედეგად ჩამოყალიბდება დატოტვილი, ხისმაგვარი ფორმის კრისტალი, რომელსაც დენდრიტი ეწოდება (სურ. 2.5, გ). შემდეგ ხდება დენდრიტებს შორის სივრცის შევსება მარცვლამდე (დ).


## 2.2. მეორეული გარდაშვები სულთა ლითონებში

**ალოტროპიული გარდაქმნები.** მოცემული ელემენტის ატომებმა შეიძლება წარმოქმნას ნებისმიერი ფორმის კრისტალური გისოსი, მაგრამ მდგრადი ალმოჩნდება ის, რომელსაც მინიმალური ენერგია გააჩნია. ასე მაგალითად, მყარ მდგომარეობაში ლი-

პომოგენური ან ჰეტეროგენული კრისტალიზაციის პროცესი შეიძლება სხვადასხვანაირად წარიმართოს და ამის მიხედვით შედეგიც სხვადასხვა მიიღება.

თუ კრისტალის ზრდა ერთი ცენტრიდან ხდება, გამყარების შემდეგ შინაგანად სრულყოფილი კრისტალური აგებულებისა და სწორი გარეთა გეომეტრიული ფორმის წარმონაქმნი მიიღება, რომელსაც მონოკრისტალი ეწოდება (სურ. 2.5, ა).

როდესაც კრისტალიზაცია ერთდროულად რამდენიმე ცენტრიდან მიმდინარეობს, სანამ კრისტალი გარშემორტყმულია სითხით, იგი სწორ გეომეტრიული ფორმის მიმართ ურთიერთშესვებრისას ხდება მიმართულებით სხვადასხვა სიჩქარით იზრდება. ასეთ შემთხვევაში თავდაპირველად წარმოიქმნება წაგრძელებული, ნემსისებრი გამონაზარდი, ე.წ. კრისტალის პირველი რიგის ლერძი. ანალოგიურად, პირველად დერძებზე მიიღება განშტოებები, რომლებიც, თავის მხრივ, სხვა განშტოებების საფუძველს წარმოადგენს. შედეგად ჩამოყალიბდება დატოტვილი, ხისმაგვარი ფორმის კრისტალი, რომელსაც დენდრიტი ეწოდება (სურ. 2.5, გ). შემდეგ ხდება დენდრიტებს შორის სივრცის შევსება მარცვლამდე (დ).



სურ. 2.5. კრისტალური წარმონაქმნის ფორმების სქემა.  
 ა – მონოკრისტალი; ბ – მარცვლები; გ – დენდრიტი;  
 ღ – დენდრიტული მარცვლები

თიუმს, ნატრიუმს, კალიუმს, რუბიდიუმს, ცეზიუმს, მოლიბდენს, ვოლფრამს და კიდევ სხვა ლითონებს ახასიათებთ სივრცით დაცენტრებული კუბური კრისტალური გისოსი; ალუმინს, კალციუმს, სპილენძს, ვერცხლს, პლატინას – წახნაგდაცენტრებული, ხოლო ბერილიუმს, მაგნიუმს, ცირკონიუმს, ჰაფნიუმს – ჰექსაგონური.

მრავალ ნივთიერებაში, განსაკუთრებით გარდამავალ ლითონებში, ერთ პირობებში ჩამოყალიბებული კრისტალური გისოსი გარე ფაქტორების (ტემპერატურა, წნევა) შეცვლით შეიძლება არამდგრადი აღმოჩნდეს და იგი ფორმას შეიცვლის. მაგალითად, სხვადასხვა პირობებში რკინამ შეიძლება წარმოქმნას სივრცით დაცენტრებული ან წახნაგდაცენტრებული კრისტალური გისოსი; აღმოჩნდია კობალტი წახნაგდაცენტრებული და ჰექსაგონური გისოსებით. სხვადასხვა კრისტალურ ფორმაში არსებობს აგრეთვე კალა, მანგანუმი, ტიტანი, ურანი და ცირკონიუმი.

ერთი და იგივე ლითონის სხვადასხვა კრისტალურ ფორმაში არსებობას პოლიმორფიზმი (მრავალფორმიანობა), ანუ ალოტროპიზმი ეწოდება, ხოლო ლითონის კრისტალოგრაფიულ სახესხვაობებს – პოლიმორფული, ანუ ალოტროპიული მოდიფიკაციები. ერთი და იმავე ნივთიერების სახესხვაობანი აღინიშნება  $\alpha$ ,  $\beta$ ,  $\gamma$ ,  $\delta$  ასოებით, რომლებიც ინდექსების სახით ელემენტების აღმნიშვნელ ქიმიურ სიმბოლოებს ემატე-

ბა. მაგალითად,  $\text{Fe}_\alpha$ ,  $\text{Ti}_\beta$  და ა.შ.

წევის მცირე ცვლილება პოლიმორფულ გარდაქმნას არ იწვევს, ამიტომ პრაქტიკული ლითონმცოდნეობისათვის მნიშვნელოვანს ტემპერატურული ალოტროპია წარმოადგენს. რადგან ალოტროპიული გარდაქმნა მყარ მდგომარეობაში მიმდინარეობს, პირველადი გარდაქმნის, კრისტალიზაციისაგან განსხვავებით, მას მეორეულს უწოდებენ.


ამგვარად, ალოტროპიული გარდაქმნა იმაში მდგომარეობს, რომ ლითონის გახურების ან გაცივების დროს ხდება ერთი სახის კრისტალური გისოსის ატომების გადაჯგუფება მეორე სახის გისოსად.

ალოტროპიული გარდაქმნა სუფთა ლითონებში ერთ გარკვეულ, მუდმივ ტემპერატურაზე თბური ეფექტით წარიმართება – გახურებისას ხდება ენერგიის შთანთქმა, ხოლო გაცივებისას – ენერგიის გამოყოფა. ამიტომ სუფთა ლითონის გაცივების მრუდზე პირველი ჰორიზონტალური ბაქნის ქვემოთ, რომელიც თხევადი ლითონის კრისტალიზაციას შეესაბამება, კიდევ იმდენი ბაქანი წარმოიქმნება, რამდენი ალოტროპიული სახესხვაობაც მას გააჩნია. ტემპერატურას, რომელზეც ალოტროპიული გარდაქმნა მიმდინარეობს, ალოტროპიული გარდაქმნის ტემპერატურას უწოდებენ.

ალოტროპიული გარდაქმნა შექცევადია, ე.ო. თუ გახურებისას α მოდიფიკაცია  $\beta$ -თი იცვლება, გაცივებისას ხდება პირუპუ გარდაქმნა –  $\beta$  ფაზა კვლავ  $\alpha$ -ში გადადის (სურ. 2.6).

ალოტროპიული გარდაქმნა მიმდინარეობს ახალი ფაზის კრისტალიზაციის ცენტრების ჩასახვითა და მათი

ზრდით. პროცესი ემორჩილება იგივე კანონზომიერებებს, რომლებიც პირველადი კრისტალიზაციის შესწავლის დროს განვიხილეთ, მაგრამ ვინაიდან გარდაქმნა მყარ მდგომარეობაში მიმდინარეობს, დიფუზიის სიჩქარე რამდენიმე ხარისხით ნაკლებია სითხესთან შედარებით. ეს თავისებურება გამოხატულებას პოულობს იმაში, რომ პირველად კრისტალიზაციასთან შედარებით ალოტროპიული გარდაქმნის მიმდინარეობისათვის



სურ. 2.6. ალოტროპიული გარდაქმნის მქონე ლითონის გაცივებისა და გახურების მრუდები

საჭიროა მნიშვნელოვნად უფრო დიდი გადაცივება, რაც პრაქტიკულად არის დადასტურებული.

ალოტროპიული გარდაქმნა შეიძლება აგრეთვე არადიფუზიური, ე.წ. მარტენსიტული მექანიზმითაც წარიმართოს. ზოგიერთ ლითონში იგი ორივე მექანიზმით რეალიზდება, რასაც ძირითადად გადაცივების პირობები განსაზღვრავს.

თუ ალოტროპიული გარდაქმნის ტემპერატურა იმდენად მაღალია, რომ ლითონს კარგი პლასტიკურობა გააჩნია, მაშინ პროცესი შეიძლება მცირე გადაცივებით, დიფუზური მექანიზმით წარიმართოს. დაბალ ტემპერატურაზე, როდესაც ატომების გადაჯგუფება დიფუზიით თითქმის შეუძლებელი ხდება, ალოტროპიული გარდაქმნა მარტენსიტული მექანიზმით წარიმართება. აქედან გამომდინარე, გარდაქმნის ასეთი მექანიზმი რეალიზდება ან მაღალტემპერატურული ფაზის დიდი გადაცივების პირობებში, ან ისეთ ლითონებში, რომლებსაც ძალიან დაბალი ალოტროპიული გარდაქმნის ტემპერატურა გააჩნია. მაგალითად, ალოტროპიული გარდაქმნა კობალტში, ( $T_0=420^{\circ}\text{C}$ ) მხოლოდ მარტენსიტული მექანიზმით მიმდინარეობს. რკინაში ( $T_0=911^{\circ}\text{C}$ ), ტიტანში ( $T_0=882^{\circ}\text{C}$ ), ცირკონიუმში ( $T_0=862^{\circ}\text{C}$ ) და სხვა ლითონებში, რომლებსაც  $T_0$ -ის მაღალი მნიშვნელობები გააჩნია, მცირე გადაცივებისას – დიფუზური, დიდი გადაცივების შემთხვევაში კი – მარტენსიტული მექანიზმით.

მარტენსიტისათვის დამახასიათებელია განსაკუთრებული მიკროსტრუქტურა. მარტენსიტის კრისტალები წარმოადგენს ფირფიტებს, რომლებიც განლაგებულია ურთიერთპარალელურად ან გარკვეული კუთხით (ფოლადებში 60 ან  $120^{\circ}$ -ით) ერთმანეთის მიმართ. მიკროსების სიბრტყეში მათ აქვთ ნემსისებრი ფორმა, ამიტომ მარტენსიტული სტრუქტურის აღწერისათვის სრულიად მისაღებია ტერმინი „ნემსისებრი“. მარტენსიტული სტრუქტურის ასეთი ორიენტაცია განპირობებულია იმით, რომ ნემსები წარმოიქმნება საწყისი ფაზის გარკვეულ კრისტალოგრაფიულ სიბრტყეებზე ასევე გარკვეული მიმართულებით ატომების კოოპერაციული და კანონზომიერი გადაადგილებით (ძვრით) სივრცეში, ამასთან, არ ხდება ატომების ადგილების ურთიერთშენაცვლება და მათ შორის მანძილის მნიშვნელოვანი შეცვლა. ამდენად, მარტენსიტული გარდაქმნა დამყარებულია ძვრის პროცესზე. მარტენსიტის ყოველი ფირფიტა ცალკეულ კრისტალს, მონოკრისტალს წარმოადგენს.

2.7 სურათზე წარმოდგენილია მარტენსიტული მექანიზმით  $\gamma \rightarrow \alpha$  გარდაქმნის შედეგად მარტენსიტის ნემსების რამდენიმე ორიენტირებული სისტემა. ისინი შეესაბამე-



სურ. 2.7. მარტენიტული სტრუქტურა  
სუფთა რკინაში

ბა საწყისი, მაღალტემპერატურული გ ფაზის მარცვლებს, რომლებიდანაც მარტენიტის ნებსები წარმოიქმნა.

**რკინის ალოტროპიზმი.** ნორმალური წნევის პირობებში რკინა ორ ალოტროპიულ სახეს სხვაობაში შეიძლება არსებობდეს.  $911^{\circ}\text{C}$ -ის ქვემოთ და  $1392^{\circ}\text{C}$ -ის ზემოთ დნობის ტემპერატურამდე სტაბილურია რკინის ა მოდიფიკაცია ( $\text{Fe}_\alpha$ ), რომელსაც სივრცით დაცენტრებული კუბური კრისტალური გისოსი გააჩნია.  $911-1392^{\circ}\text{C}$  ტემპერატურულ ინტერვალში კი მდგრადია რკინის გ მოდიფიკაცია წახნაგდაცენტრებული კუბური კრისტალური გისოსით (სურ. 2.8). მაღალტემპერატურულ ა რკინას ხშირად  $\text{Fe}_\beta$ -თი აღნიშნავენ.

ჰორიზონტალური ბაქანი, რომელიც  $768^{\circ}\text{C}$ -ზე მიიღება, არ არის დაკავშირებული კრისტალური გისოსის გადაჯგუფებასთან. იგი კიურის წერტილს წარმოადგენს. ამ წერტილის ზემოთ რკინა არამაგნიტურია, ხოლო ქვემოთ – ფერმაგნიტური. ფერმაგნიტური ა რკინისაგან განსხვავებით, არამაგნიტურ ა რკინას ხშირად  $\text{Fe}_\beta$ -თი აღნიშნავენ.



გახურებისას გარდაქმნის კრიტიკული წერტილები  $\text{Ac}$ -თი აღინიშნება ( $\text{Ac}_2$ ,  $\text{Ac}_3$ ,  $\text{Ac}_4$ ), ხოლო გაცივებისას -  $\text{Ar}$ -ის ( $\text{Ar}_2$ ,  $\text{Ar}_3$ ,  $\text{Ar}_4$ ).

სურ. 2.8. რკინის გახურება-გაცივების მრუდი

## თ ა გ ი III

### ლითონის მექანიკური თვისებები

#### 3.1. ზობადი მიმოხილვა

გარე ძალების ზემოქმედებით ლითონი იცვლის ფორმას და ზომებს, ანუ დეფორმირდება. მცირე დატვირთვა იწვევს მხოლოდ დრეკად დეფორმაციას. ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანი სტრუქტურული ცვლილებები არ მიმდინარეობს. ძირითადად ხდება ატომების გადაადგილება მცირე, ატომთშორისზე ნაკლები მანძილით, რაც კრისტალური გისოსის დამახინჯებას იწვევს. ეს ცვლილებები კრისტალში შენარჩუნებულია მანამ, სანამ მოქმედებს გარე ძალები. ძალის მოხსნის შემდეგ ატომები უბრუნდება თავის პირვანდელ წონასწორულ მდგომარეობას, გისოსის დამახინჯება იხსნება და ლითონში აღდგება საწყისი ფორმა და ზომები. ლითონის უნარს, წინააღმდეგობა გაუწიოს დრეკად დეფორმაციას, სიხისტე ეწოდება.

მოქმედი ძალა ლითონში აღძრავს ძაბვებს. მაგალითად, ნიმუშის გაჭიმვის შემთხვევაში აღძრული ძაბვა  $\sigma = \frac{P}{F}$  მგკა, სადაც P არის მოქმედი ძალა, F – განივი კვარის ფართობი ძალის მოქმედების უბანში.

თუ ლითონში აღძრული ძაბვა გადააჭარბებს დრეკადობის ზღვარს, გაცილებით უფრო რთული პროცესი იწყება – პლასტიკური დეფორმაცია. პლასტიკური დეფორმაციის დროს კრისტალის ერთი ნაწილი მთლიანად გადაადგილდება (დაიძვრება) მეორის მიმართ. ძალის მოქმედების შეწყვეტის შემდეგ ლითონი აღარ უბრუნდება თავის პირვანდელ მდგომარეობას, ანუ რჩება დეფორმირებულ მდგომარეობაში. მოქმედი გარე ძალების გარკვეულ სიდიდემდე გაზრდის შემდეგ იწყება ლითონის რდვევა.


საკონსტრუქციო მასალას მოეთხოვება არა მარტო დეფორმაციისადმი, არამედ რდვევისადმი (ნერგვისადმი) გაზრდილი წინააღმდეგობაც. წინააღმდეგობას დეფორმაციისადმი აერთიანებენ ზოგად ცნებაში „სიმტკიცე“, ხოლო წინააღმდეგობას რდვევისადმი – ცნებაში „საიმედოობა“. თუ ნაკეთობის მთლიანობის რდვევა ხორციელდება არა ერთი, არამედ მრავალგზის დატვირთვის აქტის შემდეგ, საჭმე გვაქვს მასალის ხანგამდლეობასთან. ბუნებრივია, მაღალხარისხოვანი საკონსტრუქციო მასალა ერთდროულად უნდა ხასიათდებოდეს როგორც სიმტკიცით, ისე საიმედოობით და ხანგამდლეობით.

ლითონის რღვევა შეიძლება იყოს მყიფე და ბლანტი. მყიფე რღვევა დიდი სიჩქარით გრცელდება პრაქტიკულად პლასტიკური დეფორმაციის მიმდინარეობის გარეშე, ბლანტი ტეხილი კი გრცელდება დაბალი სიჩქარით, მაგრამ მნიშვნელოვანი წინასწარი პლასტიკური დეფორმაციის გზით.

### 3.2. ლითონის მექანიკური თვისებების მახასიათებლები

**სიმტკიცე და პლასტიკურობა.** ლითონის მექანიკური თვისებების შესწავლა ხორციელდება სპეციალურად დამზადებული ნიმუშის გაჭიმვაზე გამოცდით (სურ. 3.1, а). გამოცდის წინ განისაზღვრება ნიმუშის საანგარიშო სიგრძე  $\ell_0$  და საწყისი განივევეთის ფართი  $F_0$ .

გამოცდის დროს ნიმუშის დატვირთვა თანდათანობით ხდება. გამოცდის შედეგები გამოისახება მრუდით, რომლის ხასიათი პლასტიკური ლითონისათვის 3.1 ბ სურათზეა წარმოდგენილი. გაჭიმვაზე გამოცდისას შემდეგი ძირითადი მახასიათებლები განისაზღვრება:



სურ. 3.1. გაჭიმვაზე გამოსაცდელი ნიმუშის სქემა (ა) და პლასტიკური ლითონის გაჭიმვის მრუდი (ბ)

1. პროპორციულობის ზღვარი  $\sigma_{\text{პრ}}$ . ეს არის მაქსიმალური ძაბვა დიაგრამის დრეკადი დეფორმაციის OA უბანზე, სადაც ძაბვა ფარდობითი წარმელების პირდაპირპროპროციულად იცვლება:

$$\sigma_{\text{პრ}} = P_{\text{პრ}} / F_0, \text{ მგპა;}$$

2. დენადობის ზღვარი  $\sigma_{\text{დენ}}$ . გაჭიმვის დიაგრამაზე მას შეესაბამება პორიზონტალური უბანი BC. იგი არის მაქსიმალური ძაბვა, რომლის დროსაც ნიმუში დეფორმაციას განიცდის დატვირთვის გაუზრდელად:

$$\sigma_{\text{დენ}} = P_{\text{დენ}} / F_0, \text{ მგპა;}$$

ლითონთა უმრავლესობისათვის გაჭიმვის მრუდზე დენადობის ზღვარი მკაფიოდ არ არის გამოხატული. ასეთ შემთხვევაში მიმართავენ დენადობის პირობითი ზღვრის გამოთვლას. ეს არის ძაბვა, რომლის დროსაც წარმოქმნილი წაგრძე-

ლება ნიმუშის საწყისი სიგრძის 0,2%-ს შეადგენს. იგი აღინიშნება სიმბოლოთი  $\sigma_{0,2}$ .

3. სიმტკიცის ზღვარი გაჭიმვისას საქს. იგი წარმოადგენს მაქსიმალურ ძაბვას, რომელსაც ლითონი უძლებს რდგვევამდე:

$$\sigma_{\text{აქს}} = P_{\text{აქს}} / F_0, \text{ მგპა;}$$

4. ფარდობითი წაგრძელება  $\delta$ . იგი არის ნიმუშის სიგრძის ნამატის შეფარდება საწყის სიგრძესთან და გამოისახება პროცენტობით:

$$\delta = (\ell_k - \ell_0) / \ell_0 = (\Delta \ell / \ell_0) \times 100, \%$$

სადაც  $\ell_0$  არის ნიმუშის საწყისი სიგრძე,  $\ell_k$ - საბოლოო სიგრძე, ხოლო  $\Delta \ell$  - ნიმუშის სიგრძის ნამატი.

5. ფარდობითი შევიწროება  $\psi$ , რომელიც წარმოადგენს განივავეთის ფართობის მაქსიმალური შემცირების ფარდობას საწყისი განივავეთის ფართთან:

$$\psi = \frac{F_0 - F_k}{F_0} \times 100\%,$$


სადაც  $F_0$  არის ნიმუშის საწყისი განივავეთის ფართი, ხოლო  $F_k$  - საბოლოო ფართი ნიმუშის მაქსიმალურად შევიწროების უბანში.

სპ, სდენ და საქს სიმტკიცის მახასიათებლებია, ხოლო  $\delta$  და  $\psi$  – პლასტიკურობის მაჩვენებლები. ამდენად, პლასტიკურობა არის ლითონის უნარი, გარე ძალების ზემოქმედებით შეიცვალოს ფორმა მთლიანობის დაურღვევლად.

**დარტყმითი სიბლანტე.** ლითონის მექანიკური თვისებების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მახასიათებელია დარტყმითი სიბლანტე  $a_6$  ( $\pi$  – ნასერი). იგი განისაზღვრება სპეციალურად მომზადებული ნიმუშის გამოცდით დინამიკური, დარტყმითი დატვირთვის პირობებში (სურ. 3.2). დარტყმითი სიბლანტე გამოითვლება ნიმუშის გადატეხაზე დახარჯული მუშაობის (A) შეფარდებით ნიმუშის განივავეთის ფართთან (F):

$$a_6 = A/F, \text{ მგჯ/მ}^2$$

საპასუხისმგებლო დეტალების დარტყმითი სიბლანტე მაღალი უნდა იყოს. მაგალითად, საავიაციო ძრავის ლილვისათვის  $a_6 = 1-1,1 \text{ მგჯ/მ}^2$ ; იარაღის ლულისათვის საკმარისია  $a_6 = 0,6-0,7 \text{ მგჯ/მ}^2$ ; საარტილერიო მასალებისათვის, რომლებსაც მაღალი დოკუმენტის მახასიათებლები მოეთხოვება,  $a_6 = 0,4 \text{ მგჯ/მ}^2$ ; დეტალებისათვის, რომლებიც დინამიკური დატვირთვის პირობებში მუშაობს, დაუშვებელია დაბალი მნიშვნელობის მიხედვისათვის.



სურ. 3.2. დარტყმით სიბლანტეზე  
გამოსაცდელი ნიმუშის სქემა

ლობა ( $a \geq 0,15 \text{ მგჯ}/\text{მ}^2$ ).

**სისალე.** სიმტკიცის მახასიათებლების შესაფასებლად სარგებლობები აგრეთვე სისალის განსაზღვრის მეთოდით, რომელიც არ მოითხოვს ნაკეთობის მოლიანობის დარღვევას. სისალეს აღნიშნავენ H სიმბოლოთი.

სისალე არის ლითონის უნარი,

წინააღმდეგობა გაუწიოს დრეკად ან პლასტიკურ დეფორმაციას მასში გარეშე, უფრო სალი სხეულის შეჭრის შემთხვევაში. სისალის განსაზღვრის არაერთი მეთოდი არსებობს, რომელთაგან ყველაზე გავრცელებულია:

**1. ბრინჯლის მეთოდი** (სურ. 3.3, ა). ამ ხერხით სისალის განსაზღვრის დროს გამოსაცდელ ნიმუშში წინასწარ შერჩეული P ძალით იწნევება D დიამეტრის ფოლადის ნაწილობი ბურთულა. ბურთულას დიამეტრი ( $D=10; 5; 2,5 \text{ მმ}$ ) შეირჩევა გამოსაცდელი მასალის სისქის ან დიამეტრის მიხედვით. სისალე აღინიშნება სიმბოლოებით HB (B გამოცდის მეთოდის აღმნიშვნელი სიმბოლოა) და გამოითვლება დატვირთვის შეფარდებით ნიმუშზე მიღებული სფერული ანაბეჭდის ზედაპირის ფართან:

$$HB = \frac{P}{F} = \frac{2P}{\pi D(D - \sqrt{D^2 - d^2})} \times 10 \text{ მგპა},$$

სადაც P არის დატვირთვის სიდიდე, კგ;


F – ანაბეჭდის ზედაპირის ფართობი, მმ<sup>2</sup>;

D - ბურთულას დიამეტრი, მმ;

d - ანაბეჭდის დიამეტრი, მმ.

სისალის მნიშვნელობის აღება შესაძლებელია უმუალოდ სათანადო ცხრილებიდან. თუ მაგალითად, გაზომვის შედეგად მიღებულია რიცხვი 350, სისალის მნიშვნელობა შემდეგნაირად ჩაიწერება: HB 350.

**2. როკველის მეთოდი** (სურ. 3.3, ბ). როკველის ხერხით სისალის გამოცდის დროს ინდენტორად გამოიყენება ალმასის კონუსი ან ფოლადის ნაწილობი ბურთულა. ალმასის კონუსის წვეროსთან მდებარე კუთხე შეადგენს  $120^\circ$ , ხოლო ბურთულას დია-



სურ. 3.3. სისალის განსაზღვრის სქემა:  
ა - ბრინჯელის ხერხით; ბ - როკველის ხერხით; გ - ვიკერსის ხერხით

მეტრი – 1,588 მმ. სისალის მნიშვნელობად მიღებულია ჩაწერების სიდრმის ( $h_0$ ) შებრუნებული სიდიდე. ანათვალი უშუალოდ ხელსაწყოს სკალიდან აიღება. ხელსაწყოს აქვს სამი სკალა – C, A და B. ალმასის კონუსით გამოცდისას, როდესაც დატვირთვა შეადგენს 150 კგ (როკველის მეთოდით სისალის გამოცდისას დატვირთვა ყველა შემთხვევაში სტანდარტულია), ანათვალი C სკალიდან აიღება და აღინიშნება სიმბოლოებით HRC (მაგალითად, 50 HRC). ანალოგიურად, როდესაც დატვირთვის სიდიდე შეადგენს 60 კგ, სისალე აღინიშნება HRA-თი.

ბურთულით გამოცდისას დატვირთვის სიდიდეა 100 კგ, სისალე აიღება B სკალიდან და ჩაწერება სიმბოლოებით HRB.

**3. ვიკერსის მეთოდი** (სურ. 3.3, გ). ამ ხერხით სისალის განსაზღვრისას გამოსაცდელ ნიმუშში იწერება ალმასის პირამიდა და იზომება ანაბეჭდის დიაგონალის სიგრძე  $d$ . სისალე HV გამოითვლება ფორმულით:

$$HV = 1,854 \frac{P}{d^2},$$

სადაც  $P$  არის დატვირთვის სიდიდე, კგ;

$d$  - ანაბეჭდის დიაგონალის სიგრძე, მმ.

დატვირთვის სიდიდე უმეტეს შემთხვევაში შეირჩევა ექსპრიმენტულად. სისალის მნიშვნელობის აღება შესაძლებელია სათანადო ცხრილებიდანაც.

HB და HRB სისალის განსაზღვრის მეთოდები გამოიყენება რბილი მასალებისათვის, HRC – სალი ლითონებისათვის, ხოლო HRA და HV – ძირითადად თხელი ფურცლებისა და ფენებისათვის.

არსებობს შესაბამისი ცხრილები, რომლის საშუალებითაც შესაძლებელია ერ-

თი მეთოდით გაზომილი სისალის მნიშვნელობის გადაყვანა მეორეში, მათ შორის ბრინჯლის ერთეულებში.

სისალე ბრინჯლის ერთეულებში დაახლოებით სამჯერ აღემატება იგივე მასალის სიმტკიცის ზღვარს გაჭიმვაზე. ასე მაგალითად, თუ სისალის მნიშვნელობაა HB300, ამ მასალის სიმტკიცე დაახლოებით 1000 მგპა-ს შეადგენს. ასეთი გამოთვლა საორიენტაციო, მიახლოებითია და მიუღებელია მყიფე მასალებისათვის.


### 3.3. ცივჭედვა და რეპრისტალიზაცია

**სტრუქტურული ცვლილებები ცივად დეფორმაციის დროს. როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, პლასტიკური დეფორმაცია ხორციელდება გარე ძალების მოქმედების პირობებში. როგორც გამომდინარეობს 3.1. სურათზე წარმოდგენილი მრუდის ხასიათიდან, უკეთ დეფორმირებული ლითონის შემდგომი დეფორმაციისათვის საჭიროა მოქმედი ძალის სულ უფრო მეტად გაზრდა (მრუდის CD უბანი აღმავალია). რაც უფრო მეტია დეფორმაციის ხარისხი, მით უფრო ძნელია მისი შემდგომი დეფორმაცია. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ცივად პლასტიკური დეფორმაციის დროს ლითონი მტკიცდება და ამ მოვლენას ცივჭედვა ეწოდება.**

ცივჭედვის ეფექტი განპირობებულია დეფორმაციის პროცესში კრისტალური აგებულების დეფექტების (დისლოკაცია, ვაკანსია, კვანძებსშორისი ატომი) რაოდენობის

ზრდით. ერთდროულად მარცვალში მიმდინარეობს ბლოკების მსხვრევა და კრისტალური გისოსის დამახინჯება. ყოველიგა ეს მნიშვნელოვნად აძნელებს დისლოკაციების გადაადგილებას, ანუ იზრდება ლითონის სიმტკიცე, პლასტიკურობა კი კლებულობს. (სურ. 3.4).

აღსანიშნავია, რომ ლითონის ფორმის ცვლილება წნევით დამუშავების დროს მიმდინარეობს ყოველი მარცვლის პლასტიკური დეფორმაციის ხარჯზე. თავდაპირველად ნებისმიერად ორიენტაციებული



სურ. 3.4. ლითონის ფოსქებების ცვლილების ხასიათი ცივჭედვის ხარისხზე დამოკიდებულებით

მარცვლები მაქსიმალური სიმტკიცის დერძებით შემობრუნებას იწყებს და ლითონის დინების მიმართულებით განლაგდება. შემდგომში აქამდე დაახლოებით ტოლდერმა მარცვლები წაგრძელებას იწყებს დეფორმაციის მიმართულებით და სტრუქტურა ბოჭკოვან აგებულებას დებულობს (სურ. 3.5). მარცვლების კანონზომიერ ორიენტაციას გარედან მიყენებული დეფორმირებადი ძალის მიმართ დეფორმაციის ტექსტურას უწოდებენ.




სურ. 3.5. პოლიკრისტალის დეფორმაციის სქემა

**გახურების გავლენა ცივნაჭედი ლითონის სტრუქტურასა და თვისებებზე.** პლასტიკურ დეფორმაციას ლითონი სტრუქტურულად არაწონასწორულ მდგომარეობაში გადაჰყავს. ლითონში თავისთავად უნდა მიმდინარეობდეს პროცესები, რომლებიც მას შედარებით მდგრად მდგომარეობაში დააბრუნებს. ტემპერატურის გაზრდა აჩქარებს პროცესის მიმდინარეობას.

შედარებით დაბალ ტემპერატურაზე ( $0,2\text{--}0,3 \text{ T}_\text{დ}$ , სადაც  $\text{T}_\text{დ}$  არის ლითონის დნობის აბსოლუტური ტემპერატურა) გარდაქმნები მხოლოდ მარცვლებისა და კრისტალური გისოსის შიგნით მიმდინარეობს. მცირდება დისლოკაციის სიმკვრივე, შიგა დაძაბულობა და ვაკანსიების რიცხვი, ირწყმება მოზაიკის ბლოკები და აღდგება კრისტალური გისოსის ფორმა (სურ. 3.6). ამ მოვლენას გამობრუნება ეწოდება. გამობრუნების შედეგად ლითონის სისალე და სიმტკიცე 20-30%-ით მცირდება, ხოლო პლასტიკურობა – მატულობს.

ტემპერატურის შემდგომი აწევით იზრდება ატომების ძვრადობის უნარი, რაც განაპირობებს ცვლილებების მიმდინარეობას მიკროსტრუქტურაში. დამახინჯებული, არაწონასწორული მარცვლის საზღვრებში ჩაისახება და იზრდება ახალი, წონასწორული მარცვლები ძველის მოსპობის ხარჯზე. ახალი, პოლიედრული წვრილმარცვლოვანი სტრუქტურის წარმოქმნას დეფორმირებული ლითონის ბოჭკოვანი, ტექსტური-



სურ. 3.6. ცივნაჭედი ლითონის სტრუქტურის ცვლილების სქემა  
გახურების დროს

რებული სტრუქტურის ნაცვლად, პირველადი რეკრისტალიზაცია (I სტადია) ეწოდება.

ლითონის რეკრისტალიზაციასა და დნობის ტემპერატურას შორის მარტივი დამოკიდებულება არსებობს:

$$T_{\text{რებ}} \approx a T_{\text{დნ}},$$

სადაც  $T_{\text{რებ}}$  არის რეკრისტალიზაციის აბსოლუტური ტემპერატურა;

$T_{\text{დნ}}$  – ლითონის დნობის აბსოლუტური ტემპერატურა.

$a$  კოეფიციენტი, რომლის სიღიძე ლითონის სისუფთავეზე დამოკიდებული. სუფთა ლითონებისათვის  $a = 0,1-0,2$ ; ჩვეულებრივი ტექნიკური სისუფთავის ლითონებისათვის  $a = 0,3-0,4$ . შენადნობებში რეკრისტალიზაცია უფრო მაღალ ტემპერატურაზე მიმდინარეობს და ზოგიერთ შემთხვევაში იგი  $0,8 T_{\text{დნ}}$  აღწევს.


პირველადი რეკრისტალიზაციის შედეგად ცივჭედვის მოვლენა მთლიანად იხსენება. შესაბამისად იცვლება ლითონის თვისებებიც: სისალე და სიმტკიცე მცირდება, ხოლო პლასტიკურობა და სიბლანტე მატულობს იმ მნიშვნელობამდე, რომელიც ლითონს ცივჭედვამდე ჰქონდა.

ტემპერატურის შემდგომი გაზრდა განაპირობებს რეკრისტალიზაციის II სტადიის დაწყებას, რომელსაც შემკრებ რეკრისტალიზაციას უწოდებენ. მისი არსი იმაში მდგომარეობს, რომ მიმდინარეობს რეკრისტალიზებული მარცვლების გამსხვილება შედარებით წვრილი მარცვლების შთანთქმის ხარჯზე (სურ. 3.6).

მარცვლის ზომას რეკრისტალიზაციის დროს განსაზღვრავს როგორც რეკრისტალიზაციის ტემპერატურა, ისე ლითონის წინასწარი დეფორმაციის ხარისხი. ტემპე-

რატურის ზრდასთან ერთად მარცვლის სიდიდე განუხელად იზრდება. რაც შეეხება წინასწარი დეფორმაციის ხარისხს, აქ მდგომარეობა განსაკუთრებულია. თუ წინასწარი დეფორმაციის ხარისხი მცირეა (3-5%) ან აღემატება 10%, მარცვლის ზრდის საშიშროება რეპრისტალიზაციის თპტიმალურ ტემპერატურაზე არ არსებობს – პროცესის დამთავრების შემდეგ ყალიბდება საკმაოდ წვრილმარცვლოვანი სტრუქტურა (სურ. 3.7), რაც თვისებათა კარგ კონდიციების უზრუნველყოფს (მაღალი სისალისა და სიმტკიცის მაჩვენებლების შეხამებას დამაკმაყოფილებელ პლასტიკურობასა და დარტყმით სიბლანტესთან).

თუ წინასწარი დეფორმაციის ხარისხი 5-10%-ის ზღვრებში მერყეობს, რეპრისტალიზაციის II სტადიაში მოსალოდნელია მარცვლის ზომის ინტენსიური ზრდა, რაც პრინციპულად არასასურველი მოვლენაა, რადგან მნიშვნელოვნად უარესდება თვისებათა კონდიციების სიმყიფის მახასიათებლების გაზრდის ხარჯზე.



სურ. 3.7. მარცვლის ზომის დამოკიდებულება წინასწარი დეფორმაციის ხარისხზე

რეპრისტალიზაციის მოვლენას გააჩნია დიდი პრაქტიკული მნიშვნელობაც. იგი წარმოადგენს საშუალებას ცივნაჭედი ლითონის პლასტიკურობის აღსადგენად. მაგალითად, თუ მასალა გამოჭიმულია დეფორმაციის ზღვრულ მნიშვნელობამდე, მაგრამ სასურველი განივი კვეთი ჯერ კიდევ არ არის მიღწეული და საჭიროებს შემდგომ დეფორმაციას, პლასტიკურობის აღსადგენად აუცილობელია სარეპრისტალიზაციო მოწვის ჩატარება.

დეფორმაციის ხარისხს, რომელიც რეპრისტალიზაციის ტემპერატურის ზემოთ გახურებისას მარცვლების ინტენსიური სიჩქარით ზრდას განაპირობებს, დეფორმაციის კრიტიკული ხარისხი ეწოდება.

## შენადნობთა აბებულება

შენადნობი ეწოდება ორი ან მეტი ელემენტის შედნობით მიღებულ ნივთიერებას. ტრადიციულად, შენადნობებს დებულობენ თხევად მდგომარეობაში ფუძე ლი-თონთან სხვადასხვა ნივთიერების შედნობით. არსებობს შენადნობების მიღების სხვა ხერხებიც, როგორიცაა, მაგალითად: კომპონენტების შეცხობა, დიფუზური გაჯერება, ელექტროლიზი, პლაზმური დაფრქვევა, ვაკუუმში ორთქლის ფაზიდან კომპონენტების კონდენსაცია. ამ ხერხებით მიღებულ შენადნობებს ფსევდო შენადნობებს უწოდებენ.


თუ შენადნობი უპირატესად ლითონური ელემენტებისგან არის დამზადებული და ლითონური თვისებები ახასიათებს, მას ლითონურ შენადნობს უწოდებენ. ლითონური შენადნობების აგებულება უფრო რთულია სუფთა ლითონებთან შედარებით და უმთავრესად დამოკიდებულია იმაზე, თუ რა ურთიერთობა მყარდება შენადნობის შემადგენელ კომპონენტებს შორის მყარ მდგომარეობაში.

თხევად მდგომარეობაში ყველა ელემენტი ერთმანეთში განუსაზღვრელად იხსნება (გამონაკლისს წარმოადგენს ზოგიერთი წყვილი, მაგალითად, რკინა და ტყვია, რკინა და ბისმუტი და ა.შ). მყარ მდგომარეობაში წარმოიქმნება მიკრომექანიკური ნარევი, ქიმიური ნაერთი ან მყარი ხსნარი.

### 4.1. მიკრომექანიკური ნარევი

მიკრომექანიკური ნარევი მიიღება იმ შემთხვევაში, როდესაც მდგენელი კომპონენტები A და B თხევად მდგომარეობაში განუსაზღვრელად იხსნება ერთმანეთში, მყარ მდგომარეობაში კი ერთმანეთში უხსნადია და არც ქიმიურ ნაერთს წარმოქმნიან. ასეთ შემთხვევაში გამყარების დროს ცალკე იზრდება A კომპონენტის მარცვლები და ცალკე B კომპონენტისა. შედეგად ჩამოყალიბდება მათი მიკრომექანიკური ნარევი, რაც მიკროსკოპში საკმაოდ მკვეთრად მუდავნდება (სურ. 4.1).

მაშასადამე, მიკრომექანიკური ნარევი ორფაზა შენადნობს მიეკუთვნება. ცალკე A და ცალკე B მარცვლების თვისებები სუფთა A და სუფთა B კომპონენტების იდენტურია.



სურ. 4.1. მიკრომექანიკური ნარევის მიკროსტრუქტურის სქემა

მიკრომექანიკური ნარევის თვისებები დამოკიდებულია როგორც მარცვლების ფორმასა და ზომებზე, ისე კომპონენტების რაოდენობრივ ურთიერთშეფარდებაზე და უკავია შუალედური მდგომარეობა საუფთა A და სუფთა B კომპონენტებს შორის.

## 4.2. ძიმიური ნაერთი

თუ შენადნობის შემადგენელი კომპონენტები რადაც კონცენტრაციაზე ქიმიურ ნაერთს წარმოქმნის, მაშინ კრისტალიზაციის პროცესში ჩამოყალიბდება როგორც A, ისე B კომპონენტებისაგან განსხვავებული, სპეციფიკური კრისტალური გისოსი, რომელიც ერთდროულად ორივე ელემენტის ატომებს შეიცავს. ატომები კრისტალურ გისოსში მოწესრიგებულად არის განლაგებული. ელემენტარულ უჯრედზე მოსული ატომების რიცხვის ურთიერთშეფარდება შეესაბამება სტექიომეტრიულ პროპორციას და შეიძლება გამოისახოს მარტივი ქიმიური ფორმულით  $A_nB_m$ .

ქიმიური ნაერთი ხასიათდება დნობის ან დისოციაციის გარკვეული, მუდმივი ტემპერატურით და შემადგენელი ელემენტებისაგან მკვეთრად განსხვავებული, ე.წ. სინგულარული თვისებებით. შედგენილობიდან მცირეოდენი გადახრა იწვევს თვისებების ნახტომისებრ ცვლილებას. ამგვარად, ქიმიური ნაერთი ერთფაზა შენადნობს წარმოადგენს. მისი სტრუქტურა შედგენილია ერთგვაროვანი ქიმიური ნაერთის კრისტალებისაგან.


თუ ქიმიური ნაერთი მხოლოდ ლითონურ ელემენტებს შორის წარმოიქმნება, მაშინ გისოსის კვანძებში დადებითად დამუხტული იონები განლაგდება, რომელთა შორის კავშირი ელექტრონული აირით ხორციელდება. ასეთი კავშირი არ არის ხისტი, რის გამოც გარკვეულ პირობებში რომელიმე ელემენტის რაოდენობა სტექიომეტ-

რიულ პროპორციასთან შედარებით შეიძლება მეტი ან ნაკლები აღმოჩნდეს. მაშასა-დამე, ლითონებისგან წარმოქმნილი ქიმიური ნაურთი უმრავლეს შემთხვევაში ვალენტობის კანონს არ ემორჩილება.

#### 4.3. მყარი ხსნარი ერთ-ერთი პომარნენტის ფუძეები

ლითონური შენადნობების უმრავლესობა, რომლებიც ტექნიკაში გამოიყენება, თხევად მდგომარეობაში წარმოადგენს ერთგვაროვან ხსნარს. მყარ მდგომარეობაში გადასვლისას მრავალ მათგანში ხსნადობა შენარჩუნებულია. ასეთი შენადნობის კრისტალიზაციის შედეგად მიღებულ ფაზას მყარი ხსნარი ეწოდება.

მყარი ხსნარი ერთფაზა შენადნობია, რომლის სტრუქტურა ერთგვაროვანი მარცვლებისგან არის შედგენილი (სურ. 4.2). მისი წარმოქმნისას ჩამოყალიბდება ერთ-ერთი შემადგენელი კომპონენტის კრისტალური გისოსი, რომელშიც ადგილს იკავებს მეორე კომპონენტის ატომებიც. იმ ელემენტს, რომლის კრისტალური გისოსიც შენარჩუნებულია, გამსხველი ეწოდება, ხოლო მეორეს – გახსნილი. ატომთა განლაგება მყარი ხსნარის კრისტალურ გისოსში არაკანონზომიერია, ატომთა თანაფარდობა – ცვალებადი და დამოკიდებულია შენადნობის კონცენტრაციაზე.




სურ. 4.2. მყარი ხსნარის მიკროსტრუქტურის სქემა

მოადგენს სტრუქტურას, რომლის კომპონენტები საერთო კრისტალურ გისოსს წარმოქმნის.


იმისდა მიხედვით, თუ როგორ არის განლაგებული გახსნილი ელემენტის ატომები გამსხველის კრისტალურ გისოსში, მყარი ხსნარი ძირითადად ორგვარია: ჩანაცვლებისა და ჩანერგვის.

ჩანაცვლების მყარი ხსნარი წარმოიქმნება იმ შემთხვევაში, როდესაც გამსხველის გისოსში ზოგიერთი ატომი (შენადნობის კონცენტრაციის შესაბამისად) შეცვლილია გახსნილი ელემენტის ატომებით (სურ. 4.3).



სურ. 4.3. სუფთა ლითონის (ა) და ჩანაცვლების მყარი ხსნარის (ბ)  
კრისტალური გისოსის სქემა

ჩანაცვლების მყარი ხსნარი, თავის მხრივ, შეიძლება იყოს განუსაზღვრელი და განსაზღვრული ხსნადობის. განუსაზღვრელი ხსნადობის შემთხვევაში გამხსნელის ატომების ნებისმიერი რაოდენობა შეიძლება შეიცვალოს გახსნილი ელემენტის ატომებით. აქედან გამომდინარე, B ელემენტის კონცენტრაციის ზრდასთან ერთად გამხსნელის სულ უფრო მეტი რაოდენობის ატომები შეიცვლება B კომპონენტის ატომებით, თოთ-




სურ. 4.4. განუსაზღვრელი მყარი ხსნარების კრისტალური  
გისოსის სქემები

ქოსდა ხორციელდება A ლითონიდან B-ში მდოვრე გადასვლა (სურ. 4.4).

განუსაზღვრელი მყარი ხსნარების წარმოქმნის ერთ-ერთი უმთავრესი პირობაა კომპონენტების კრისტალური გისოსების მსგავსება და ატომის ზომებს შორის მინიმალური განსხვავება. თუ ეს პირობები არ არის დაკმაყოფილებული, ხდება კრისტალური გისოსის მნიშვნელოვანი დამახინჯება და სისტემა ხსნადობის ზღვარს აღწევს.

დადგენილია, რომ რკინაში განუსაზღვრელი რიგის მყარი ხსნარები წარმოიქმნება იმ შემთხვევაში, როდესაც ატომის ზომებს შორის სხვაობა არ აღემატება 8%, სპილენდის შემთხვევაში – 10-11%, ხოლო ადგილდობადი ელემენტები განუსაზღვრელად იხსნება ერთმანეთში რადიუსის ზომებს შორის 17%-მდე სხვაობის დროსაც კი. უმრავ-



სურ. 4.5. ჩანერგვის მყარი სსნარის კრისტალური გისოსის სქემა

ლეს შემთხვევაში ტემპერატურის შემცირებით მყარ სსნარებში სსნადობის ზღვარი მცირდება.

ჩანერგვის მყარი სსნარის წარმოქმნის დროს გახსნილი ელემენტის ატომები ჩაინერგება გამსსნელის კრისტალური გისოსის თავისუფალ ადგილებში (სურ. 4.5). უმრავლეს შემთხვევაში გახსნილი ატომი თავისი ზომით აღემატება იმ სიცარიელის ზომებს, სადაც იგი უნდა მოთავსდეს. ამიტომ სსნარის კრისტალური გისოსის

მოცულობითი დამახინჯება ყოველთვის გისოსის პერიოდის გაზრდისკენაა მიმართული. ამავე მიზეზით ჩანერგვის მყარი სსნარი მხოლოდ განსაზღვრულია.

ჩანერგვის მყარ სსნარებს იძლევა, მაგალითად, I და II პერიოდების ელემენტები მცირე ატომური რადიუსით (წყალბადი –  $0,46\text{\AA}$ , აზოტი –  $0,71\text{\AA}$  და ნახშირბადი –  $0,77\text{\AA}$ ) გარდამავალი ჯგუფის ლითონებთან – რკინასთან, ქრომთან, ნიკელთან, მანგანუმთან.

#### 4.4. მყარი სსნარი მიმიური ნამრთის ფუძეები

მყარი სსნარის წარმოქმნისადმი მიდრეკილება გააჩნია არა მარტო სუფთა ლითონებს, არამედ ქიმიურ ნაერთებსაც. ამ შემთხვევაში შენარჩუნებულია  $\text{A}_n\text{B}_m$  ქიმიური ნაერთის კრისტალური გისოსი, მაგრამ ერთ-ერთი, მაგალითად, B კომპონენტის ატომები კრისტალურ გისოსში ცვლის A კომპონენტის ატომების გარკვეულ რაოდენობას. შესაძლებელია, აგრეთვე, მოხდეს მესამე, C ელემენტის გახსნა, რომლის ატომები ქიმიური ნაერთის კრისტალურ გისოსში შეცვლის ან A, ან B კომპონენტის ატომებს. მაგალითად, რკინის ბორიდში ( $\text{Fe}_4\text{B}_2$ ) შეიძლება გაიხსნას ქრომი და ნახშირბადი. ამასთან, ქრომი ცვლის რკინის ატომებს, ხოლო ნახშირბადი – ბორისას. შეფარდება  $(\text{Fe}+\text{Cr})/(\text{B}+\text{C})=4/2$  შენარჩუნებულია და იგი შეიძლება გამოისახოს ქიმიური ფორმულით  $(\text{Fe,Cr})_4(\text{B,C})_2$ .

ქიმიური ნაერთის ფუძეზე მყარი სსნარი მიიღება იმ შემთხვევაშიც, თუ კრისტალური გისოსის გარკვეული კვანძები არ იქნება სრულად დაკავებული შესაბამისი ლითონის ატომებით. მაგალითად,  $\text{CoAl}$  ქიმიურ ნაერთში გამოკრისტალების შემდეგ

შეიძლება აღმოჩნდეს ალუმინის ატომების ჭარბი რაოდენობა სტექიომეტრიულ პროპორციასთან შედარებით Co:Al=1:1. ალუმინის ატომების სიჭარბე იმით არის განპირობებული, რომ კრისტალური გისოსის კვანძები, რომლებიც კობალტის ატომებით უნდა იყოს დაკავებული, არ არის სრულად შევსებული, რის გამოც გისოსში ხვრელები, ანუ სიცარიელეები მიიღება. მაგალითად, კარბიდების გისოსში (TiC, NbC, ZrC და VC) ნაწილობრივ თავისუფალი რჩება გისოსის ის კვანძები, რომლებიც ნახშირბადს ეკუთვნის.

არსებობს ისეთი ნაერთებიც, რომლებიც კრისტალდება მხოლოდ მყარი ხსნარის სახით. მაგალითად, CuAl<sub>2</sub> ქიმიური ნაერთის ზუტი შედგენილობა შეესაბამება 54,1%Cu (მასის მიხედვით). სინამდვილეში ეს ნაერთი არსებობს მხოლოდ 53,25-დან 53,9%-მდე სპილენის შემცველობის შემთხვევაში, ანუ როდესაც სპილენის ატომების ნაწილი შეცვლილია ალუმინის ატომებით. წინააღმდეგ შემთხვევაში CuAl<sub>2</sub> ნაერთის კრისტალური გისოსი ვერ ჩამოყალიბდება.


მყარი ხსნარები პირობით აღინიშნება ბერძნული ასოებით α, β, γ და δ. ა. ან სიმბოლოთი A(B), სადაც A გამხსნელია, B კი გახსნილი ელემენტი.

#### 4.5. მზარი ხსნარის მოწმერიგება

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ჩვეულებრივ მყარ ხსნარებში გახსნილი ელემენტის ატომები გამხსნელის კრისტალურ გისოსში მოუწესრიგებლად არის განლაგებული. ზოგიერთი სისტემის მყარ ხსნარებში, მაგალითად, Cu-Au, Fe-Al, Fe-Ni, Fe-Si, Ni-Mn შემჩნეულია, რომ მაღალი ტემპერატურიდან გაცივების პროცესში, გარკვეულ ტემპერატურაზე, მიმდინარეობს ატომთა დიფუზური გადაადგილება, რა დროსაც გამხსნელისა და გახსნილი ელემენტების ატომები კრისტალურ გისოსში გარკვეულ კრისტალოგრაფიულ სიბრტყეებზე მოწესრიგებულად განლაგდება. ამ პროცესს მყარი ხსნარის მოწესრიგებას უწოდებენ, ხოლო მყარ ხსნარს ატომების მოწესრიგებული განლაგებით კრისტალურ გისოსში – მოწესრიგებულ მყარ ხსნარს. ტემპერატურას, რომელზეც მიმდინარეობს მოწესრიგების პროცესი, კურნაკოვის წერტილი ეწოდება.

მაგალითის სახით განვიხილოთ სპილენისა და ოქროს შენადნობი, რომელშიც კომპონენტები მყარ მდგომარეობაში განუსაზღვრელი ხსნადობით ხასიათდება. ნელი გაცივების პირობებში მოუწესრიგებლად განლაგებული ოქროს ატომები წახნაგდა-

ცენტრული კუბის წვეროებში იკავებს ადგილს, ხოლო სპილენბის ატომები – წახნაგების ცენტრტში. ატომების ურთიერთშეფარდება Cu:Au=3:1 და ფაზა შეიძლება გამოისახოს ქიმიური ფორმულით Cu<sub>3</sub>Au (სურ. 4.6, ა). ოუ თო წახნაგსაც ოქროს ატომები დაიკავებს, მაშინ სპილენბის ერთ ატომზე მოვა ოქროს ერთი ატომი და მათი ურთიერთშეფარდება დააკმაყოფილებს ფორმულას CuAu (ბ).



სურ. 4.6. Cu-Au სისტემის მოწესრიგებული მყარი ხსნარების  
კრისტალური გისოსის სქემები

მოწესრიგების პროცესში კრისტალური გისოსის ტიპი უცვლელი რჩება, მაგრამ იცვლება მისი პერიოდები. ზოგიერთ შემთხვევაში ხდება გისოსის უმნიშვნელო დამახინჯება. მაგალითად, Cu-Au სისტემის მოწესრიგებელ მყარ ხსნარს გააჩნია კუბური წახნაგდაცენტრული კრისტალური გისოსი, მოწესრიგების შედეგად კი იგი წახნაგდაცენტრულ ტეტრაგონურ გისოსში გადადის პერიოდების შეფარდებით  $c/a = 0,935$ . ყველა მოწესრიგებულ მყარ ხსნარს განიხილავთ, როგორც ზესტრუქტურას.

მოწესრიგებული მყარი ხსნარი თითქმის საშუალო, გარდამავალ ადგილს იკავებს მყარ ხსნარსა და ქიმიურ ნაერთს შორის. მსგავსად ტიპური მყარი ხსნარისა, მას ახასიათებს გამხსნელის კრისტალური გისოსი, რომელშიც ატომებს, ქიმიური ნაერთის ანალოგიურად, სრულიად განსაზღვრული ადგილები უკავია, მათი თანაფარდობა მუდმივია და შეიძლება გამოისახოს ქიმიური ფორმულით. ამასთან, მოწესრიგების შემდეგ მკვეთრად იცვლება შენადნობის თვისებები, რაც ქიმიური ნაერთისთვის არის დამახასიათებელი.

## რკინა-ნახშირბადის შენადნობები

ტექნიკაში ყველაზე ფართო გამოყენება რკინისა და ნახშირბადის შენადნობებმა – ფოლადმა და თუჯმა ჰქონება. ფოლადი და თუჯი, გარდა რკინისა და ნახშირბადისა, შეიცავს მთელ რიგ სხვა მინარევებსაც, რომელთაგან ძირითადია Si, Mn, P და S. ეს მინარევები გარკვეულ გავლენას ახდენს ფოლადებისა და თუჯების თვისებებზე. მიუხედავად ამისა, თეორიულად ფოლადი და თუჯი მიწნეულია ორკომპონენტიან რკინა-ნახშირბადის შენადნობებად, ხოლო დამატებითი ელემენტების გავლენას ცალკე განიხილავთ. ამდენად, რკინა-ნახშირბადის შენადნობებში მიმდინარე წონასწორულ გარდაქმნებს და მათ საბოლოო სტრუქტურას რკინა-ნახშირბადის მდგომარეობის დიაგრამის მიხედვით აღწერება.

### 5.1. რკინა-ნახშირბადის შენადნობის სისტემის მდგრადირეობის დიაგრამა

**ძირითადი კომპონენტების დახასიათება.** რკინა-ნახშირბადის საწარმოო შენადნობები ქიმიურად რთულ მრავალკომპონენტიან სისტემებს მიეკუთვნება, თუმცა ძირითად ელემენტებს, რომლებიც შენადნობების სტრუქტურასა და თვისებებს განსაზღვრავს, რკინა და ნახშირბადი წარმოადგენს.

რკინის დნობის ტემპერატურაა  $1539^{\circ}\text{C}$ , სიმკვრივე -  $7,684 \text{ g/cm}^3$ . ხასიათდება დაბალი სისალითა და სიმტკიცით ( $\text{HB}80$ ,  $\sigma_{\text{ას}}=250-300 \text{ MPa}$ ) და მაღალი პლასტიკურობითა და სიბლანტით ( $\delta=50\%$ ,  $\psi=85\%$ ,  $a_{\text{ნა}}=3 \text{ mm}^2/\text{mm}^2$ ).

რკინის ალოტროპიზმი ზემოთ იყო განხილული.

ნახშირბადის ხსნადობის ზღვარი არსებითად არის დამოკიდებული რკინის კრისტალურ ფორმაზე. ა მოდიფიკაციაში ნახშირბადი უმნიშვნელოდ იხსნება ( $0,02\%-0,05\%$ ), ხოლო  $\gamma$  მოდიფიკაციაში ხსნადობის ზღვარი ასჯერ მეტია ( $2,14\%-3,0\%$ ).

ნახშირბადისა და სხვა ელემენტების მყარ ხსნარებს  $\gamma$  რკინაში აუსტენიტს უწოდებენ, ხოლო –  $\alpha$  რკინაში ფერიტს.

ნახშირბადის ორი მოდიფიკაციაა ცნობილი – გრაფიტი და ალმასი. გრაფიტი-სათვის დამახასიათებელია ატომების შრეობრივი განლაგება, რომლებიც ჰქქსაგონურ

როგორ კრისტალურ გისესს წარმოქმნის. ატომებს შორის მანძილი მცირება და ერთმანეთთან სამი ელექტრონით დამყარებულია კოვალენტური კავშირი, მეოთხე კი კოლექტივიზირებულია, რაც გრაფიტს კარგ ელექტროგამტარობას ანიჭებს. გრაფიტში შრებს შორის კავშირი საკმაოდ სუსტია და ისინი ადვილად გადაადგილდება ერთმანეთის მიმართ. ამიტომ გრაფიტი რკინა-ნახშირბადის შენადნობებში ყველაზე დაბალმტკიცე ფაზას წარმოადგენს.

რკინა ნახშირბადთან იძლევა ქიმიურ ნაერთს – ცემენტიტს ( $\text{Fe}_3\text{C}$ ), რომელიც ნახშირბადს შეიცავს 6,67%. რკინა-ნახშირბადის შენადნობებში ნახშირბადი შეიძლება არსებობდეს როგორც ცემენტიტის, ისე თავისუფალი, გრაფიტის სახით.

**რკინა-ნახშირბადის შენადნობთა სისტემის მდგომარეობის დიაგრამის განხილვა.** რკინა-ნახშირბადის შენადნობების სტრუქტურისა და თვისებების თავისებურებას ის გარემოება განსაზღვრავს, რომ ნახშირბადი წარმოქმნის ჩანერგვის მქარი ხსნარების ფართო არეს γ რკინასთან, α რკინასთან კი ხსნადობა მეტად შეზღუდულია.

რკინა-ნახშირბადის დიაგრამა (სურ. 5.1) მოიცავს არა მთელი Fe-C სისტემის შენადნობებს, არამედ იგი შეწყვეტილია იქ, სადაც რკინა ნახშირბადთან ცემენტიტის იძლევა.

შენადნობების კრისტალიზაცია იწყება ABCD ხაზზე და მთავრდება AHIECF ხაზზე. პირველს ლიკვიდუსის, ხოლო მეორეს სოლიდუსის ხაზი ეწოდება.

ლიკვიდუსის BC შტოზე სითხიდან გამოკრისტალდება აუსტენიტი, ხოლო CD შტოზე – ცემენტიტი  $\text{Fe}_3\text{C}$ .


აუსტენიტში ნახშირბადის მაქსიმალური ხსნადობის ზღვარი შეადგენს 2,14% (E წერტილი). შენადნობებს E წერტილის მარცხნივ, ფოლადები ეწოდება, ხოლო E წერტილის მარჯვნივ – თუჯები.

თუჯში, რომელიც ნახშირბადს 4,3%-ს შეიცავს, კრისტალიზაცია მუდმივ ტემპურატურაზე,  $1147^{\circ}\text{C}$ -ზე (ECF ხაზზე) მიმდინარეობს აუსტენიტისა და ცემენტიტის მიკრომექანიკური ნარევის, ლედებურიტის წარმოქმნით:



ასეთი შედგენილობის თუჯს გვტექტიკურს უწოდებენ.


ეტექტიკური წერტილის მიხედვით თუჯები სამ ჯგუფად იყობა: ქვეავტექტიკუ-



სურ. 5.1. რეინა-ნახშირბაძის შენადნობთა სისტემის მდგომარეობის დიაგრამა

რი, რომელიც ნახშირბადს შეიცავს 2,14-დან 4,3%-მდე, ევტექტიკური ნახშირბადის შემცველობით 4,3% და ზევტექტიკური, რომელიც ნახშირბადს 4,3-6,67%-ის ზღვრებში შეიცავს. ქვევტექტიკურ თუჯში ლედებურიტის გამოკრისტალებას წინ უსწრებს სითხიდან აუსტენიტის, ხოლო ზევტექტიკურ თუჯში – ცემენტიტის გამოყოფა, ამიტომ სითხის გამოკრისტალების შემდეგ მათი სტრუქტურა შესაბამისად იქნება აუსტენიტი+ლედებურიტი და ლედებურიტი+ცემენტიტი.

აუსტენიტი ოთახის ტემპერატურამდე მდგრადობას არ ინარჩუნებს. ფოლადში, რომელიც ნახშირბადს 0,8%-ს შეიცვავს, აუსტენიტის დაშლა მუდმივი,  $727^{\circ}\text{C}$ -ზე (PSK პორიზონტალი) მიმდინარეობს ფერიტისა და ცემენტიტის მიკრომექანიკური ნარევის წარმოქმნით, რომელსაც პერლიტი ეწოდება. გარდაქმნას ევტექტოდურს უწოდებენ:



ევტექტოდური წერტილის (S) მიხედვით ფოლადები სამ ჯგუფად იყოფა: ქვემ- ტექტოდური, რომელიც ნახშირბადს შეიცავს ზღვრებში  $0,02\%-დან$   $0,8\%-მდე$ , ევტექ- ტოდური ნახშირბადის შემცველობით  $0,8\%$  და ზეპირესტოდური, რომელიც ნახშირ-


ბადს 0,8-2,14%—ის ზღვრებში შეიცავს. ქვევტექტოიდურ ფოლადებში პერლიტურ გარდაქმნას წინ უსწრებს აუსტენიტიდან ფერიტის (GS ხაზი), ხოლო ზევტექტოიდურ ფოლადებში – მეორეული ცემენტიტის ( $Fe_3C_{II}$ , SE ხაზი) გამოყოფა. შესაბამისად, ქვევტექტოიდური ფოლადის სტრუქტურა იქნება ფერიტი+პერლიტი, ევტექტოიდურისა – პერლიტი, ზევტექტოიდურისა – პერლიტი+ $Fe_3C_{II}$ .

შენადნობი, რომელიც ნახშირბადს 0,02%-მდე შეიცავს, ტექნიკური რკინის სახელწოდებითაა ცნობილი.

ანალოგიური გარდაქმნები მიმდინარეობს თუჯების სტრუქტურაში შემავალ აუსტენიტშიც, ამიტომ ოთახის ტემპერატურაზე ქვევტექტიკური თუჯის სტრუქტურა იქნება პერლიტი+ლედებურიტი, ევტექტიკურისა – ლედებურიტი (პერლიტი+ცემენტიტი), ხოლო ზევტექტიკურისა – ლედებურიტი+ცემენტიტი.


## 5.2. ნახშირბადიანი ფოლადი

**ფოლადის სტრუქტურა და თვისებები.** რკინა-ნახშირბადის შენადნობების მიკროსტრუქტურა განისაზღვრება სისტემის მდგომარეობის დიაგრამის მიხედვით. თუ შენადნობში ნახშირბადის რაოდენობა არ აღემატება 0,01%, სტრუქტურაში ყალიბდება სუფთა ფერიტი (სურ. 5.2, а), ხოლო თუ იცვლება ზღვრებში 0,01-0,02%, მიკროსტრუქტურაში ფერიტის მარცვლის საზღვრებში ე.წ. მესამეული ცემენტიტი ( $Fe_3C_{III}$ ) გამოიყოფა (ბ). ფერიტის მარცვლები დია ფერის პოლიედრების სახით მუდავნდება. ცემენტიტი ძნელად იწამლება და მიკროსკოპში კრიალა ჩანართების სახით მოჩანს.



სურ. 5.2. ტექნიკური რკინის მიკროსტრუქტურა. x400.  
ა— $C \leq 0,01\%$ , ფერიტი; ბ— $C=0,01-0,02\%$ , ფერიტი და  $Fe_3C_{II}$   
(თეთრი უბნები მარცვლის საზღვრებში)

ქვევტებით ფოლადის მიკროსტრუქტურაში პერლიტი მუქი ფერის არა-ერთგვაროვანი ჩანართების სახით მეღავნდება. სტრუქტურაში ფერიტისა და პერლიტის რაოდენობა დამოკიდებულია ფოლადში ნახშირბადის შემცველობაზე. რაც უფრო მეტია ფოლადში ნახშირბადი, მით უფრო მეტია სტრუქტურაში პერლიტი (სურ. 5.3).




სურ. 5.3. ფოლადის მიკროსტრუქტურა. x200. ნახშირბადის შემცველობა, %:  
 $\delta$ -0,15;  $\delta$ -0,25;  $\gamma$ -0,30;  $\delta$ -0,42;  $\gamma$ -0,50;  $\delta$ -0,60

როდესაც ნახშირბადის შემცველობა აღწევს 0,8%, სტრუქტურა პერლიტურით იცვლება (სურ. 5.4, а). ზევტებით ფოლადის სტრუქტურაში კი პერლიტის კოლონიების საზღვრებში ყალიბდება მეორეული ცემენტიტი ძირითადად ბადის სახით (ბ).

ფოლადის თვისებებს, სხვა თანაბარ პირობებში, ნახშირბადის შემცველობა განსაზღვრავს. ნახშირბადის რაოდენობის გაზრდასთან ერთად სისალე და სიმტკიცე იზრდება, ხოლო პლასტიკურობა და სიბლანტე კლებულობს.

**მუდმივი მინარევები ფოლადში.** ფოლადი რკინისა და ნახშირბადის გარდა, შეიცავს სილიციუმს, მანგანუმს, ფოსფორსა და გოგირდს. ეს ელემენტები ფოლადში სხვადასხვა გზით ხვდება. მაგალითად, დნობის პროცესში განუანგის შედეგად მასში სილიციუმი და მანგანუმი გადადის; მადანს მოჰყვება და საკმაოდ ძნელი მოსაშორებელია ფოსფორი და გოგირდი.



სურ. 5.4. ევტექტოიდური (ა,  $\times 1500$ ) და ზევტექტოიდური (ბ, 400)  
ფოლადების მიკროსტრუქტურა

სილიციუმის რაოდენობა ფოლადში 0,15-0,35%-ის ზღვრებშია. სილიციუმი იხსნება ფერიტი და საგრძნობლად ზრდის მის სისალეს, დენადობისა და სიმტკიცის ზღვარს, მაგრამ ამავე დროს ამცირებს პლასტიკურობას.

მანგანუმის რაოდენობა იცვლება ზღვრებში 0,5-0,8%. მანგანუმიც იხსნება ფერიტში და ზრდის მის სისალესა და სიმტკიცეს. გარდა ამისა, ნახშირბადთან წარმოქმნის კარბიდს, რომელიც თვისებებით ცემენტიტის ანალოგიურია. ამგვარად, ზოგადად შეიძლება ითქვას, რომ მანგანუმი ზრდის ფოლადის სისალესა და სიმტკიცეს.

ფოსფორი და გოგირდი ფოლადში მავნე მინარევებს მიეკუთვნება. ფოსფორი რკინასთან იძლევა ფოსფიდს  $Fe_3P$ . ფოსფორის გავლენით იზრდება ფოლადის სისალე, მაგრამ მკვეთრად მცირდება მისი დარტყმითი სიბლანტე და მაღლა იწევს გამყიფების ტემპერატურა. ფოსფორის გავლენით განვითარებულ სიმყიფეს ცივმეტებობა ეწოდება. ფოსფორის შემცველობა ფოლადში არ უნდა აღემატებოდეს 0,05%.

გოგირდი რკინაში არ იხსნება და ფოლადში რკინის სულფიდის,  $FeS$ -ის სახით გვხვდება.  $FeS$  დნობის დაბალი ტემპერატურით ხასიათდება. გარდა ამისა, იგი რკინასთან იძლევა ევტექტიკას ( $Fe+FeS$ ), რომლის დნობის ტემპერატურაა  $985^{\circ}C$ . ფოლადის გამყარების პროცესში ევტექტიკა მარცვლის საზღვრებში გამოკრისტალდება. ასეთი ფოლადის წნევით დამუშავების ტემპერატურამდე ( $800-1200^{\circ}C$ ) გახურებისას ევტექტიკა იწევს შემოდნობას, ასესტებს მარცვლებს შორის კავშირს და ფოლადი მყიფდება – წარმოიქმნება ცხელი ბზარები და ნაპრალები. ამ მოვლენას წითელმეტებობა ეწოდება. გოგირდის შემცველობა ფოლადში არ უნდა აღემატებოდეს 0,04%.

მანგანუმის განსაკუთრებით დაღებითი გავლენა იმაში გამოიხატება, რომ იგი მნი-

შვნელოვნად ასუსტებს გოგირდის უარყოფით გავლენას ფოლადის თვისებებზე.

**ნახშირბადიანი ფოლადის კლასიფიკაცია.** ფოლადის კლასიფიკაციას აწარმოებენ ქიმიური შედგენილობის, სტრუქტურისა და დანიშნულების მიხედვით.

ქიმიური შედგენილობის მიხედვით ფოლადები ორ დიდ ჯგუფად იყოფა – ნახშირბადიან და ლეგირებულ ფოლადებად. ნახშირბადიანი ფოლადი შეიცავს რკინას, ნახშირბადს და მცირე რაოდენობით გარდუვალ (მუდმივ) მინარევებს (Si, Mn, P და S).

ლეგირება გულისხმობს მასალის შედგენილობის მიზანდასახულად შეცვლას სასურველი სტრუქტურისა და თვისებების მისაღებად მასში სხვადასხვა ელემენტის დამატების გზით. აქედან გამომდინარე, ლეგირებული ფოლადი, გარდა ზემოთაღნიშნული ელემენტებისა, დამატებით შეიცავს ერთ ან რამდენიმე ელემენტს, რომლებიც ფოლადს თვისებათა დიდ მრავალფეროვნებას ანიჭებს (უჟანგაობას, მხურვალმედვეგობას, მხურვალმტკიცობას და ა.შ). ასეთ ფოლადს ლეგირებულს უწოდებენ, ხოლო სპეციალურად შევანილ ელემენტებს – მაღლებრივ ელემენტებს.

ფოლადის კლასიფიკაცია სტრუქტურის მიხედვით ზემოთ იყო განხილული.

დანიშნულების მიხედვით ანსხვავებენ საკონსტრუქციო, საიარაღო და განსაკუთრებული თვისებების მქონე ფოლადებს.

**საკონსტრუქციო ფოლადი.** ხარისხის მიხედვით საკონსტრუქციო ნახშირბადიანი ფოლადი ორგვარია: ჩვეულებრივი ხარისხის, ანუ საერთო დანიშნულებისა და ხარისხოვანი.

ჩვეულებრივი ხარისხის საკონსტრუქციო ფოლადი შეიცავს 0,6%-მდე ნახშირბადს. მეტალურგიული ქარხნიდან ასეთი ფოლადი გამოდის წნელების, ლენტების, სხვადასხვა პროცესის ნაგლინის (კუთხოვანა, შველერი, ტესტერი, ორტესებრი და ა.შ) სახით.

დასტ-ს სივრცეში მოქმედი სტანდარტების მიხედვით ჩვეულებრივი ხარისხის ფოლადები იყოფა სამ ჯგუფად: A, B და C.

A ჯგუფში გაერთიანებულია ფოლადები, რომელთა მიწოდება მეტალურგიული ქარხნიდან ხდება გარანტირებული მექანიკური თვისებებით. ფოლადის მარკა აღინიშნება ასოებით Ct (Сталь), რომლის შემდეგ იწერება ციფრები 0; 1; 2; 3 და ა.შ. 6-მდე. მაგალითად, Ct0; Ct1; Ct2; Ct3. რაც უფრო მეტია ციფრი, მით უფრო მაღალია სიმტკიცის მახასიათებლები, მაგრამ პლასტიკურობა მცირდება.

Б ჯგუფში შედის ფოლადები, რომელთა მიწოდება მეტალურგიული ქარხნიდან ხდება გარანტირებული ქიმიური შედგენილობით. მისი მარკა იგივე სისტემით აღინიშნება, მხოლოდ წინ ეწერება ჯგუფის კუთვნილების აღმნიშვნელი ასო Б. მაგალითად, BCt3.

В ჯგუფის ფოლადებს ქარხანა უშვებს როგორც გარანტირებული ქიმიური შედგენილობით, ისე მექანიკური თვისებებით. მარკაში პირველ ადგილზე იწერება ასო В, შემდეგ CT და შესაბამისი ციფრი. მაგალითად, BCt2, BCt3, BCt4, BCt5. ამ ჯგუფის ყოველი მარკის ფოლადში მექანიკური თვისებები ეთანადება A ჯგუფის შესაბამისი მარკის, ხოლო ქიმიური შედგენილობა – Б ჯგუფის შესაბამისი მარკის ფოლადს.

ჩვეულებრივი ხარისხის ნახშირბადიანი ფოლადი მრავალი დანიშნულებით გამოიყენება. ეს არის შედუღებული სამშენებლო კონსტრუქციები, ხიდები, სახურავი თუნექი, მცირედ და საშუალოდ დატვირთული მანქანათა ნაწილები (კბილანა, ლილვი, დერძი, სამაგრი დეტალები).

ხარისხოვანი საკონსტრუქციო ფოლადი ნახშირბადს შეიცავს 0,85%-მდე. იგი გამოირჩევა მავნე მინარევების (P, S) ნაკლები შემცველობით, ამიტომ უფრო მაღალი თვისებუბით ხასიათდება და უფრო საპასუხისმგებლო შემთხვევებშიც გამოიყენება.

ხარისხოვანი ფოლადის ნიშანდება ხდება ქიმიური შედგენილობის მიხედვით. მარკაში იწერება ორნიშნა რიცხვი, რომელიც მიუთითებს ნახშირბადის საშუალო შემცველობას პროცენტის მეასებებით. მაგალითად, ფოლადი 05; 08; 10; 15; 20 და ა.შ.

ხარისხოვანი ფოლადი არსებითად არის სამანქანო ფოლადი. იგი მრავალი დანიშნულებისაა. ნახშირბადმცირე ფოლადი 05-დან ფოლად 20-მდე ფართოდ გამოიყენება ცივი შტამპისათვის. მათგან მზადდება სახურავი თუნექი, საქვაბე ფურცლები, მცირედ დატვირთული სამაგრი დეტალები, შენადუდი და საცემენტაციო ნაწილები.

საშუალონახშირბადიანი ფოლადები (30-50) გამოიყენება მანქანათა ნაწილების, კერძოდ, მცირედ და საშუალოდ დატვირთული დერძების, ლილვების, მუხლა ლილვების, კბილანების და ა.შ. დასამზადებლად.

ნახშირბადუხვი ფოლადი 60-65 ხასიათდება გაზრდილი სიმტკიცით და დრეკადობით. გამოიყენება უფრო მძიმედ დატვირთული ნაწილებისა და სხვადასხვა სახის ზამბარებისა და რესორების დასამზადებლად.

ხარისხოვანი საკონსტრუქციო ფოლადები გამოიყენება მხოლოდ თერმულად დამუშავებულ მდგომარეობაში.

სამანქანე ფოლადებს მიეკუთვნება აგრეთვე სამსხმელო ფოლადი, რომლის ნიშანდე

ბა იგივე პრინციპით ხდება, მაგრამ მარკის ბოლოში იწერება ასო ლ. მაგალითად, ფოლადი 20Л; 25Л და ა.შ.

განუანგვის ხარისხის მიხედვით არჩევენ მშვიდ, მდუღარე და ნახევრად მშვიდ ფოლადებს. მშვიდი ფოლადი მიიღება სრული განუანგვის შედეგად სილიციუმით, მაგანუმით და ალუმინით.

მდუღარე ფოლადი განუანგულია ნაწილობრივ – მხოლოდ მანგანუმით. ამიტომ სილიციუმის რაოდენობა მასში არ აღემატება 0,07%. ეს კი მნიშვნელოვნად ზრდის ფოლადის პლასტიკურობას. ამიტომ მდუღარე ფოლადებს ფართოდ იყენებენ ცივი დეფორმაციისათვის.

ნახევრად მშვიდი ფოლადი განუანგულია მანგანუმითა და ალუმინით. თვისებებით მას შუალედური ადგილი უჭირავს მშვიდსა და მდუღარე ფოლადებს შორის.

თუ ფოლადი მშვიდია, მარკის ბოლოს ემატება აღნიშვნა ცپ (спокойная), ნახევრად მშვიდს – ცც (полуспокойная), ხოლო მდუღარეს – კპ (кипящая). მაგალითად, БСт2кп, 08кп.

**საიარადო ფოლადი.** საიარადო ფოლადს მიეკუთვნება ნახშირბადუხვი ფოლადები ნახშირბადის შემცველობით 0,7-1,3%-ის ზღვრებში. მისი მარკა აღინიშნება უ ასოთი. შემდეგ დგას რიცხვი, რომელიც მიუთითებს ნახშირბადის რაოდენობას პროცენტის მეათუდებით. მაგალითად, ფოლადი უ7 საშუალოდ შეიცავს 0,7% ნახშირბადს, უ8 – 0,8% და ა.შ. თუ მარკის ბოლოს წერია ასო A, ეს ფოლადის მაღალხარისხოვნების მაჩვენებელია (0,02%S და 0,03%P).

ნახშირბადიანი საიარადო ფოლადი ზოგადად შემდეგი დანიშნულებით გამოიყენება:

У7 – ისეთი იარაღების დასამზადებლად, რომლებსაც მაღალ სისალესთან ერთად მნიშვნელოვანი სიბლანტეც მოეთხოვება. ასეთი იარაღი დარტყმითი დატვირთვების პირობებში მუშაობს. მათ მიეკუთვნება ლოჯები, სამჭედლო ტვიფრები, საზეინკლო ჩაქუჩები და ა.შ. უ8-უ9 – დაახლოებით იმავე დანიშნულებით გამოიყენება, მხოლოდ მეტი სისალის მოთხოვნის შემთხვევაში (საჭედლო სახვრეტებები, ხერხები, საჭრისები); უ10-უ11 – გამოიყენება ისეთი იარაღის დასამზადებლად, რომლებიც მკვეთრ დარტყმას არ განიცდის (საჭრისები, ბურღები, გარესახრახნები და შიგასახრახნები, ფრეზები და ა.შ); უ12-უ13 – იმავე ჭრელი იარაღებისათვის, მაგრამ დარტყმითი დატვირთვები გამორიცხულია.

საიარადო ფოლადები განმამტკიცებელი თერმული დამუშავების გარეშე არ გამოიყენება.

### 5.3. ተቋዬ

თუკი ფოლადთან შედარებით მეტი რაოდენობით შეიცავს ნახშირბადს და გარდუვალ მინარევებს – სილიციუმს (0,5-4,5%), მანგანუმს ( $\leq 1\%$ ), ფოსფორსა (0,6-0,8%) და გოგირდს (0,08-0,12%). ნახშირბადის მდგომარეობისა და ფორმის მიხედვით არჩევენ თეთრ, რუხ, მაღალი სიმტკიცისა და ჭედად თუკებს.

თეორმა თუკმა ასეთი დასახელება ტეხილის შეფერილობის მიხედვით მიიღო, რომელიც თეორი, მქრქალი ფერით ხასიათდება. თეორ თუკ ში ნახშირბადი მთლიანად ცემენტიტშია დაკავებული, ამიტომ მისი დნობისა და გამყარების პროცესი და სტრუქტურა რეინა-ცემენტიტის მდგომარეობის დიაგრამით აიწერება. რადგან თეორი თუკი დიდი რაოდენიბით შეიცავს ცემენტიტს, იგი ხასიათდება ძალიან მაღალი სისალით. სისალე მთლიანად დამოკიდებულია ნახშირბადის რაოდენობაზე. ევტექტიკური თუკის სისალე 450 HB-ს შეადგენს. ამავე დროს თეორი თუკი მეტად მყიფეა და ჭრით ძნელად მუშავდება. მაღალი სისალისა და სიმყიფის გამო მანქანაობშენებლობაში თეორი თუკი იშვიათად გამოიყენება

რუს თუმჯში ნახშირბადი მთლიანად ან ნაწილობრივ თავისუფალი, გრაფიტის სახით არის გამოყოფილი. გრაფიტი თუმჯს ტეხში რუს ფერს აძლევს.

რუხის თუჯის სტრუქტურა განიხილება როგორც ლითონური ფუძე, რომელშიც განლაგებულია გრაფიტის ჩანართები. მიკროსკოპული კვლევისათვის ნიმუშის მოზადების დროს გრაფიტის ჩანართები არ პრიალდება, ამიტომ მათი შესწავლა ხდება მჟავით ამოუჭმელ ნიმუშებზე. ამ შემთხვევაში მიკროსკოპში გაპრიალდებულ, კაშკაშა არეში მოჩანს მუქი ფერის გრაფიტის ჩანართები.

ჩვეულებრივ რუს თუჯში გრაფიტის ჩანართები ყოველთვის ფირფიტოვანია. მიკროხეხის სიმჟავით დამუშავების შემდეგ მჟღავნდება ლითონური ფუძის სტრუქტურა, გრაფიტის ჩანართები კი მირითადად უცვლელი რჩება.

ლითონური ფუძის აგებულების მიხედვით თუჯები სამ ჯგუფად იყოფა: ფერიტული, ფერიტო-პერლიტური და პერლიტური.


რუხი ფერიტული თუჯის ლითონური ფუძის მიკროსტრუქტურას ფერიტი წარმოადგენს. ასეთი სტრუქტურის მქონე თუჯში მთელი ნახშირბადი, რომელსაც შენადნობი შეიცავს, გრაფიტის სახით არის გამოყოფილი. თუჯს ფერიტული კლასის რუხი თუჯი ეწოდება. მისი სტრუქტურაა ფერიტი+გრაფიტი (სურ. 5.5, а), სადაც ფერიტის

მრავალწახნაგა მარცვლების ფონზე განლაგებულია გრაფიტის ფირფიტები.

რეს ფერიტო-პერლიტურ თუჯში ცემენტიტში დაკავებული ნახშირბადის რაოდენობა ნაკლებია 0,8%-ზე. მისი სტრუქტურა შედგება ფერიტისა, პერლიტისა და გრაფიტის ჩანართებისაგან (სურ. 5.5, ბ). ფერიტისა და პერლიტის ურთიერთშეფარდება დამოკიდებულია ცემენტიტში დაკავებული ნახშირბადის რაოდენობაზე. რაც უფრო ნაკლებია ბმული ნახშირბადი, მით უფრო მეტი იქნება ლითონური ფუძის სტრუქტურაში ფერიტი და პირიქით. ასეთ რეს თუჯს ფერიტო-პერლიტური კლასის რეხი თუჯი ეწოდება.

პერლიტური რეხი თუჯის ლითონური ფუძის სტრუქტურა პერლიტურია. როგორც ცნობილია, პერლიტი შეიცავს 0,8% ნახშირბადს. მაშასადამე, ნახშირბადის აღნიშნული რაოდენობა რეს თუჯში ცემენტიტშია დაკავებული, ხოლო დანარჩენი გამოყოფილია გრაფიტის სახით. თუჯს პერლიტური კლასის რეხი თუჯი ეწოდება და მისი სტრუქტურაა პერლიტი+გრაფიტი (სურ. 5.5, გ).

თუჯი გრაფიტის ფირფიტოვანი ჩანართებით შედარებით დაბალი მექანიკური თვისებებით ხასიათდება. სხვადასხვა ტექნოლოგიური საშუალებით შესაძლებელია უფრო სელსაყრელი ფორმის გრაფიტის ჩანართების მიღება. მაგალითად, მოდიფიცირებით – დაკლაკნილი, თეთრი თუჯის გარკვეული რეჟიმით მოწვის შედეგად – ფიცქისებრი (ბუდობრივი), ხოლო მაგნიუმით მოდიფიცირებით – მომრგვალებული, ანუ




სურ. 5.5. რეხი თუჯის  
მიკროსტრუქტურა. x200.


ა-ფერიტული, ბ-ფერიტო-პერლიტური,  
გ-პერლიტური

ბ

სფეროიდული. თუჯს გრაფიტის სფეროიდული ფორმის ჩანართებით მაღალი სიმტკიცის თუჯს უწოდებენ, ხოლო ბუდობრივი ჩანართებით – ჭედად თუჯს. ისევე, როგორც რუხ თუჯში, აქაც ლითონური ფუძის სტრუქტურა შეიძლება იყოს ფერიტული, ფერიტო-პერლიტური და პერლიტური (სურ. 5.6. 5.7.).



სურ. 5.6. მაღალი სიმტკიცის თუჯის მიკროსტრუქტურა. x200.  
ა-ფერიტული, ბ-ფერიტო-პერლიტური, გ-პერლიტური



სურ. 5.7. ჭედადი თუჯის მიკროსტრუქტურა. x200.  
ა-ფერიტული, ბ-ფერიტო-პერლიტური, გ-პერლიტური

თუჯების ნიშანდება ხდება მექანიკური თვისებების მიხედვით. რუხი თუჯის მარგა აღინიშნება ასოებით СЧ (серый чугун), შემდეგ იწერება რიცხვი, რომელიც მიუთითებს სიმტკიცის ზღვარს გაჭიმვაზე. მაგალითად, СЧ10, СЧ20, СЧ25.

მაღალი სიმტკიცის თუჯის მარგას აღინიშნავენ ასოებით ВЧ (высокопрочный чу-

гун), შემდეგ იწერება ორი რიცხვი, რომელთაგან პირველი მიუთითებს სიმტკიცის ზღვარს გაჭიმვაზე, ხოლო მეორე – ფარდობით წაგრძელებას. მაგალითად, ვЧ 38-17; ვЧ 45-5; ვЧ 120-2.

ჰედადი თუკის ნიშანდება ისეთივე პრინციპით ხდება, როგორც მაღალი სიმტკიცის თუკისა, მხოლოდ მარკის წინ იწერება ასოები კЧ (ковкий чугун). მაგალითად, კЧ30-6; კЧ 35-10.

როგორც აღვნიშნეთ, თუკის სტრუქტურა შედგება ლითონური ფუძისა და გრაფიტული ჩანართებისაგან. აქედან გამომდინარე, მისი თვისებები დამოკიდებული იქნება როგორც ლითონური ფუძის სტრუქტურაზე, ისე გრაფიტული ჩანართების რაოდენობასა და ხასიათზე.

გრაფიტი ფოლადთან შედარებით უმნიშვნელო სისალითა და სიმტკიცით ხასიათდება. გარდა ამისა, მათ ლითონურ ფუძესთან არსებითად კავშირი არა აქვს, ამიტომ გრაფიტული ჩანართები პირველი მიახლოებით შეიძლება განვიხილოთ როგორც სიცარიელე, ბზარი, რომელიც ასუსტებს ლითონურ ფუძეს. აქედან გამომდინარე, თუკი სტრუქტურულად შეიძლება განვიხილოთ როგორც სიცარიელეებითა და ბზარებით დაქსაქსული ფოლადი. ბუნებრივია, რაც უფრო მეტი მოცულობა უკავია სიცარიელეს, მით უფრო დაბალი იქნება თუკის მექანიკური თვისებები.

ფირფიტოვან ჩანართებს ბზარების სახე აქვს, რომლის ბოლოები ძაბვათა კონცენტრაციას იწვევს. ამიტომ რუხი თუკი ხასიათდება დაბალი წინააღმდეგობით გამჭიმავი და, განსაკუთრებით, დარტყმითი დატვირთვების მიმართ.

გრაფიტის მომრგვალებული ჩანართები არ წარმოქმნის ძაბვების მკვეთრ კონცენტრაციას, ამიტომ თუკი გრაფიტის მომრგვალებული ჩანართებით (მაღალი სიმტკიცის თუკი) ხასიათდება მნიშვნელოვნად მაღალი სიმტკიცით გაჭიმვაზე და ღუნვაზე. ჭედად თუკს ფიფქისებრი გრაფიტის ჩანართებით შეაღედური მდგომარეობა უკავია ჩვეულებრივ რუხ და მაღალი სიმტკიცის თუკებს შორის.

რიგ შემთხვევებში გრაფიტის ჩანართები თუკს მთელ რიგ ღირსშესანიშნავ ტექნოლოგიურ თვისებებს ანიჭებს ფოლადთან შედარებით. კერძოდ, რუხი თუკი ხასიათდება დაბალი დნობის ტემპერატურითა და მაღალი თხევადდენადობით. ამასთან, კრისტალიზაცია მუდმივ ტემპერატურაზე მთავრდება ევტექტიკის წარმოქმნით. გრაფიტის გამოყოფის გამო კრისტალიზაციის პროცესში რუხი თუკი ფართოვდება. ყოველივე ეს უზრუნველყოფს სამსხმელო ყალიბის კარგ შევსებას და რთული ფორმის

ნაკეთობის ჩამოსხმით დამზადების შესაძლებლობას. გარდა ამისა, ჩაჯდომის სიდიდე რუხ თუჯში გაცილებით უფრო ნაკლებია თეთრ თუჯთან და ფოლადთან შედარებით, რაც ამარტივებს სხმულის დამზადების ტექნოლოგიას.


თუჯში გრაფიტის არსებობა განაპირობებს მონატები ბურბუშელის წარმოქნას, რაც აადგილებს თუჯის ჭრით დამუშავებას. იგი ხელს უწყობს აგრეთვე ვიბრაციის სწრაფად ჩაქრობას.

თუჯი კარგი ანტიფრიქციული მასალაა, რადგან გრაფიტი თვითონ ხასიათდება პოხვის უნარით და კარგად აკავებს საპოხ ნივთიერებას.

ყოველივე ამის გამო თუჯი ფართოდ გამოიყენება მრეწველობაში მანქანათა ისეთი ნაწილების დასამზადებლად, რომლებიც ექსპლუატაციის დროს გამჭიმავ და დარტყმით დატვირთვებს არ განიცდის.

## ლითონის თერმული დამუშავება

თერმული დამუშავება არის ლითონების თვისებათა სასურველი მიმართულებით შეცვლის უმნიშვნელოვანების საშუალება. თერმული დამუშავების დროს იცვლება ლითონის სტრუქტურა და, შესაბამისად, თვისებები მისი ქიმიური შედგენი-ლობის შეუცვლელად.



**სურ. 6.1. თერმული დამუშავების  
ზოგადი გრაფიკი**

თერმულ დამუშავებაზე ორი ძირითადი ფაქტორი მოქმედებს: ტემპერატურა და დრო. ამიტომ ნებისმიერი თერმული დამუშავების რეჟიმი შეიძლება გამოისახოს კოორდინატებზე ტემპერატურა ( $t$ ) – დრო ( $\tau$ ). 6.1 სურათზე წარმოდგენილია თერმული დამუშავების ზოგადი გრაფიკი.

თერმული დამუშავების რეჟიმს შემდეგი ძირითადი პარამეტრები ახასიათებს: გახურების ტემპერატურა  $t_{გაქ}$ . ეს არის ზედა ზღვრული ტემპერატურა, სადამდეც ნაკეთობა ხურდება თერმული დამუშავების დროს; გახურების ტემპერატურაზე ნაკეთობის დაყოვნების დრო  $\tau_{დაჭ}$ ; გახურების სიჩქარე  $v_{გახ}$ . და გაცივების სიჩქარე  $v_{გაც}$ . თერმული დამუშავების გრაფიკით შეიძლება ნებისმიერი სახის თერმული დამუშავების რეჟიმი გამოისახოს.

თერმული დამუშავების ძირითადი სახეებია: მოწვა, წრთობა და მოშვება.

### 6.1. მოწვა

მოწვის პროცესი ორგვარია: პირველი გვარის და მეორე გვარის.


პირველი გვარის მოწვაში შედის სარეკრისტალიზაციო, საჰომოგენიზაციო და ძაბვების მოსახსნელი მოწვა.

როგორც ცნობილია, ცივჭედვას ლითონი სტრუქტურულად არაწონასწორულ მდგომარეობაში გადაჰყავს, რაც სისალისა და სიმტკიცის მახასიათებლების ზრდასა და პლასტიკურობის შემცირებას იწვევს. ცივჭედვის მოსახსნელად მიმართავენ სარგ-

კრისტალიზაციონ მოწვას. ნახშირბადიანი ფოლადის სარეკრისტალიზაციონ მოწვის ტემპერატურა  $600\text{--}700^{\circ}\text{C}$ -ის ზღვრებშია, დაყოვნების დრო – 1–2 საათი. ამ დროს ციგნაჭედი ლითონის დამახინჯებული მარცვლების საზღვრებზე ჩაისახება და იზრდება ახალი წონასწორული მარცვლები.

შენადნობების კრისტალიზაციის დროს ხშირად ადგილი აქვს ქიმიურ არაერთგვაროვნებას ანუ დენდრიტულ ლიკვაციას (სურ. 6.2, ა), რომელიც ფოლადის თვასებების ანიზოტროპიას იწვევს. ლიკვაციის მოსპობა უნდა მოხდეს ქიმიური ელემენტების დიფუზიის ხარჯზე, ამიტომ პროცესი მაღალტემპერატურული მოწვის გზით ხორციელდება, რომელსაც პომოგენიზაციას უწოდებენ. პომოგენიზაციის შემდეგ ყალიბდება წონასწორული, პოლიედრული სტრუქტურა (ბ).

პომოგენიზაციის ტემპერატურა ფოლადებისათვის  $1100\text{--}1200^{\circ}\text{C}$  შეადგენს ხოლო დაყოვნების დრო – 10–20 საათს. გაცივება ხდება ძალიან ნელა, ისე რომ მთელი პროცესი ხშირად 80–100 საათს გრძელდება.



სურ. 6.2. 70% Cu 30% Ni შენადნობის მიკროსტრუქტურა.  
ა – სხმულ მდგომარეობაში – დენდრიტული აგებულება;  
ბ – ერთგვაროვანი სტრუქტურა პომოგენიზაციის შემდეგ

ლებში, ნაჭედებსა და შენადუდ უბნებში ნარჩენი შიგა თერმული ძაბვები წარმოიქმნას. დაძაბულობა შეიძლება მოიხსნას ლითონის პლასტიკური დეფორმაციის ხარჯზე, რაც ნაკეთობის დაბრეცას ან დაბზარვას გამოიწვევს. ამ უარყოფითი მოვლენის ასაცილებლად ნაკეთობას უტარებენ მოწვას ძაბვების მოსახსნელად: ნაკეთობას ახურებენ  $550\text{--}680^{\circ}\text{C}$ -ზე და აყოვნებენ დაახლოებით 2,5 წუთს ნაკეთობის განივთვეთის ყოველ 1 მილიმეტრზე. გაცივება ნელა ხდება.

მეორე გვარის მოწვის სახეებია: სრული მოწვა, არასრული მოწვა და ნორმალიზაცია.


ფოლადი წონასწორულ მდგომარეობაში ფერიტ-კერლიტური სტრუქტურით ხა-

პომოგენიზაციის შედეგად ლითონის მარცვლები ინტენსიურად იზრდება, ამიტომ ხშირად აუცილებელი ხდება მისი სტრუქტურის გამოსწორება.

ნაკეთობათა დამზადების ტექნოლოგიური პროცესი შეიძლება ისეთი იყოს, რომ მსხვილ სხმუ-

სიათდება, რომელსაც შედარებით დაბალი სისალე და სიმტკიცე აქვს, მაგრამ ხასიათდება გაზრდილი პლასტიკურობით. ფოლადის ნაკეთობათა დამზადების ტექნოლოგიური პროცესები არ გამორიცხავს შედარებით აჩქარებულ გაცივებას, რის შედეგადაც შეიძლება ჩამოყალიბდეს გარდამავალი სტრუქტურები გაზრდილი სისალით, რაც მნიშვნელოვნად აძნელებს ლითონის შემდგომ მექანიკურ დამუშავებს.


არასასურველი სტრუქტურის შესაცვლელად აუცილებელია ლითონის სრული გადაკრისტალება და ერთგვაროვანი აუსტენიტის მიღება. ამ მიზნით ქვევტექტოიდურ ფოლადს ახურებენ  $Ac_3$  კრიტიკული წერტილის ( $GS$  ხაზი  $Fe-C$  დიაგრამაზე) ზემოთ  $(30-50)^0C$ -ით, აყოვნებენ ნაკეთობის განივევეთში ტემპერატურის გათანაბრებამდე და შემდეგ ნელი სიჩქარით აცივებენ. მოწვის შემდეგ არასასურველი სტრუქტურა წვრილ-მარცვლოვანი ფერიტ-კერლიტური სტრუქტურით იცვლება მისთვის დამახასიათებელი თვისებებით. ასეთი რეჟიმით მოწვას სრული მოწვა ეწოდება.



სურ. 6.3. მარცვლოვანი  
პერლიტი. x500

ზევტექტოიდურ ფოლადს ძირითადად არასრული მოწვა უტარდება. ამ შემთხვევაში ნაკეთობას ახურებენ  $Ac_1$  ( $PSK$  პორიზონტალი  $Fe-C$  დიაგრამაზე) ტემპერატურის ზემოთ  $(740-770)^0C$ -მდე) და დაყოვნების შემდეგ ნელა აცივებენ. მოწვის შემდეგ ცემენტიტი ფირფიტოვანის ნაცვლად მომრგვალებულ ფორმას დებულობს. ასეთ სტრუქტურას მარცვლოვან პერლიტს უწოდებენ (სურ. 6.3), ხოლო პროცესს – სფეროიდიზაციას. მარცვლოვანი პერილტი ფირფიტოვანთან შედარებით ნაკლები სისალითა და სიმტკიცით, მაგრამ გაზრდილი პლასტიკურობითა და სიბლანტით ხასიათდება. სფეროიდიზაციას განსაკუთრებით ხშირად საიარადო ნახშირბადიან ფოლადებს უტარებენ.

ნორმალიზაცია არსებითად სრული მოწვის სახესხვაობაა და იმაში მდგომარეობს, რომ  $Ac_3$  ( $Ac_{cm}$ ,  $SE$  ხაზი  $Fe-C$  დიაგრამაზე)+ $(30-50)^0C$  ტემპერატურამდე გახურებისა და დაყოვნების შემდეგ ნაკეთობას მშვიდ ჰაერზე აცივებენ. ნორმალიზაციის მიზანია სხმული, ნაჭედი ან ნატვიფრი ნაკეთობის მსხვილმარცვლოვანი სტრუქტურის შეცვლა წვრილმარცვლოვანით. 6.4 სურათზე წარმოდგენილია მოწვის ტემპერატურული არეები.



#### სურ. 6.4. მოწვის ტემპერატურული არეები


## 6.2. ՑՐԸՆԱՑՈՒՅԹ ՊՐԵՄԻԱ

წრობის მიზანია ნაკეთობის სისალის, სიმტკიცისა და ცვეთამედეგობის გაზრდა. ამ მიზნით ნაკეთობას ახურებენ ფაზური გარდაქმნების ტემპერატურის ზემოთ, აყოვნებენ და გადიდებული სიჩქარით აცივებენ, რა დროსაც ყალიბდება არაწონასწორული სტრუქტურა მისოვის დამახასიათებელი გაზრდილი სისალისა და სიმტკიცის მახასიათებლებით.

როგორც ჩვენთვის უკვე ცნობილია, აუსტენიტი თთახის ტემპერატურამდე მდგრადობას არ ინარჩუნებს და გაცივების პროცესში პერლიტურ გარდაქმნას განიცდის. გარდაქმნის შედეგად ფოლადში ჩამოყალიბებული სტრუქტურების ხასიათსა და თვისებებს გარდაქმნის ტემპერატურა (გაცივების სიჩქარე) განსაზღვრავს. რადგან აუსტენიტის დაშლა დროში მიმდინარეობს, პროცესს აუსტენიტის იზოთერმული გარდაქმ-

ნის დიაგრამასთან კავშირში განიხილა-  
ვენ, რომლის სქემა 6.5 სურათზეა წარ-  
მოდგენილი.

*a* მრუდი არის აუსტენიტის გარდა  
ქმნის დაწყების, ხოლო *b* მრუდი – გარ-  
დაქმნის დამთავრების მრუდი. აქედან  
გამომდინარე, *a* მრუდის მარცხნივ შე-  
ნარჩუნებულია გადაცივებული აუსტე-  
ნიტი, ხოლო *b* მრუდის მარჯვნივ  
გვაძეს გარდაქმნის პროდუქტები. აუს-



სურ. 6.5. აუსტენიტის იზოთერმული გარდაქმნის  
დიაგრამა განუწყვეტილი გაცივების სიჩქარის  
მეტყდებით

ტენიტის დაშლა ამ ორ მრუდს შორის მიმდინარეობს. სურათზე გაცივების მრუდები –  $V_1 < V_2 < V_3 < V_4 < V_5$ .

ნელი სიჩქარით გაცივების შემთხვევაში ( $V_1$  მრუდი, სურ. 6.5)  $a_1$  და  $b_1$  წერტილების შესაბამის ტემპერატურებზე ( $700-650^{\circ}\text{C}$ ) დაიწყება და დამთავრდება აუსტენიტის გარდაქმნა, რის შედეგადაც წარმოიქმნება ფერიტისა და ცემენტიტის უხეში აგებულების მიკრომექანიკური ნარევი, რომელსაც პერლიტი ეწოდება. იგი დაბალი სისალით ხასიათდება აუსტენიტის დაშლის სხვა პროდუქტებთან შედარებით. კოლონიების ორფაზა აგებულება კარგად ჩანს 6.6 ა სურათზე წარმოდგენილი მიკროსტრუქტურიდან.

უფრო მაღალი სიჩქარით გაცივებისას ( $V_2, V_3$ ) მრუდები აუსტენიტის დაშლის დიაგრამის ხაზებს უფრო დაბალ ტემპერატურებზე გადაკვეთს ( $a_2, b_2, \sim 650-600^{\circ}\text{C}$ ;  $a_3, b_3, \sim 600-500^{\circ}\text{C}$ ). შესაბამისად, წარმოიქმნება სულ უფრო წვრილფირფიტოვანი დაშლის პროდუქტები – სორბიტი და ტროსტიტი (სურ. 6.6, ბ, გ), რომლებიც პერლიტთან შედარებით უფრო გაზრდილი სისალით ხასიათდება. პერლიტს, სორბიტსა და ტროსტიტს პერლიტური ოჯახის სტრუქტურებს უწოდებენ.



სურ. 6.6. პერლიტური ოჯახის სტრუქტურები. ა – პერლიტი; ბ – სორბიტი ( $\times 5000$ );  
გ – ტროსტიტი ( $\times 15000$ )


თუ ფოლადის გაცივება დიდი სიჩქარით მიმდინარეობს ( $V_5$ , სურ. 6.5), მისი მრუდი იზოთერმული დიაგრამის ხაზებს არ გადაკვეთს. ეს იმას ნიშნავს, რომ ასეთი სიჩქარით გაცივებისას აუსტენიტის გარდაქმნა დიფუზური მექანიზმით (პერლიტური ოჯახის სტრუქტურების წარმოქმნით) არ ხდება. გადაცივებული აუსტენიტი მთლიანად აღმოჩნდება შენარჩუნებული  $M_H$  ტემპერატურამდე, რომლის ქვემოთაც იგი არადიფუზური ეწ. გარტენსიტული მექანიზმით განიცდის გარდაქმნას.

მარტენსიტული მექანიზმით გარდაქმნის არსი იმაში მდგომარეობს, რომ აუსტენიტურ მდგომარეობამდე გახურებული ფოლადის დიდი სიჩქარით გაცივების შემთხვევაში (მაგალითად, წყალში), ალოტროპიული გარდაქმნა  $\gamma \rightarrow \alpha$  მიმდინარეობს,

მაგრამ რადგან დიფუზური პროცესი დამუხრუჭებულია, ნახშირბადი ვერ გამოდის არ კინის კრისტალური გისოსიდან და იძულებით რჩება მასში ჩანერგილი იმ რაოდენობით, რამდენსაც ფოლადი შეიცავს. ამგვარად ყალიბდება ნახშირბადის გადაჯერებული მყარი სსნარი რკინის ა მოდიფიკაციაში, რომელსაც მარტენიზმი ეწოდება. მარტენიზმი ხასიათდება მაქსიმალური სისალით გარდაქმნის სხვა პროდუქტებთან შედარებით.

გაცივების მინიმალურ სიჩქარეს, რომლის დროსაც არ ხდება აუსტენიტის დაშლა პერლიტური ოჯახის სტრუქტურების წარმოქმნით და აუსტენიტიდან მარტენიზმი მიიღება, წრთობის კრიტიკული სიჩქარე ეწოდება. იგი მხებია აუსტენიტის იზოთერმული დაშლის დიაგრამის *a* მრუდთან (V<sub>k</sub>, სურ. 6.5).

მარტენიზმი სტრუქტურა ფოლადებში ძირითადად ფირფიტოვანია. მიკროხეხის ზედაპირზე მარტენიზმის ფირფიტები განივი კვეთით გამოდის და ნემსის ფორმა აქვს (სურ. 6.7). ამიტომ, მასალათმცოდნეობაში მარტენიზმი სტრუქტურის დასახასიათებლად მიღებულია ტერმინები: „მსხვილნემსა მარტენიზმი“, „წვრილნემსა მარტენიზმი“. რაც უფრო წვრილმარცვლოვანია საწყისი აუსტენიტი, მით უფრო წვრილნემსაა მისგან ჩამოყალიბებული მარტენიზმი.




სურ. 6.7. მარტენიზმი სტრუქტურა ნახშირბადუს (ა, x1500) და საშუალონახშირბადიან (ბ, x500) ფოლადებში

დასასრულ, თუ აუსტენიტის დაშლა იზოთერმულ პირობებში (მუდმივ ტემპერატურაზე) მოხდა დიაგრამის მუხლს ქვემოთ, მაგრამ მარტენიზმი გარდაქმნის ინტერვალის ზემოთ (V<sub>6</sub> რეჟიმი, სურ. 6.5), ჩამოყალიბდება ტროსტიტთან შედარებით კიდევ უფრო წვრილდისპერსიული ფერიტისა და ცემენტიტის მიკრომექანიკური ნარევი, რომელსაც ბეინიტი ეწოდება. მისი სისალე საგრძნობლად აღემატება პერლიტური ოჯახის სტრუქტურების სისალეს.

ფოლადის წრთობისათვის გახურების ტემპერატურა რკინა-ნახშირბადის დიაგრამის მიხედვით შეირჩევა (სურ. 6.8) შემდეგი მოსაზრებიდან გამომდინარე: წრთობის წინ გახურების მიზანია ფერიტ-პერლიტური

ქვემოთ დამტკიცებული ფოლადებისათვის) სტრუქტურის გადაყვანა აუსტენიტში. ამისათვის ქვემოთ დამტკიცებული ფოლადს ახურებენ  $Ac_3+(30-50)^\circ\text{C}$  ტემპერატურამდე, აყოვნებენ წინასწარ შერჩეული დროის განმავლობაში და წყალში აცივებენ, რაც მარტენსიტული სტრუქტურის ჩამოყალიბებას უზრუნველყოფს. ერთფაზა აუსტენიტური მდგომარეობიდან ნაკეთობის წრთობას სრული წრთობა ეწოდება.



სურ. 6.8. ნახშირბადიანი ფოლდადის  
წრთობის ტემპერატურული ინტერვალი

სისალეა 800 HB) არა თუ აუარესებს ფოლადის თვისებებს, არამედ ზრდის მის სისალესა და ცვეთამედეგობას, ზეევტექტოიდურ ფოლადებს ყოველთვის არასრულ წრობას უჩარებენ.

ଓঁ খেতুগাঁথ পুরুষ

წინ გავახურებთ მხოლოდ Ac<sub>1</sub> ტემპერატურის ზე მოთ (30–50)<sup>0</sup>C-ით, სტრუქტურაში აუსტენიტთან ერთად შემონახული ალმოჩნდება მეორეული ცემენტიტიც. წყალში წრთობის შემდეგ აუსტენიტი მარტენსიტს მოგვცემს. ამდენად, ოთახის ტემპერატურაზე ფიქსირებული სტრუქტურა შედგენილი იქნება მარტენსიტისა და ცემენტიტისაგან. ასეთი რეჟიმით წრთობას არასრულს უწოდებენ. რადგან ცემენტიტის თანხლება (მისი

### 6.3. მოშვება

მოშვება თერმული დამუშავების საბოლოო სახეა და ყოველთვის წრთობის შემდეგ ტარდება. ნაწრთობი ნაკეთობის საბოლოო თვისებებს მოშვების ტექნიკურა აყალიბებს.

მოშვების დროს ხდება ნაკეთობის გახურება  $A_1$  ტემპერატურის ქვემოთ (სურ. 6.8), დაყოვნება გარკვეული დროის განმავლობაში და გაცივება.

პრაქტიკულად მოშვების სამ სახეობას იყენებენ:

- ა. დაბალ მოშვებას – გახურება  $150\text{--}200^{\circ}\text{C}$ -მდე;
  - ბ. საშუალო მოშვებას – გახურება  $300\text{--}500^{\circ}\text{C}$ -მდე;
  - გ. მაღალ მოშვებას – გახურება  $500\text{--}700^{\circ}\text{C}$ -მდე.


დაბალი მოშვების მიზანია მხოლოდ ნარჩენი ძაბვების მოხსნა რაიმე მნიშვნელო-

ვანი სტრუქტურული გარდაქმნების გარეშე. სისალე თითქმის უცვლელი რჩება, ძაბვები კი მოიხსნება. დაბალ მოშვებას ძირითადად მჭრელ და საზომ იარაღებს უტარებენ, აგრეთვე ისეთ ნაკეთობას, სადაც აუცილებელია მაღალი სისალე, სიმტკიცე და ცვეთა-მედუბობა.

საშუალო მოშვება ძირითადად ზამბარებსა და რესორებს უტარდება. ფოლადი დებულობს მაღალ დრეკად თვისებებს. მოშვების შემდეგ გაცივება შეიძლება წყალში განხორციელდეს. ასეთ შემთხვევაში ზედაპირულ შრეებში მკუმშავი ნარჩენი ძაბვები წარმოიქმნება, რაც ზრდის ზამბარის დაღლილობისადმი გამძლეობას.

მაღალი მოშვების მიზანია წრთობით მიღებული სტრუქტურის ისეთნაირი შეცვლა, რომ სისალე და სიმტკიცე რამდენადმე შემცირდეს, მაგრამ სიბლანტე და პლასტიკურობა – გაიზარდოს. მოშვების ტემპერატურის გაზრდასთან ერთად სისალისა და სიმტკიცის მახასიათებლები მცირდება, ხოლო პლასტიკურობა და სიბლანტე – გაზლობს. მარტენსიტური წრთობას და მაღალ მოშვებას გაუმჯობესება ეწოდება.

მოშვების პროცესები – მოშვების ტროსტიტი და მოშვების სორბიტი (სურ. 6.9) ერთმანეთისგან განსხვავდება ცემენტიტის დისპერსიულობითა და ფერიტის რეკრისტალიზაციის ხარისხით, რაც ძირითადად ფოლადის მექანიკურ მახასიათებლებზე ახდენს გავლენას. უშუალოდ აუსტენიტის დაშლის შედეგად მიღებული ფირფიტოვანი სტრუქტურებისაგან განსხვავებით, მოშვების სტრუქტურები მარცვლოვანი აგებულებით ხასიათდება (სურ. 6.9, ბ), რაც მათ დიდ უპირატესობას ანიჭებს თვისებების კომპლექსის თვალსაზრისით – კარგად არის შეხამებული სისალე, სიმტკიცე და დარტყმოთი სიბლანტის მაჩვენებლები.



სურ. 6.9. მოშვების ტროსტიტი (ა) და მოშვების სორბიტი (ბ). x1000

## ლეგიტიმული ფოლადი

ჩვეულებრივი ნახშირბადიანი ფოლადი თავისი თვისებებით სრულად ვერ აქმა-  
ყოფილებს თანამედროვე ტექნიკის სულ უფრო მზარდ მოთხოვნებს. ამიტომ ფართოდ  
მიმართავენ ნახშირბადიანი ფოლადის თვისებათა შეცვლას ლეგირების გზით.

### 7.1. მალეგიტიმული ელემენტების გავლენა ფოლადის თვისებებზე

ფოლადის თვისებების შეცვლის ხასიათი და მიმართულება დამოკიდებულია  
იმაზე, თუ როგორ ურთიერთობაშია მაღვირებელი ელემენტი რეინასა და ნახშირ-  
ბადთან. თუ ლეგირებული ფოლადების ყველა ღირსებას მოვუყრით თავს, შემდეგ ზო-  
გად სურათს მივიღებთ:

1. მალეგირებელი ელემენტები იწვევს ფერიტის განმტკიცებას, რაც იძლევა ფო-  
ლადის თვისებათა გაუმჯობესების შესაძლებლობას იმ შემთხვევაში, როცა სტრუქტუ-  
რაში ფერიტი დიდი რაოდენობით არის წარმოდგენილი;
2. მალეგირებელი ელემენტების გავლენით უფრო მაღალი სიმტკიცის ფოლადის  
მიღებაა შესაძლებელი, რაც მანქანათა ნაწილების წონის შემცირებისა და ლითონის  
ეკონომიის საშუალებას იძლევა;
3. მალეგირებელი ელემენტები ზრდის აუსტენიტის მდგრადობას, ანუ აძნელებს  
მის დაშლას, რაც საშუალებას იძლევა წრთობა წყლის ნაცვლად ზეთში გაწარმოოთ.  
ეს მნიშვნელოვნად ამცირებს წრთობის ისეთ დეფექტებს, როგორიცაა დაბრეცა ან დაბ-  
ზარვა;
4. მალეგირებელი ელემენტები აფერხებს მოშვების დროს მიმდინარე გარდაქმ-  
ნებს და ამაღლებს ამ გარდაქმნების ტემპერატურას, ანუ ფოლადი მდგრადი ხდება  
მოშვების მიმართ. ეს ლეგირებული ფოლადის უფრო მაღალი ტემპერატურის პირო-  
ბებში გამოყენების საშუალებას იძლევა;
5. უმრავლეს შემთხვევაში, მალეგირებელი ელემენტები უზრუნველყოფს განსა-  
კუთრებით წვრილმარცვლოვანი სტრუქტურის მიღებას. ეს, სხვა თანაბარ პირობებში,  
ზრდის დარტყმითი სიბლანტის მახასიათებლებს და დაბლა სწევს მყიფე მდგომარეო-  
ბაში გადასცლის ტემპერატურას;
6. კარბიდშემქმნელი მალეგირებელი ელემენტების თანხლებით ფოლადი იძენს

მაღალ სისალეს, ცვეთამედეგობას და თბომედეგობას, რაც ლეგირებულ ფოლადებს უპირატესობას ანიჭებს მჭრელი იარაღის დასამზადებლად;

7. მალეგირებელი ელემენტები, რომლებიც ფოლადის გაცივების პროცესში მყარი ხსნარიდან მეორეული, წვრილდისპერსიული ჩანართების სახით გამოიყოფა, მნიშვნელოვნად აუმჯობესებს ფოლადის სიმტკიცეს და მხურვალსიმტკიცეს;

8. მალეგირებელი ელემენტების გავლენით ფოლადი იძენს კიდევ მთელ რიგ დირსშესანიშნავ თვისებებს – უჟანგაობას, ელექტროწინაღობას, მაგნიტურ, თბურ, დრეპად და სხვა თვისებებს, რაც მას შეუცვლელს ხდის სპეციალური დანიშნულებით გამოყენებისათვის.

## 7.2. ლეგირებული ფოლადის პლასიზიკაცია და ნიშანდება

ლეგირებული ფოლადის კლასიფიკაციას აწარმოებენ სტრუქტურის, ქიმიური შედგენილობისა და დანიშნულების მიხედვით.

მალეგირებელი ელემენტების შემცველობის მიხედვით არჩევენ მცირედლეგირებულ ფოლადს, სადაც მალეგირებელი ელემენტების ჯამი არ აღემატება 2,5%; საშუალოდლეგირებულ ფოლადს მალეგირებელი ელემენტების შემცველობით 2,5-10%-ის ზღვრებში და უხვად ლეგირებულს, სადაც ელემენტების ჯამური შემცველობა აღემატება 10%.

მომწვარ მდგომარეობაში ჩამოყალიბებული სტრუქტურის მიხედვით ოთხი კლასის ფოლადს არჩევენ:

1. ქვევტექტოიდურს სტრუქტურით ფერიტი+პერლიტი;
2. ევტექტოიდურს სუფთა პერლიტური სტრუქტურით;
3. ზევტექტოიდურს, რომლის სტრუქტურაა პერლიტი+კარბიდი (ცემენტიტოან ერთად ფოლადი შეიცავს სპეციალურ კარბიდებსაც);
4. ლედებურიტულს, რომლის სტრუქტურაა პერლიტი+ლედებურიტი.

ნორმალიზებულ მდგომარეობაში ჩამოყალიბებული სტრუქტურის მიხედვით ლეგირებული ფოლადი სამ კლასად იყოფა:

1. პერლიტური კლასის ფოლადებად.
2. მარტენსიტული კლასის ფოლადებად. ზოგიერთი მალეგირებელი ელემენტის გავლენით ჰაერზე გაცივების სიჩქარე წრთობის კრიტიკულ სიჩქარეს ეთანადება, რაც მარტენსიტული სტრუქტურის მიღებას უზრუნველყოფს.

3. აუსტენიტური კლასის ფოლადებად. შესაბამისი მალეგირებელი ელემენტების ზეგავლენით მარტენიტული გარდაქმნის საწყისი ტემპერატურა ოთახის ტემპერატურაზე ქვემოთ გადაადგილდება, რის გამოც ჰაერზე გაცივების შემდეგ ოთახის ტემპერატურაზე აუსტენიტი დაუშლებელად აღმოჩნდება შემონახული.

ფოლადის ლეგირებისათვის ამჟამად მენდელეევის პერიოდული სისტემის მრავალი ელემენტი გამოიყენება, როგორიცაა მანგანუმი, ქრომი, სილიციუმი, ვოლფრამი, ვანადიუმი, ტიტანი, მოლიბდენი, ნიკელი, კობალტი, ბორი და სხვა. სილიციუმი და მანგანუმი მალეგირებელ ელემენტებს მიეკუთვნება იმ შემთხვევაში, თუ მათი რაოდგნობა აღემატება ჩვეულებრივ ფოლადში დასაშვებ ზღვარს.

ფოლადის ლეგირება ერთდროულად ერთი ან რამდენიმე ელემენტით არის შესაძლებელი. კლასიფიკაცია ქიმიური შედგენილობის მიხედვით ხდება გამოყენებული მალეგირებელი ელემენტების შესაბამისად. ამ თვალსაზრისით არჩევენ: ქრომიან, ქრომნიკელიან, ქრომმანგანუმიან, ქრომმანგანუმსილიციუმიან და ა.შ. ფოლადებს.

დანიშნულების მიხედვით ლეგირებული ფოლადები სამ ჯგუფად იყოფა:

1. საკონსტრუქციო (სამანქანო) ფოლადებად, რომლებიც განკუთვნილია მანქანათა ნაწილების და აგრეთვე სამშენებლო კონსტრუქციების დასამზადებლად;
2. საიარადო ფოლადებად – მჭრელი, საზომი და დარტყმით-სატვიფრავი იარაღებისათვის;
3. სპეციალური დანიშნულების ფოლადებად, რომლებსაც ახასიათებს რაიმე განსაკუთრებული თვისება.

ლეგირებული ფოლადის ნიშანდება ხდება ნახშირბადის რაოდენობისა და მალეგირებელი ელემენტების მიხედვით.

მოქმედი სტანდარტების შესაბამისად, მალეგირებელი ელემენტების აღნიშვნისათვის შემდეგი რუსული ასოებია შემოღებული: ქრომი – X, სილიციუმი – C, კობალტი – K, ტიტანი – T, ნიკელი – H, მოლიბდენი – M, ვოლფრამი – B, ნიობიუმი - B, მანგანუმი - Г, სპილენდი - Д, ვანადიუმი - Ф, ალუმინი - Ю, ფოსფორი – П, აზოტი – А (იწერება მარკის შიგნით, რადგან მარკის წინ სიმბოლო A აღნიშნავს საავტომატე ფოლადს, ხოლო მარკის ბოლოში – ფოლადის მაღალხარისხოვნებას).

მარკაში პირველ ადგილზე იწერება რიცხვი, რომელიც აღნიშნავს ნახშირბადის რაოდენობას პროცენტის მეასედებით ან მეათედებით. თუ რიცხვი მარკის წინ არ წერია, ეს არ მიუთითოთებს ნახშირბადის არარსებობაზე, უბრალოდ, ნახშირბადის რაო-

დენობა უნდა ინახოს სტანდარტში.

ნახშირბადის შემცველობის აღმნიშვნელი რიცხვის შემდეგ იწერება მალეგირუბელი ელემენტის სიმბოლო, ხოლო შემდეგ – რიცხვი, რომელიც მიუთითებს მის შემცველობას პროცენტობით. თუ რიცხვი არ წერია, ეს იმას ნიშნავს, რომ მალეგირუბელი ელემენტის რაოდენობა 1-1,5%-ის ზღვრებშია. მაგალითად, ფოლადი 40X შეიცავს 0,8-1,1% ქრომს, ხოლო ფოლადი X13 - საშუალოდ 13% ქრომს. 30ХГС ფოლადში შედის 0,32%C, 0,91%Cr, 0,95%Mn, და 0,87%Si.

ლეგირებული ფოლადების ნიშანდებაში გვხვდება გარკვეული გადახრები ზემოთაღწერილი სისტემიდან. მაგალითად, ფოლადი ბურთულა საკისრებისათვის აღინიშნება ასოთი Ш (Шарикоподшипниковая) – ШХ6, ШХ9, ШХ15. ამასთან, ფოლადები შეიცავს არა 6, 9 და 15% ქრომს, არამედ საშუალოდ 0,6, 0,9 და 1,5%; ეს ასოთი აღინიშნება ელექტრომაგნიტური დანიშნულების ფოლადი, E ასოთი – განსაკუთრებული მაგნიტური თვისებების მქონე ფოლადი, P-ით – სწრაფმჭრელი ფოლადი.

### 7.3. საპონსტრუქციო ლეგირებული ფოლადი

**მცირედ ლეგირებული ფოლადი.** ნახშირბადმცირე და მცირედ ლეგირებულ ფოლადს სამშენებლო ფოლადები მიეკუთვნება. მომხმარებელს მიეწოდება ფურცლების, მილებისა და სორტული ნაგლინის სახით. გამოიყენება ისეთ საპასუხისმგებლო კონსტრუქციებში, როგორიცაა შენობების ჩონჩხედი, ხიდები, ანძები, მძლავრი ამწევები, სატრანსპორტო საშუალებანი, აირისა და ნავთობის მილგაყვანილობა.

ზემოთაღნიშნული კონსტრუქციების დამზადება ძირითადად შედუდებით ხდება. შედუდებადობის მოთხოვნა კი ზღუდავს ფოლადში ნახშირბადის რაოდენობას, რადგან რაც უფრო მეტია ფოლადში ნახშირბადი, მით უფრო ცუდი შედუდებადობით ხასიათდება იგი. ამიტომ სამშენებლო ფოლადში ნახშირბადის რაოდენობა შეზღუდულია 0,2-0,25%-მდე. ნახშირბადის შემცირებით გამოწვეული სიმტკიცის მახასიათებლების დადაბლების კომპენსაცია სწორედ მალეგირებელი ელემენტების დამატებით ხდება. ამ ჯგუფის ფოლადებს უმეტეს შემთხვევაში თერმულ დამუშავებას არ უტარებენ. სამშენებლო ფოლადებს მიეკუთვნება: 09Г2, 09Г2Д, 09Г2С, 15Г2СФД და სხვა.

**სამანქანო ფოლადი.** სამანქანო ფოლადი განკუთვნილია მანქანათა ნაწილების, ტენოლოგიური და სხვა მოწყობილობისა და კვანძების დასამზადებლად. ფოლადები

უნდა უზრუნველყოფდეს თვისებათა დიდ მრავალფეროვნებას, რის შესაძლებლობასაც მათი თერმული დამუშავება იძლევა. ამ ჯგუფის ფოლადებს მიეკუთვნება ქრომიანი, მანგანუმიანი, ქრომმანგანუმიანი, ქრომმოლიბდენიანი და კიდევ სხვა მრავალი ფოლადი. მათგან დამზადებული ნაკეთობა გამოიყენება როგორც ნაწრთობ და დაბალმოშვებულ, ისე ნაწრთობ და მაღალმოშვებულ მდგომარეობაში.

ნაწრთობ და დაბალმოშვებულ მდგომარეობაში ფოლადს იყენებენ მაშინ, როდესაც დეტალს მოეთხოვება მაღალი ზედაპირული სისალე და ცვეთამედეგობა, ხოლო ნაწრთობ და მაღალმოშვებულ მდგომარეობაში – ისეთი დეტალების დასამზადებლად, რომლებისთვისაც მთავარია საერთო მაღალი სიმტკიცე საკმაოდ დიდ პლასტიკურობასა და სიბლანტესთან ერთად. ასეთი თვისებები მიიღწევა  $820-880^{\circ}\text{C}$ -დან  $500-550^{\circ}\text{C}$ -ზე მოშვებით (გაუმჯობესებული ფოლადისაგან მზადდება მანქანათა ნაწილების და ტექნოლოგიური მოწყობილობების დიდი უმრავლესობა. ეს ფოლადები საშუალონახშირბადიანია ( $0,3-0,5\%$ ), ქიმიური შედგენილობის მიხედვით კი – მცირედ ან საშუალოდ ლეგირებული: 30X, 40X, 30XGCA, 40XH, 40MFA, 40XH2MA.

**კოროზიამედეგი ფოლადები.** ქიმიური შედგენილობის მიხედვით კოროზიამედეგი (უჟანგავი) ფოლადები ორ ჯგუფად იყოფა: ქრომიანი და ქრომნიკელიანი.

ქრომიან ფოლადებში ქრომის რაოდენობა უნდა აღემატებოდეს 12%. ასეთი ფოლადი მდგრადია ატმოსფეროში, ზღვის წყალში, მრავალ მჟავასა და ტუტეში. ამ ჯგუფის ფოლადებს მიეკუთვნება 12X13, 20X13, 30X13 და 40X13 ფოლადები. პირველი ორი მარკა გამოიყენება ნაწრთობ და მაღალმოშვებულ, დანარჩენები – ნაწრთობ და დაბალმოშვებულ მდგომარეობაში.

30X13 ფოლადისაგან ძირითადად ამზადებენ მანქანებისა და ტექნოლოგიური მოწყობილობის ნაწილებს, ხოლო 40X13 ფოლადისაგან – მჭრელ, საზომ და ქირუგიულ იარაღს.

ქრომნიკელიანი ფოლადი უფრო მაღალი უჟანგაობით ხასიათდება. ამ ჯგუფის ტიპური წარმომადგენელია 12X18H9T და 17X18H9T ფოლადები. ისინი გამოიყენება თერმული დამუშავების (წრთობის) შემდეგ, რა დროსაც ყალიბდება ერთგვაროვანი აუსტენიტური სტრუქტურა. ტიტანისა და ნიობიუმის დამატება მნიშვნელოვნად აუზობებს ქრომნიკელიანი ფოლადის კოროზიულ მედეგობას.

მრეწველობაში ფართო გამოყენებას პოულობს აგრეთვე 15X17АГ14, 15Х20Г9АН4, 10Х17Н13М2Т და 09Х15Н8ІО შენადნობები.

**მხურვალმედუზი და მხურვალმტკიცე ფოლადები და შენადნობები.** მხურვალმედუზობა (ხენჯმედეგობა) ეწოდება ლითონის უნარს, წინააღმდეგობა გაუწიოს უანგვას მაღალ ტემპერატურაზე.

ლითონები უანგბადის მიმართ გარკვეული ნათესაობით ხასიათდება, რაც მათი ზედაპირის უანგვას განაპირობებს. თუ ზედაპირზე წარმოქმნილი პირველი უანგეულის ფენა მკვრივი და მდგრადია, უანგბადის შემდგომი შექრა ლითონის სიღრმეში ძნელდება. მაღალ ტემპერატურაზე დიფუზური პროცესები გაცილებით უფრო გაადვილებულია. გარდა ამისა, შესაძლებელია უანგეულის ფურჩი დასკედეს და ინტენსიური უანგვა შიგა ფენებშიც განვითარდეს. აქედან გამომდინარე, მხურვალმედეგობის გასაზრდელად ცდილობენ ლითონის ზედაპირზე ისეთი მტკიცე უანგეულის ფურჩის შექმნას, რომელიც მაღალ ტემპერატურაზე მთლიანობას და ძირითად ლითონთან მტკიცე კავშირს შეინარჩუნებს. ასეთებია  $\text{Cr}_2\text{O}_3$ ,  $\text{Al}_2\text{O}_3$ ,  $\text{SiO}_2$ . აქედან გამომდინარე, მხურვალმედეგი ფოლადებისათვის ძირითად მალეგირებელ ელემენტებს ქრომი, ალუმინი და სილიციუმი წარმოადგენს. მათგან უპირატესი მნიშვნელობა აქვს ქრომს, რადგან ალუმინი და სილიციუმი აუარესებს ფოლადის ტექნოლოგიურ თვისებებს. 5%Cr უკვე უზრუნველყოფს მხურვალმედეგობას  $700^{\circ}\text{C}$  ტემპერატურაზე, 7% -  $800^{\circ}\text{C}$ -ზე, 15% -  $900^{\circ}\text{C}$ -ზე, 20% -  $1000^{\circ}\text{C}$ -ზე, ხოლო 25% -  $1100^{\circ}\text{C}$ -ზე. სილიციუმისა (1,5-2,5%) და ალუმინის (2,5%-მდე) დამატებით მხურვალმედეგობა იზრდება  $1200^{\circ}\text{C}$ -მდე, ხოლო ნიკელის დამატებით იგი  $1400^{\circ}\text{C}$  აღწევს.

მხურვალმედეგ ფოლადებს მიეკუთვნება: 12Х17, 12Х18Н9, 10Х23Н18, 10Х45ІО, ХН78Т. მათგან მზადდება საქვაბე დანადგარები, მილები, ტუმბოები, ურდულები და სხვა.

მხურვალმტკიცობა ეწოდება ლითონის უნარს, შეინარჩუნოს სიმტკიცის მახასიათებლები მაღალი ტემპერატურის პირობებში ( $500^{\circ}\text{C}$  და ზევით). მხურვალმტკიცე ფოლადს, უპირველეს ყოვლისა, უნდა ახასიათებდეს მხურვალმედეგობა და შემდეგ მაღალი სიმტკიცე, რაც რთული ლეგირებით მიიღწევა.

მხურვალმტკიცე ფოლადებს მიეკუთვნება პერლიტური კლასის ფოლადები 16M, 15M, 12Х1МФ და სხვა (საექსპლუატაციო ტემპერატურა არ აღემატება  $580^{\circ}\text{C}$ ); მარტენი-

ტული და მარტენსიტული კლასის ფოლადები 12X2MФСР, 12X2MФБ, 15X11MФ, რომელთა მუშა ტემპერატურაა  $600^{\circ}\text{C}$  და აუსტენიტული კლასის ფოლადები, რომლებიც უფრო მაღალი მხერვალმტკიცობით ხასიათდება.

მხერვალმტკიცე შენადნობების ფუძეს ძირითადად ნიკელი და კობალტი წარმოადგენს. ნიკელის შენადნობების ტიპური წარმომადგენელია ნიმონიკები, მაგალითად, H77TIO, XH70MBTIО. ნიმონიკი განიცდის დაძველებას (წრთობა  $1050-1150^{\circ}\text{C}$ -დან ჰაერზე და დაძველება  $700-750^{\circ}\text{C}$ -ზე). სამუშაო ტემპერატურაა  $950-1000^{\circ}\text{C}$ .

კობალტის შენადნობების წარმომადგენელია ვიტალიუმის ტიპის სამსხმელო შენადნობი ( $0,2\%$ C,  $1,5-3,5\%$ Ni,  $25-30\%$ Cr,  $4,5-6,5\%$ Mo,  $2\%$ Fe,  $0,3\%$ Mn,  $0,6\%$ Si. დანარჩენი კობალტია). მისი მუშა ტემპერატურაა  $900-1000^{\circ}\text{C}$ .

**ფოლადები მჭრელი იარაღისათვის.** მჭრელ იარაღს, გარდა მაღალი სისალისა, მოეთხოვება ცვეთამედეგობა და ზოგიერთ შემთხვევაში, ამ თვისებების შენარჩუნება მაღალ ტემპერატურამდე, ანუ თბომედეგობა.

საყოფაცხოვრებო ტექნიკაში მჭრელი იარადების დასამზადებლად ფართოდ გამოიყენება მცირედ ლეგირებული ფოლადები: 9ХС, X, XBГ, XB5 და სხვა. მათი თბომედეგობა არ აღემატება  $220^{\circ}\text{C}$ .

მჭრელი იარაღის დასამზადებლად მრეწველობაში ფართოდაა გავრცელებული სალი ლითონკერამიკული მასალები. ამ მიზნით გამოიყენება მაღალი სისალისა და თერმული მდგრადობის სხვადასხვა კარბიდის შეცხობილი ფხვნილები.

ვოლფრამის, ტიტანის ან ტანტალის კარბიდებისა და შემაკავშირებელი ლითონისაგან (ძირითადად კობალტი) შედგენილ კაზმს წნეხავენ საჭირო მოყვანილობის ფირფიტების სახით და აცხობენ  $1500-2000^{\circ}\text{C}$  ტემპერატურაზე.

გამოყენებული კარბიდების მიხედვით ლითონკერამიკული შენადნობები სამი ტიპისაა. პირველი შეიცავს მხოლოდ ვოლფრამის კარბიდს. მათ BK ტიპის შენადნობები ეწოდებათ (B აღნიშნავს ვოლფრამის კარბიდს, ხოლო K – კობალტს; ციფრი მოუთითებს კობალტის რაოდენობას): BK3; BK6; BK10; BK15.

მეორე ჯგუფს მიეკუთვნება ვოლფრამისა და ტიტანის კარბიდის (T) შემცველი შენადნობები TK: T5K10; T15K6; T30K4 (დანარჩენი ვოლფრამის კარბიდია).

მესამე ჯგუფში შედის შენადნობები, რომლებიც შეიცავს სამი ლითონის კარბიდს,

მათ TTK ტიპის შენადნობებს მიაკუთვნებენ. რიცხვი მარკაში T ასოს შემდეგ მიუთითებს ტიტანისა და ტანტალის კარბიდების რაოდენობას ერთად: TT7K12; TT8K6; TT20K9.

სალი ლითონკერამიკული შენადნობების სისალე აღწევს 90 HRA, ხოლო თბომედებობა – 1000-1200<sup>0</sup>C. მათი მნიშვნელოვანი ნაკლია გაზრდილი სიმყიფე.

სალი შენადნობების ფირფიტა რაიმე საშუალებით მაგრდება ნახშირბადიანი ფოლადის იარაღის ტანზე.

## ზერადი ლითონები და შენაღებები

### 8.1. ალუმინი და მისი შენაღებები

მსუბუქი ლითონებიდან ალუმინის ყველაზე მეტი სამრეწველო მნიშვნელობა აქვს. მისი წარმოების მოცულობას მეორე ადგილი უკავია რკინის შემდეგ. ალუმინის დამახასიათებელ თვისებას მცირე სიმკვრივე ( $\gamma=2,7\text{g}/\text{cm}^3$ ) და დაბალი დნობის ტემპერატურა ( $660^\circ\text{C}$ ) მიეკუთვნება. ალუმინი ხასიათდება დაბალი სიმტკიცით ( $\sigma_{\text{აქ.}}=60 \text{ MPa}, \text{HB } 25$ ) და გაზრდილი პლასტიკურობით ( $\delta=40\%, \psi=85\%$ ). არ გააჩნია ალოტროპიული მოდიფიკაციები, კარგი თბო და ელექტროგამტარი მასალაა.

ალუმინი და მისი შენაღნობები გამოირჩევა მაღალი ტექნილოგიურობით, კარგად დეფორმირდება, მათგან ადგილად შეიძლება საკმაოდ რთული ფორმის ნაკეთობების მიღება.

ალუმინი ქიმიურად აქტიური ლითონია. მიუხედავად ამისა, იგი ჰაერზე და ზოგიერთ აგრესიულ გარემოში მეტად სუსტად განიცდის კოროზიას. ამის მიზეზია მის ზედაპირზე წარმოქმნილი ოქსიდის ( $\text{Al}_2\text{O}_3$ ) მკვრივი ფურჩი, რომელიც ლითონს შემდგომი ჟანგვისაგან იცავს.

პირველადი (ტექნიკური) ალუმინის მარკა აღინიშნება A ასოთი, რომლის შემდეგ იწერება რიცხვი. იგი მიუთითებს ალუმინის სისუფთავეს მძიმის შემდეგ. მაგალითად, A995 შეიცავს 99,995% ალუმინის. განსაკუთრებული სისუფთავის ალუმინია A999; მაღალი სისუფთავისა – A995; A99; A97; A95, ხოლო ტექნიკური სისუფთავის – A85; A8; A7; ... A0. ტექნიკური ალუმინისგან ამზადებენ ფურცლებს, ძელაკებს, მავთულს.


სასურველი თვისებების მისაღებად აწარმოებენ ალუმინის ლეგირებას სხვადასხვა ელემენტით. მალეგირებელ დანამატებად ყველაზე ფართოდ გამოიყენება სპილენი, მაგნიუმი, თუთია და სილიციუმი.

ნახევარფაბრიკატების მიღების ხერხის მიხედვით ასხვავებენ ალუმინის სამსხმელო და დეფორმირებად შენაღნობებს. თითოეული მათგანი, თავის მხრივ, ორ ჯგუფად იყოფა: პირველი ჯგუფის შენაღნობები არ ექვემდებარება თერმულ განმტკიცებას, ხოლო მეორე ჯგუფის შენაღნობების თვისებათა შეცვლა შესაძლებელია წრთობითა და შემდგომი ბუნებრივი ან ხელოვნური დაძველებით.

ალუმინის შენადნობების მარკა აღინიშნება ასოებით, რომლებიც ზოგადად მიუთითებს შენადნობის ტიპს, თვისებას, დანიშნულებას ან მდგომარეობას. მაგალითად, ასო Д (დეფორმირებადი) აღნიშნავს დურალუმინის ტიპის შენადნობებს, В – მაღალ-მტკიცე შენადნობებს, АК – ჭედად შენადნობებს, АЛ – სამსხმელო შენადნობებს. ასოების შემდეგ იწერება შენადნობის პირობითი ნომერი, რომელსაც არავითარი კავშირი არა აქვს მასალის შედგენილობასთან ან თვისებებთან. პირობით ნომერს შეიძლება მოსდევდეს სიმბოლო, რომელიც მიუთითებს შენადნობის მდგომარეობას. მაგალითად, М – რბილი, Т – თერმულად დამუშავებული, Н – მოპირსალებული, П – ნახევრადმოპირსალებული.

უკელა სამრეწველო ალუმინის შენადნობი შეიძლება დაიყოს აგრეთვე ალუმინისა და იმ ძირითადი მალეგირებელი ელემენტების სისტემების მიხედვით, რომლებიც შენადნობის თვისებებს განსაზღვრავს. მაგალითად, Al-Mg, Al-Cu, Al-Cu-Mn, Al-Mg-Si-Cu და ა.შ. ასეთ შემთხვევაში შენადნობის მარკას ხშირად A ასოთი აღნიშნავენ, რომელსაც მოსდევს ძირითადი მალეგირებელი ელემენტის აღმნიშვნელი სიმბოლო. მაგალითად, Al-Mn სისტემის შენადნობი აღინიშნება სიმბოლოებით АМц, Al-Mg სისტემისა – АМг და ა.შ. შემდეგ იწერება შენადნობის რიგითი ნომერი და, აუცილებლობის შემთხვევაში, შენადნობის მდგომარეობის აღმნიშვნელი ასო.

ალუმინის სამსხმელო შენადნობებიდან ყველაზე გავრცელებულია სილუმინი. იგი მიეკუთვნება Al-Si სისტემის შენადნობების რიცხვს. სილუმინი შეიცავს 12–13% სილიციუმსუმს და სტრუქტურის მიხედვით ზევგტეტიკურ შენადნობს მიეკუთვნება. ასეთი შენადნობის სტრუქტურა შედგება ნემსისებრი აგეტულების უხეში ევტექტიკისგან და პირველადი სილიციუმის ჩანართებისაგან (სურ. 8.1, а). უშალოდ ჩასხმის წინ შენადნობში



სურ. 8.1. სილუმინის (11,7%Si) მიკროსტრუქტურა მოდიფიცირებამდე (ა) და მოდიფიცირების შემდეგ (ბ). x320

0,01%-ის რაოდენობით ნატრიუმის ან სხვა მოდიფიკატორების (მაგალითად, 2/3NaF+ +1/3NaCl-ის ნარევის) დამატებით მკვეთრად მცირდება ევტექტიკური სილიციუმის კრისტალების ზომები, შედეგად ჩამოყალიბდება შედარებით წვრილდისპერსიული აგეტულების პროდუქტები და მისი სტრუქტურა შედგენილი იქნება ღია ფერის

პირველადი ალუმინის კრისტალებისა და წვრილდისპერსიული ეპტექტიკისაგან (სურ. 8.1, ბ). არამოდიფიცირებული სილუმინისათვის  $\sigma_{\text{აქ}}=140$  მგპა,  $\delta=3\%$ , მოდიფიცირების შემდეგ კი  $\sigma_{\text{აქ}}=180$  მგპა,  $\delta=8\%$ .

Al-Mg სისტემის შენადნობებს მიეკუთვნება: AMг1, AMг2, AMг3, AMг5 და AMг6. მაგნიუმის შემცველობა 11–12%-მდე უმნიშვნელოდ ზრდის ალუმინის სიმტკიცეს, ხოლო ფარდობითი წაგრძელება საკმაოდ მაღალ დონეზეა შენარჩუნებული. შენადნობებს ფართოდ იყენებენ შენადუღი კონსტრუქციების დასამზადებლად. თვისებათა გასაუმჯობესებლად დამატებით უტარებენ ლეგირებას მანგანუმით, ქრომით, ტიტანით და ვანადიუმით.

Al-Mg სისტემის შენადნობების დადებით მხარეს მიეკუთვნება დამაკმაყოფილებელი სიმტკიცის, მაღალი პლასტიკურობის, კოროზიამედეგობისა და შედუღებადობის კარგი ურთიერთშეხამება.

დეფორმირებად შენადნობებს, რომლებიც თერმულ განმტკიცებას ექვემდებარება, მიეკუთვნება Al-Cu-Mg (დურალუმინები), Al-Mg-Si, Al-Zn-Mg, Al-Cu-Mn და უფრო რთული სისტემის შენადნობები.

დურალუმინისაგან დამზადებულ ნაკეთობას უტარებენ წრთობას და ბუნებრივ დაძველებას. წრთობას აწარმოებენ  $500\pm5^{\circ}\text{C}$  ტემპერატურიდან ცივ წყალში დუმლიდან მაცივებელში გადატანის მინიმალური დროის უზრუნველყოფით. ყველა დურალუმინი, გარდა მცირედლეგირებული D18-ისა, ინტენსიურად განიცდის განმტკიცებას წრთობის შემდეგ ბუნებრივი დაძველების გზით.

ყველა დურალუმინი ხასიათდება კოროზიისადმი გაზრდილი მიდრეკილებით და საჭიროებს მისგან სპეციალურ დაცვას. მრეწველობაში ყველაზე გავრცელებულია დაცვის ორი ხერხი: მიტკეცა ტექნიკური ალუმინით და ელექტროქიმიური ოქსიდირება.

Al-Cu-Mn დეფორმირებადი შენადნობები (D20 და 1201) ტიტანის, ცირკონიუმისა და ვანადიუმის დანამატებით ხასიათდება მაღალი მექანიკური თვისებებით ოთახის, გაზრდილ ( $250^{\circ}\text{C}$ ) და კრიოგენულ ( $-250^{\circ}\text{C}$ -მდე) ტემპერატურებზე. გამოირჩევა კარგი ტექნოლოგიურობით და შედუღებადობით. ორივე შენადნობს უტარდება წრთობა  $535\pm5^{\circ}\text{C}$ -დან და შემდგომი დაძველება  $170\text{--}190^{\circ}\text{C}$ -ზე 12–18 საათის განმავლობაში.

## 8.2. სპილენძი და მისი შენაღებები


სპილენძი თავისი თვისებებით ახლოს დგას ვერცხლთან და ოქროსთან. ჰაერზე სუსტად იუანგება, გამოირჩევა მაღალი პლასტიკურობით, ელექტრო და თბოგამტარობით. კრისტალდება წახნაგდაცენტრებულ კუბურ კრისტალურ გისოსში. არ ახასიათებს ალოტროპიული სახესხვაობები. სპილენძის დნობის ტემპერატურაა  $1083^{\circ}\text{C}$ , სიმკვრივე –  $8,94 \text{ g/cm}^3$ .

მინარევები, რომლებსაც სპილენძი შეიცავს, ამცირებს მის ელექტროგამტარობას. ამ მიმართულებით განსაკუთრებით ძლიერად მოქმედებს ფოსფორი, დარიშხანი, სილიციუმი, რკინა, სტიბიუმი და კობალტი.

სისუფთავის მიხედვით არჩევენ რამდენიმე ხარისხის სპილენძს. სპილენძის მარკა M ასოთი აღინიშნება, რომლის შემდეგ, საჭიროების შემთხვევაში იწერება მისი გადადნობის ხერხის აღმნიშვნელი ასო (MB – ვაკუუმში გადადნობილი, MЭ – ელექტრონული სხივით გადადნობილი) და რიცხვი. რიცხვი მარკაში მიუთითებს სპილენძის სისუფთავეს. მაგალითად, M00 მარკა შეიცავს არანაკლებ  $99,99\%$  სპილენძს; M0 –  $99,95\%$ ; M1 –  $99,90$ ; M2 –  $99,7\%$ ; M3 –  $99,5\%$ ; M4 –  $99\%$ . ყველაზე მაღალი სისუფთავით გამოირჩევა სპილენძი MB და MЭ, რომლებშიც მინარევების ჯამური შემცველობა ნაკლებია შესაბამისად  $0,01\%$  და  $0,005\%$ . ზესუფთა სპილენძი ხასიათდება დაბალი სიმტკიცით და მაღალი პლასტიკურობით. მისი დროებითი  $\dot{\nu}$ ინადობა გაგლეჯაზე  $\sigma_{\text{აქ}}=200\text{მგპა}$ , დენადობის ზღვარი  $\sigma_{\text{დე}}=40-80\text{მგპა}$ , ფარდობითი  $\dot{\nu}$ აგრძელება  $\delta=35\%$ , ფარდობითი შევიწროება  $\psi=80-95\%$ .

სპილენძის მარკის აღმნიშვნელ სიმბოლოებს შეიძლება დამატებული ჰქონდეს რუსული ასოები ნ ან p, რაც, შესაბამისად, მიუთითებს, რომ სპილენძი არის უჟანგბადო ან განუანგული.

დეფორმირებული სპილენძისათვის დამახასიათებელია დეფორმაციის ტექსტურა, რაც იწვევს მექანიკური თვისებების ანიზოტროპიას. ძლიერად დეფორმირებულ სპილენძში რეკრისტალიზაცია  $200-250^{\circ}\text{C}$ -ზე იწყება. რეკრისტალიზაციის შედეგად ყალიბდება პოლიედრული სტრუქტურა მოწვის ორეულების დიდი რაოდენობით (სურ. 8.2). სიმტკიცის მახასიათებლების შემცირება  $150^{\circ}\text{C}$ -ის ზემოთ იწყება. სარეკრისტაციო მოწვის ოპტიმალური ტემპერატურაა  $500-600^{\circ}\text{C}$ .



სურ. 8.2. დეფორმირებული და  
რეკრისტალიზებული სპილენძის  
მიკროსტრუქტურა. x200

სუფთა სპილენძი და მისი მცირედ ლეგირებული შენადნობები გამოიყენება ელექტროტექნიკაში და ელექტროტრანსპორტზე. მაღალი თბოგამგარობის გამო, სპილენძი გამოიყენება აგრეთვე სხვადასხვა თბოგადამცემებსა და კრისტალიზატორში, როდესაც აუცილებელია სითბოს ინტენსიური გატანა დნობის ზონიდან.

სპილენძის შენადნობების წარმოებისათვის ყველაზე გავრცელებულ მალეგირებელ ელემენტებს თუთია, ალუმინი, კალა, სილიციუმი, მანგანუმი, ბერილიუმი და ნიკელი მიეკუთვნება. თითოეული მათგანი ზრდის სპილენძის სიმტკიცის მახასიათებლებს.

სპილენძის შენადნობებს სამ ძირითად ჯგუფად ყოფენ: თითბერად, ბრინჯაოდ და სპილენძნიკელის შენადნობებად.

თითბერში ძირითად მალეგირებელ ელემენტს თუთია წარმოადგენს. თითბერის მარკა აღინიშნება ასოთი  $\text{L}$  და ციფრით, რომელიც მიუთითებს შენადნობში სპილენძის შემცველობას. მაგალითად, თითბერი  $\text{L}80$  შეიცავს 80% სპილენძს და 20% თუთიას. ასეთ შენადნობებს უბრალო თითბერს უწოდებენ.

თუ შენადნობი ლეგირებულია სხვა ელემენტებითაც, მას სპეციალურ თითბერს მიაკუთვნებენ. სპეციალური თითბერის მარკის აღნიშვნაში მითითებულია გამოყენებული მალეგირებელი ელემენტების აღმნიშვნელი სიმბოლოები:  $\text{C}$  – ტყვია,  $\text{O}$  – კალა,  $\text{Ж}$  – რკინა,  $\text{A}$  – ალუმინი,  $\text{K}$  – სილიციუმი,  $\text{Mц}$  – მანგანუმი,  $\text{H}$  – ნიკელი. მარკის ბოლოში იწერება რიცხვები, რომლებიც მიუთითებს სპილენძისა და მალეგირებელი ელემენტების საშუალო შემცველობას (თუთიის გამოკლებით). მაგალითად,  $\text{ЛАЖМц}66-6-3-2$  თითბერი  $66\% \text{Cu}$ ,  $6\% \text{Al}$ ,  $3\% \text{Fe}$ ,  $2\% \text{Mn}$  შეიცავს. დანარჩენი,  $23\%$  – თუთიაა. თუ თითბერი გამოიყენება ფასონური სხმულის წარმოებისათვის, მარკის ბოლოში უმატებენ  $\text{L}$  ასოს. მაგალითად,  $\text{ЛАЖ}60-1-1\text{L}$ .

კლასიკურ ბრინჯაოს მიეკუთვნება სპილენძის შენადნობი კალასთან. მოგვიანებით შემუშავებულია სპილენძის შენადნობი ალუმინთან, სილიციუმთან, ბერილიუმთან

და სხვა ელემენტებთან, რომლებსაც ასევე ბრინჯაოს უწოდებენ.

ძირითადი მალეგირებელი ელემენტების მიხედვით ბრინჯაოს ყოფენ კალიან, ალუმინიან, ბერილიუმიან და ა.შ. ბრინჯაოებად. ბრინჯაოში მალეგირებელი ელემენტების აღნიშვნისათვის დამატებით შემდეგი სიმბოლოებია შემოღებული: Φ – ფოსფორი, Β – ბერილიუმი, Χ – ქრომი.

ბრინჯაოს მარკირება ხდება წერტილური შემდეგ: Φ – მალეგირებელი ელემენტების აღმნიშვნელი სიმბოლოები და რიცხვები, რომლებიც მათ საშუალო პროცენტულ შემცველობას მიუთითებს. მაგალითად, წერტΙლ 10-3-1,5 ბრინჯაო 10%Al, 3%Fe, 1,5%Mn, შეიცავს. დანარჩენი სპილენძია.

ტექნიკაში გამოყენებული თითბერი სტრუქტურის მიხედვით ორ ჯგუფად იყოფა: ერთფაზა, ე. წ. α შენადნობებად და ორფაზა, α+β შენადნობებად. თითბრის სტრუქტურა და მექანიკური თვისებები თუთიის შემცველობაზეა დამოკიდებული. პრაქტიკული გამოყენება პოვა შენადნობებმა თუთიის 45%-მდე შემცველობით.

α თითბერი საკმაოდ პლასტიკური მასალაა, გამოირჩევა მაღალი ტექნოლოგიურობით და ადგილად ექვემდებარება ცივად და ცხლად წნევით დამუშავებას. 300–700°C ტემპერატურულ ინტერვალში, როგორც სპილენძში, შეინიშნება პლასტიკურობის ჩავარდნა. ამიტომ, წნევით დამუშავების დროს ამ ტემპერატურულ ინტერვალს უნდა მოვერიდოთ.

Л96, Л90, Л85, Л80 ერთფაზა თითბერს მიეკუთვნება. მათ ტომპაკები ეწოდება. ორფაზა α+β სამრეწველო თითბერი სპეციალურ შენადნობებს მიეკუთვნება, ხასიათდება მაღალი სიმტკიცით, მაგრამ უფრო მყიფეა და მათგან ნაკეთობათა დამზადება ჩამოსხმით ხდება. ორფაზა თითბერებია: ЛА77-2; ЛО70-1; ЛС59-1; ЛМц-58-2; ЛАЖ60-1-1.

კლასიკურ ბრინჯაოს კალიანი ბრინჯაო მიეკუთვნება. კალის მაქსიმალური ხსნადობის ზღვარი სპილენძში 16% შეადგენს. ტემპერატურის შემცირებასთან ერთად ხსნადობის ზღვარიც მცირდება.

სხმულ მდგომარეობაში ერთფაზა ( $Sn \leq 6\%$ ) ბრინჯაოს სტრუქტურა შედგება არა-ერთგვაროვანი α მყარი ხსნარისაგან, რომელიც დენდრიტული აგებულებით ხასიათდება. დეფორმაციისა და სარეკრისტალიზაციო მოწვის შემდეგ სტრუქტურა პოლიერულ აგებულებაში გადადის α მყარი ხსნარისათვის დამახასიათებელი გაორებული უბნებით.

სასურველი თვისებების მისაღებად კალიან ბრინჯაოში დამატებით შეცყავთ სხვა-დასხვა ელემენტი, როგორიცაა: ნიკელი, ალუმინი, თუთია და ფოსფორი.

არჩევენ სამსხმელო და დეფორმირებად ბრინჯაოებს.

დანიშნულების მიხედვით სამსხმელო კალიანი ბრინჯაო რამდენიმე ჯგუფად იყოფა. პირველში გაერთიანებულია ისეთი სტანდარტული სამსხმელო შენადნობები, როგორიცაა: БрОЦН3-7-5-1, БрОЦ3-12-5, БрОЦ5-5-5. მათგან ამზადებენ მანქანათა ნაწილებს.

მეორე ჯგუფს მიეკუთვნება საპასუხისმგებლო დანიშნულების სამსხმელო არასტანდარტული ბრინჯაო: БрO19, БрOФ 10-1, БрOC16-5 და ა.შ. ისინი ხასიათდება მაღალი ანტიფრიქციული თვისებებით და კარგი ცვეთამედეგობით. მათგან მზადდება სრიალის საკისრები და ხახუნის პირობებში მომუშავე სხვა დეტალები.

მესამე ჯგუფის შენადნობები (БХ1, БХ2, БХ3) გამოირჩევა კარგი თხევადდენადობით, უმნიშვნელო ჩაჯდომით და კარგად ავსებს ყალიბის ყველაზე რთულ უბნებს. ისინი მხატვრული სხმულების წარმოებაში გამოიყენება.

დეფორმირებად შენადნობებს მიეკუთვნება: БрОЦ4-3; БрОЦ 4-4-2,5; БрOФ 6,5-0,4 და სხვა.

ბრინჯაოს თერმული დამუშავების ძირითადი სახეა ჰომოგენიზაცია და შუალედური მოწვა. ჰომოგენიზაციას აწარმოებენ  $700\text{--}750^{\circ}\text{C}$ -ზე შემდგომი სწრაფი გაცივებით. ნარჩენი ძაბვების მოსახსნელად საკმარისია სხმულის გახურება  $550^{\circ}\text{C}$ -ზე 1 საათის განმავლობაში, ხოლო შუალედური მოწვა ცივად წნევით დამუშავების დროს  $550\text{--}700^{\circ}\text{C}$ -ზე ტარდება.

ტყვიიანი ბრინჯაო კარგი ანტიფრიქციული მასალაა. მან ფართო გამოყენება პოვა ისეთი მძიმედატვირთული, საპასუხისმგებლო სრიალა საკისრების დამზადებაში, რომლებიც საკმაოდ მაღალი ხვედრითი წნევისა ( $2500\text{--}3000$  მგპა) და გაზრდილი წრიული სიჩქარეების ( $8\text{--}10$  მ/წმ) პირობებში მუშაობს. ასეთებია: საყრდენი და ბარბაცა საკისრები მძლავრ ტურბინებში, საავიაციო ძრავებში, დიზელში და სხვა სწრაფმავალ მანქანებში. ტყვიიანი ბრინჯაო კარგი თბოგამტარი მასალაა, რაც ექსპლუატაციის პროცესში საკისრის ტემპერატურის  $300\text{--}320^{\circ}\text{C}$ -მდე გაზრდის შესაძლებლობას იძლევა.

სასაკისრე შენადნობებს მიეკუთვნება: БрС30 (სასაკისრე), БрОС5-25 (საკისარი, მილისი, ზეთსამჭიდროებული რგოლები), БрОС8-12 (მაღალი ხვედრითი წნევის საკისარი), БрCH60-2,5 (საკისარი, ფასონური სხმული).

## პრალიტონური მასალები

მანქანათმშენებლობასა და სახალხო მეურნეობის მრავალ დარგში ფართოდ შემოიჭრა არალითონური მასალები. მათ მიეკუთვნება ორგანული და არაორგანული მასალები: პლასტიკური მასების სხვადასხვა სახეობა, კომპოზიციური მასალები არალითონურ ფუძეზე, კაუჩუკი და რეზინი, წებო, საპერმეტიზაციო მასალები, ლაქსალებავის დანაფარები, აგრეთვე გრაფიტი, მინა და კერამიკა. ისეთი თვისებები, როგორიცაა საკმაო სიმტკიცე, მცირე სიმკვრივესთან შეხამებული სიხისტე და ელასტიკურობა, შუქბამტარობა, ქიმიური მდგრადობა, დიელექტრიკული თვისებები და ტექნოლოგიურობა, ამ ჯგუფის მასალებს მრეწველობის მრავალ დარგში შეუცვლელს ხდის.

### 9.1. პოლიმერების პლასიზიპაცია

არალითონური მასალების ფუძეს, უმთავრესად, სინთეტიკური პოლიმერები წარმოადგენს. პოლიმერები არის ნივთიერება, რომელთა მაკრომოლეკულა შედგება ერთგვაროვანი სტრუქტურის მქონე მრავალი ელემენტარული რგოლისაგან (მონომერებისაგან). მათი მოლეკულური მასა შეადგენს 5000-1000000. მაკრომოლეკულების ასეთი დიდი ზომების შემთხვევაში ნივთიერების თვისებებს განსაზღვრავს არა მარტო აღნიშნული მოლეკულების ქიმიური შედგენილობა, არამედ მათი ურთიერთგანლაგების ხასიათი და აგებულებაც.

პოლიმერის მაკრომოლეკულა წარმოადგენს ჯაჭვს, რომელიც ცალკეული რგოლებისგან არის შედგენილი. ჯაჭვის სიგრძე რამდენიმე ათასჯერ აღემატება მის განივალების, რაც პოლიმერის მაკრომოლეკულას ერთ-ერთ განმასხვავებელ, განსაკუთრებელ თვისებას – დრეკადობას ანიჭებს.

პოლიმერების კლასიფიკაცია სხვადასხვა ნიშნით შეიძლება განხორციელდეს. შედგენილობის მიხედვით პოლიმერებს ყოფენ ორგანულ, ელემენტორგანულ და არაორგანულ პოლიმერებად.

ორგანული პოლიმერები ნაერთების ფართო ჯგუფს წარმოქმნის. თუ ასეთი ნაერთების ძირითადი მოლეკულარული ჯაჭვი მხოლოდ ნახშირბადის ატომებით არის ჩამოყალიბებული, მათ კარბოჯაჭვურ პოლიმერებს უწოდებენ.

ჰეტეროჯაჭვურ პოლიმერებში ძირითად ჯაჭვში ნახშირბადის გარდა განთავსებუ-

ბული სხვა ელემენტის ატომები, მნიშვნელოვნად ცვლის პოლიმერის თვისებებს. მაგალითად, მაკრომოლეკულებში ჟანგბადის ატომი ხელს უწყობს ჯაჭვის დრექადობის გაზრდას; ფოსფორისა და ქლორის ატომები ზრდის მხურვალმედეგობას; გოგირდის ატომები პოლიმერს აირგაუმტარობას ანიჭებს, ხოლო ფტორის ატომები – მაღალ ქიმიურ მედეგობას.

ორგანულ პოლიმერებს მიეკუთვნება ფისები და კაუჩუკი. ელემენტორგანული ნაერთები ძირითადი ჯაჭვის შედგენილობაში შეიცავს არაოგანულ ატომებს (Si, Ti, Al), რომლებიც შეთავსებულია ორგანულ რადიკალებთან ( $\text{CH}_3$ ,  $\text{C}_6\text{H}_5$ ,  $\text{CH}_2$ ). ეს რადიკალები მასალას სიმტკიცეს და ელასტიურობას ანიჭებს, ხოლო არაორგანული ატომები – გაზრდილ მხურვალმედეგობას.


არაორგანულ პოლიმერებს მიეკუთვნება სილიკატური მინა, კერამიკა, ქარსი, აზბესტი. ასეთი ნაერთების შედგენილობაში ნახშირბადიანი ჩონჩხი არ არსებობს. არაორგანული მასალების ფუძეს სილიციუმის, ალუმინის, მაგნიუმის, კალციუმის და სხვათა ოქსიდები წარმოადგენს. არაორგანული პოლიმერები გამოირჩევა უფრო მაღალი სიმკვრივით და ხანგრძლივი თბომედეგობით, თუმცა მინა და კერამიკა გაზრდილი სიმყიფით ხასიათდება.

არაორგანულს მიეკუთვნება აგრეთვ გრაფიტი, რომელიც კარბოჯაჭვურ პოლიმერს წარმოადგენს.

ტექნიკური მიზნებისათვის გამოყენებას პოულობს პოლიმერების როგორც ცალკეული სახეობები, ისე მათთან შეხამებული პოლიმერების სხვადასხვა ჯგუფი. ასეთ მასალებს კომპოზიციურს უწოდებენ. მათ რიცხვს მიეკუთვნება, მაგალითად, მინაპლასტი.

პოლიმერების თვისებათა მრავალფეროვნება განპირობებულია მათი მაკრომოლეკულების სტრუქტურით. მაკრომოლეკულების ფორმის მიხედვით პოლიმერებს ყოფენ წირით (ჯაჭვისებრ), განშტოებულ, ლენტურ (კიბის), სივრცით ან ბადისებრ და ბრტყელ პოლიმერებად.

პოლიმერის წირითი მაკრომოლეკულები წარმოადგენს გრძელ ზიგზაგისებრ ან სპირალად დახვეულ ჯაჭვს (სურ. 9.1, ა). ჯაჭვის გასწვრივ განლაგებული მაღალი სიმტკიცის მოქნილი მაკრომოლეკულები სუსტი მოლეკულური კავშირებით უზრუნველყოფს მასალის ელასტიურობას, ხოლო გახურებისას – მისი გარბილების, გაცივებისას კი – კვლავ გამყარების უნარს (პოლიეთილენი, პოლიამიდი და ა.შ).



სურ. 9.1. პოლიმერების  
მაკროსტრუქტურის სქემები.

ა – წირითი;

ბ – განშტოებული;

გ – ლენტური;

დ – სივრცითი (ბადისებრი);

ე – ბრტყელი

განშტოებული, ასევე წირითი მაკრომოლეკულები (ბ) გამოიჩევა განივი განშტოებით, რაც ხელს უშლის მათ მჭიდროდ განლაგებას.

ლენტური მაკრომოლეკულა (გ) ქიმიური კავშირებით შეერთებული ორი ჯაჭვის-გან არის შედგენილი. პოლიმერების ძირითადი ჯაჭვი უფრო მაღალი სიხისტით და გაზრდილი თბომედეგობით ხასიათდება. პოლიმერი უხსნადია სტანდარტულ თრგა-ნულ გამხსნელებში (მაგალითად, სილიციუმორგანული პოლიმერები).

სივრცითი ან ბადისებრი პოლიმერები მაკრომოლეკულების განივი მიმართულებით ურთიერთშეერთების შედეგად წარმოიქმნება, უშუალოდ მტკიცე ქიმიური კავშირების, ქიმიური ელემენტების ან რადიკალების მეშვეობით. შედეგად ყალიბდება სხვა-დასხვა სიხშირის ბადისებრი სტრუქტურა (დ). ბადისებრ პოლიმერებს მიეკუთვნება აგრეთვე ბრტყელი პოლიმერები (ე).

ფაზური მდგომარეობის მიხედვით არჩევენ ამორფულ და კრისტალურ პოლიმერებს. ამორფული პოლიმერები ერთფაზა სისტემას მიეკუთვნება და ფორმირებულია ერთ დასტად შეგროვილი ჯაჭვური მოლეკულებისაგან. დასტას აქვს მეზობელ ელე-მენტებთან შეფარდებით გადაადგილების უნარი, რადგან იგი ცალკე სტრუქტურულ ელემენტს წარმოადგენს. ზოგიერთი ამორფული პოლიმერი შეიძლება ჯაჭვების გლო-ბულებისაგან იყოს შედგენილი. პოლიმერების გლობულარული სტრუქტურა დაბალი მექანიკური თვისებებით ხასიათდება – მიმდინარეობს მყიფე რდვევა გლობულების საზღვრებში. გაზრდილ ტემპერატურაზე გლობულა იშლება წირით წარმონაქმნებად, რაც აუმჯობესებს პოლიმერის მექანიკური თვისებების კომპლექსს.

კრისტალური პოლიმერები ყალიბდება იმ შემთხვევაში, თუ მათი მაკრომოლექულები საკმარისად მოქნილია და აქვთ რეგულარული სტრუქტურა. ასეთ შემთხვევაში, სათანადო პირობების არსებობისას, შესაძლებელი ხდება ფაზური გარდაქმნის მიმდინარეობა დასტის შიგნით და სივრცითი კრისტალური გისოსის ჩამოყალიბება. კრისტალიზაცია მიმდინარეობს გარკვეულ ტემპერატურულ ინტერვალში. კრისტალური სტრუქტურები თერმოდინამიკურად სტაბილურია. წვეულებრივ პირობებში სრული კრისტალიზაცია არ მიმდინარეობს და სტრუქტურა ორფაზა მიიღება. კრისტალური აგებულება პოლიმერს მაღალ სიხისტეს და თბომედეგობას ანიჭებს.

ანსევავებენ პოლარულ და არაპოლარულ პოლიმერებს. პოლარობა განისაზღვრება პოლიმერის შედგენილობაში დიპოლების არსებობით (დადებითი და უარყოფითი მუხტის ცენტრების განაწილების გაშორიშორებით). არაპოლარული პოლიმერების მაკრომოლექულაში მუხტი განაწილებულია თანაბრად, დიპოლის მომენტები ურთიერთკომპენსირებულია, ხოლო პოლარულში მაკრომოლეგულა დიპოლს წარმოადგენს.

არაპოლარული პოლიმერები (ნახშირწყალბადის ფუძეზე) წარმოადგენს მაღალ-ხარისხოვან, მაღალი სიხშირის დიელექტრიკს და ხასიათდება კარგი ყინვამედეგობით. პოლარობა პოლიმერს ანიჭებს სიხისტეს, თბომედეგობას, მაგრამ ყინვამედეგობა დაბალია.

გახურებისადმი მგრძნობიარობის მიხედვით პოლიმერები თუ ჯგუფად იყოფა: თერმოპლასტიკურ და თერმორეაქტიულ პოლიმერებად.

თერმოპლასტიკური პოლიმერები გახურებისას ჯერ რბილდება, შემდეგ კი დნება. პროცესი შექცევადია – გაცივებისას მიმდინარეობს საპირისპირო პროცესი და პოლიმერი მყარდება. გახურება-გაცივებისას რაიმე მნიშვნელოვანი ქიმიური ან სტრუქტურული ცვლილებები არ ხდება, ამიტომ შესაძლებელია ამ პოლიმერებისა და მათგან წარმოებული ნაკეთობის ხელახლა გადამუშავება.

თერმორეაქტიულ პოლიმერებს ჩამოყალიბების პირველ სტადიაში აქვთ წირითი სტრუქტურა და გახურებისას რბილდება. შემდეგ, ქიმიური რეაქციების მიმდინარეობის შედეგად, აგებულება სივრცით სტრუქტურაში გადადის, მყარდება და შემდგომში ამ მდგომარეობას ინარჩუნებს. პოლიმერის მყარ მდგომარეობას თერმოსტაბილურს უწოდებენ.

## 9.2. ზოგადტექნიკური დანიშნულების თერმოპლასტები და თერმორეაქტიული პლასტიკები

თერმოპლასტიკური პლასტმასების (თერმოპლასტების) ფუძეს წრფივი ან განშტოებული სტრუქტურის პოლიმერები წარმოადგენს.

თერმოპლასტი ტექნოლოგიური მასალაა. მისგან ამზადებენ დეტალებს ელექტროქიმიური მრეწველობისათვის, სადებებს, თხელ ფირებს და ბოჭკოებს, მოხახუნე ელემენტებს, დამცავ დანაფარებს ლითონის ზედაპირზე.

თერმოპლასტი შეიძლება იყოს არაპოლარული და პოლიარული. არაპოლარულ თერმოპლასტის მიეკუთვნება პოლიეთილენი, პოლიპროპილენი, პოლისტიროლი და პოლიტეტრაფტორეთილენი.

პოლიეთილენის ორ მოდიფიკაციას აწარმოებენ:

1. მაღალი წნევისას, რომელსაც ღებულობენ ეთილენის გაზიდან  $P=50-300$  მგპა წნევისა და  $180^{\circ}\text{C}$  ტემპერატურულ პირობებში;
2. დაბალი წნევისას, როდესაც  $P=1$  მგპა.

პოლიეთილენი ( $-\text{CH}_2-\text{CH}_2-$ )<sub>n</sub> ქიმიურად მდგრადია და ოთახის ტემპერატურაზე არ იხსნება არც ერთ ცნობილ გამსსნელში. მუშა ტემპერატურული ინტერვალი საშუალოდ შეადგენს  $100$ -დან  $(-170)^{\circ}\text{C}$ -მდე.

პოლიპროპილენი ( $-\text{CH}_2-\text{CHCH}_3-$ )<sub>n</sub> თვისებებით პოლიეთილენის ანალოგიურია, მაგრამ ხასიათება უფრო მაღალი თბომედეგობით და ქიმიური მდგრადობით მაღალ ტემპერატურაზე. საექსპლუატაციო ტემპერატურული დიაპაზონია  $150$ -დან  $(-25)^{\circ}\text{C}$ -მდე.

პოლისტიროლი ( $-\text{CH}_2-\text{CHC}_6\text{H}_5-$ )<sub>n</sub> გამჭვირვალე, მინისებრი მასალაა. არ იხსნება მჟავებში, ტუტეებში, ბენზინსა და ზეთში. მდგრადია რადიაციის მიმართ. სტიროლის თანაპოლიმერი სინთეზიკურ კაუჩუკთან კარგად უძლებს დარტყმით დატვირთვებს.

პოლიტეტრაფტორეთილენი ( $-\text{CF}_2-\text{CF}_2-$ )<sub>n</sub>, ანუ ფტოროპლასტი-4 (ტეფლონი) ერთერთი ყველაზე თბომედეგი და ქიმიურად მდგრადი თერმოპლასტია. გააჩნია დაბალი ხახუნის კოეფიციენტი. იგი აბსოლუტურად მდგრადია მეტად ძლიერი მჟავების, ტუტეებისა და გამსსნელების მიმართ. იშლება მხოლოდ ტუტე ლითონების ხსნარში და ელემენტარული ფტორის ზემოქმედებით.

ფტოროპლასტის უარყოფითი მხარეა დაბალი რადიაციული მედეგობა. მნელია აგრეთვე მისი გადამუშავება ნაკეთობად.

პოლარულ თერმოპლასტს მიეკუთვნება:

ა – პოლიტეტრაფტორქლორეთოლენი ( $-CF_2-CFCl-$ )<sub>n</sub> – ფტოროპლასტი-3. იგი გამოირჩევა კრისტალურობის მაღალი ხარისხით (~80%), ხასიათდება გაზრდილი სიმკვრივით, სისალითა და სიმტკიცით. ფტოროპლასტი-3 არ იწვის, მდგრადია ატმოსფეროში, არ ატარებს ტენსა და ჰაერს. ოთახის ტემპერატურაზე არ იხსნება არც ერთ გამხსნელში (ზოგიერთ მათგანში იძერება). პოლიმერი ადვილად მუშავდება მექანიკურად.

ბ – პოლივინილქლორიდი ( $-CH_2-CHCl-$ )<sub>n</sub> – წირითი აგებულების არაკრისტალური პოლიმერია. არ იწვის, ხასიათდება მაღალი ქიმიური მედეგობით გაზრდილი კონცენტრაციის ტუბების, მჟავების, მარილებისა და საწვავ-საცხები მასალების მიმართ. სტაბილიზატორების დამატებით მისგან დებულობენ პოლიმერს – ვინიპლასტს, რომელიც კოროზიამედებ მასალას წარმოადგენს. იგი კარგად ექვემდებარება მექანიკურ დამუშავებას, დუღდება და წებდება. ყინვის წინააღმდეგ მედეგობის გაზრდისა და პლასტიკურობის ამაღლების მიზნით პოლივინილქლორიდში პლასტიფიკატორებს უმატებენ, რის შედეგადაც მიღებულ მასალას პლასტიკაზი ეწოდება. იგი გამოიყენება მსუბუქი რეზერვუარების, შემამჭიდროებელი შუასადებების, იზოლაციის და სხვათა დასამზადებლად.

გ – პოლიეთოლენტერეფტალატი – გამჭვირვალე, ამორფულ-კრისტალური პოლიმერია კრისტალურობის მაქსიმალური ხარისხით 49-65%. ოთახის ტემპერატურაზე ქიმიურად მდგრადია, ტემპერატურის მატებისას ქიმიური მდგრადობა მცირდება. არაპიგროსკოპულია, მდგრადია სინათლის, ულტრაიისფერი, რენტგენისა და  $\gamma$  გამოსხივების მიმართ. ახასიათებს მაღალი დიელექტრიკული მახასიათებლები  $180^{\circ}\text{C}$ -მდე.

პოლიეთოლენტერეფტალატისაგან მიიღება ფირი და ბოჭკო (ლაგსანი), რომელსაც მაღალი სიმტკიცის მახასიათდებლები გააჩნია გაჭიმვისას. ხასიათდება კარგი დარტფ-მითი სიბლანტით და ცვეთამედეგობით. ფირი ადვილად ექვემდებარება მეტალიზაციასა და შეღებვას.

პოლიურეთანი შეიცავს ურეთანის ჯგუფს ( $-NH-COO-$ ). მისი სინთეზისათვის სხვადასხვა ქიმიური ბუნების ნაერთი გამოიყენება. ამ კლასის პოლიმერები სტრუქტურისა და თვისებების მიხედვით საკმაოდ მრავალფეროვანია. მათთვის დამახასიათებელია ქიმიური მდგრადობა განზავებული მინერალური და ორგანული მჟავების, ნახშირწყლების, მინერალური და ორგანული ზეთების, წყლისა და დამჟანგველების ზე-

მოქმედების მიმართ. იხსნება ზოგიერთ ორგანულ გამხსნელში. პოლიურეთანის უარყოფითი მხარეა დაბალი თერმული მდგრადობა ( $120^{\circ}\text{C}$ ).

სამგანზომილებიანი პოლიურეთანი გამოიყენება ელასტომერისა და ქაფბლასტის მისაღებად, ბოჭკოს, წებოს, პერმეტიკის და ლაქსალებავების დასამზადებლად.

მინაპლასტის დასამზადებლად მინის ბოჭკოს ღებულობები თხელ ხვრელში (ფოლერში) უტუტო, გამდნარი მინის დიდი სიჩქარით გამოჭიმვით  $1200\text{-}1400^{\circ}\text{C}$ -ზე. თხელ მინის ბოჭკოს მეტად მაღალი სიმტკიცის მახასიათებელი გააჩნია: 2-3 მკმ დიამეტრის ბოჭკოს სიმტკიცის ზღვარი გაჭიმვაზე 5000-6000 მგპა-ს შეადგენს. იზოლირებული მინის ბოჭკოს დიამეტრის გაზრდით მისი სიმტკიცე კლებულობს, თუმცა შემაკავშირებელ ფისთან ერთობლიობაში იგი პასუხობს ამ მახასიათებლის ობტიმალურ მნიშვნელობას. ამგვარად, მინაპლასტში კარგად არის შეხამებული მცირე სიმკვრივე ( $\sim 1,6\text{-}1,9 \text{ g/mm}^3$ ) მაღალ სიმტკიცესა და სიხისტესთან.

**პლასტიკურ მასას, ან უბრალოდ, პლასტმასს, უწოდებენ მასალას, რომელიც დამზადებულია რომელიმე პოლიმერის ფუძეზე. კომპოზიციის შემადგენლობა სხვადასხვა შეიძლება იყოს. მაგალითად, უბრალო პლასტმასებს მიეკუთვნება პოლიმერები დანამატების გარეშე, ხოლო რთული პლასტმასები წარმოადგენს პოლიმერების ნარევს სხვადასხვა დანამატებთან – შემაგსებლებთან, სტაბილიზატორებთან, პლასტიფიკატორებთან და ა.შ. შემაგსებელს უმატებენ 40-70%-ის რაოდენობით მექანიკური თვისებების ასამაღლებლად, რაც ამცირებს ნაკეთობის თვითდირებულებას. შემაგსებლებად გამოიყენება ორგანული და არაორგანული ნივთიერებები – ხის ფქვილი, ჭვარტლი, ქარსი, ტალკი,  $\text{SiO}_2$ ,  $\text{TiO}_2$ , გრაფიტი; ბამბულის, აზბესტის, პოლიმერების, ქაღალდისა და სხვადასხვა ქსოვილის ბოჭკოები; ხის შპონის ფურცელი.**

სტაბილიზატორები, რომლებსაც სხვადასხვა ორგანული ნივთიერებები მიეკუთვნება, შეაქვთ რამდენიმე პროცენტის რაოდენობით მოლექულების სტრუქტურის შენარჩუნებისა და თვისებების სტაბილიზაციისათვის.

პლასტიფიკატორებს უმატებენ 10-20%-ის რაოდენობით სიმყიფის შემცირებისა და ფორმის მინიჭების ოპერაციის გასაუმჯობესებლად. პლასტიფიკატორებად გამოიყენება ეთერი, ხოლო ზოგჯერ – პოლიმერი დრეკადი მოლექულებით.


სპეციალურ დანამატებს მიეკუთვნება შემზეთი მასალები, საღებავები, დანამატები სტატიკური მუხტისა და წვადობის შესამცირებლად.

გამყარების პროცესის დასაჩარებლად თერმორეაქტიულ პლასტმასებს უმატებენ გამამყარებლებს რამდენიმე პროცენტის რაოდენობით. ამ მიზნით გამოიყენება ორგანული ზეჟანგები, გოგირდი და სხვა ნივთიერებები.

პლასტმასების თვისებათა თავისებურებაა მცირე სიმკვრივე ( $\gamma=1-2 \text{ } \text{გ}/\text{მ}^3$ , ქაფ-პლასტმასისა –  $0,015$ -დან  $0,8 \text{ } \text{გ}/\text{მ}^3$ ), მაღალი ქიმიური მედეგობა და ელექტროსაიზო-ლაციო თვისებები, დაბალი სითბოგამტარობა და მნიშვნელოვანი თბური გაფართოება ( $10-30$ -ჯერ მეტი ჩვეულებრივ ფოლადებთან შედარებით).

### 9.3. პლასტმასების მექანიკური თვისებები

დატვირთვის პირობებში პოლიმერების დეფორმაცია სამი შემდგენის – დრეკადი, მაღალელასტიური და ბლანტი დინების უბნების ჯამით განისაზღვრება (სურ. 9.1). დეფორმაციის შემდგენების ურთიერთშეფარდება ცვალებადია და დამოკიდებულია როგორც პოლიმერის სტრუქტურაზე, ისე დეფორმაციის პირობებსა და გამოცდის ტემპერატურაზე. მექანიკური თვისებების მგრძნობიარობა დეფორმაციის სიჩქარეზე, დატვირთვის მოქმედების ხანგრძლივობაზე, ტემპერატურასა და სტრუქტურაზე, თერმოპლასტების ტიპურ თავისებურებას წარმოადგენს.



სურ. 9.1. ბლანტი (ა) და მყიფე (ბ) თერმოპლასტის გაჭიმვის დიაგრამები

მინისებრი თერმოპლასტები გაჭიმვისას ძლიერ წაგრძელებას განიცდის. გაწყვეტის შემდეგ ნარჩენი დეფორმაციის სიდიდე რამდენიმე ათეულ და ასეულ პროცენტს შეადგენს. ასეთ დეფორმაციას მაღალელასტიურს უწოდებენ. იგი არის გარეშე ძალის ზემოქმედებით დაგრეხილი მაკრომოლეკულების გაჭიმვის შედეგი. გაჭიმვისას მასალა იწყებს დინებას და ნიმუშში ყელი წარმოიქმნება. პლასტიკური დინების უბანი mn (სურ. 9.1, ა) შეესაბამება წარმოქმნილი შევიწროების თანდათანობით გაგრცელებას

ნიმუშის მთელ სიგრძეზე.

მსგავსი სურათი მიიღება კრისტალური პოლიმერების გაჭიმვისას. ამ შემთხვევაში საწყისი სტრუქტურა იცვლება ახლით, რომელშიც კრისტალებს აქვს შეცვლილი ფორმა და უპირატესი, ერთნაირი ორიენტაცია.

ორიენტირებული მოლექულური სტრუქტურის მქონე თერმოპლასტების უპირატესი ორიენტაციის მიმართულებით გაჭიმვისას არ ყალიბდება პლასტიკური დინების უბანი (სურ. 9.1, ბ) და ნიმუშის წაგრძელება არ აღემატება ათობით პროცენტს. დაშტრიხული უბნები დიაგრამაზე შეესაბამება დასაშვები დატვირთვის მნიშვნელობებს.

თერმოპლასტების მექანიკური თვისებების თავისებურებანი შემდეგში მდგომარეობს:

1. გახურებისას სიმტკიცე მცირდება და მასალა იძენს გაზრდილ სიბლანტეს. პოლიეთილენი, პოლისტიროლი და პოლივინილქლორიდი  $100^{\circ}\text{C}$ -მდე გახურებისას სიმტკიცეს იმდენად ძლიერ კარგავს, რომ მათი გამოყენება საკონსტრუქციო მასალად  $50^{\circ}\text{C}$ -ზეც კი შეუძლებელია.  $25^{\circ}\text{C}$ -ის ქვემოთ გაცივებისას სიმტკიცე მატულობს, მაგრამ ერთდროულად იზრდება სიმყიფე და მგრძნობიარობა ჩანაჭრების მიმართ.

2. დატვირთვის ხანგრძლივი ზემოქმედების პირობებში სიმტკიცის მახასიათებლები მცირდება და წარმოიქმნება ნარჩენი დეფორმაცია, რაც იძულებითი მაღალელასტიური დეფორმაციის შედეგია. სტატიკური დატვირთვის შემთხვევაში ერთი წლის განმავლობაში სიმტკიცის ზღვარი გაჭიმვაზე ორჯერ მცირდება.

3. დეფორმაციის სიჩქარის გაზრდით პლასტმასის სიხისტე მატულობს, რადგან მაღალპლასტიკური დეფორმაციის პროცესების მიმდინარეობა ჩამორჩება და მატულობს მიღრეკილება მყიფე რღვევისადმი.

4. პლასტმასები ორიენტირებული მოლექულური სტრუქტურით ანიზოტროპიული თვისებებით ხასიათდება. თერმოპლასტების გამოჭიმვა 2-4-ჯერ, სიმტკიცის მახასიათებლებს ორჯერ ზრდის. სიმტკიცე მაქსიმალურია გაჭიმული მოლექულების გასწრივ, ხოლო განივი მიმართულებით – შემცირებული.

კრისტალურ პოლიმერებში მექანიკური თვისებები დამოკიდებულია კრისტალიზაციის ხარისხზე. რაც უფრო მეტია იგი, მით უფრო მაღალია სიხისტე და სიმტკიცეზოგიერთ პოლიმერში კრისტალიზაციის ხარისხის გაზრდა 85%-ის ზემოთ განაპირობებს სიმყიფის განვითარებას.

თერმოპლასტის მექანიკური თვისებები უმჯობესდება, თუ შემავსებლად 20-30%

მინის ბოჭკოს გამოვიყენებთ. ასეთი პლასტმასი გამოირჩევა ზომების მაღალი სტაბილურობით დატვირთვის ზემოქმედების პირობებში, იზრდება სიმტკიცე, მაგრამ უარესდება წინააღმდეგობა დარტყმითი დატვირთვებისადმი.

#### 9.4. პოლიმერების დამვალება

პლასტმასების თავისებურებას წარმოადგენს თვისებების არასტაბილურობა დაგელების გამო. დაძველება გულისხმობს პოლიმერული მასალების უმთავრესი ტექნიკური მახასიათებლების თავისთავად, შეუძლებელი ცვლილებას რთული ქიმიური დაფიზიკური პროცესების შედეგად, რომლებიც მასალის ექსპლუატაციისა და შენახვის დროს მიმდინარეობს. დაძველების მიზეზი შეიძლება იყოს სინათლის, სითბოს, ჟანგბადის, ოზონისა და კიდევ სხვა, მათ შორის მექანიკური ფაქტორების ზემოქმედება. მაგალითად, პოლიეთილენი 2-3 წელიწადში ძლიერ იშლება მზისა და ულტრაიისფერი სხივების ზემოქმედებით. დაძველების პროცესს მეტად აჩქარებს მასალის მრავალჯერადი დაფორმაცია, ნაკლებად ზემოქმედებს ტენი.

ანსევაუებენ თბურ, სინათლის, ოზონის და ატმოსფერულ დაძველებას.

დაძველების არსი მდგომარეობს რთული ჯაჭვური რეაქციის მიმდინარეობაში, რაც განაპირობებს თავისუფალი რადიკალების (იშვიათად იონების) წარმოქმნას, პოლიმერის დესტრუქციას და სტრუქტურირებას. ჩვეულებრივ, დაძველება არის ატმოსფერული ჟანგბადით პოლიმერის ჟანგვის შედეგი. თუ უპირატესად დესტრუქცია მიმდინარეობს, პოლიმერი რბილდება, გამოიყოფა აქროლადი ნივთიერებები (მაგალითად, ნატურალურ კაუჩუკში), ხოლო სტრუქტურირების შემთხვევაში იზრდება პოლიმერის სისალე, სიმყიფვა, და შეინიშნება ელასტიურობის კარგვა (მაგალითად, ბუტიდიენის კაუჩუკში, პოლისტიროლში).

მაღალ ტემპერატურაზე ( $200\text{--}500^{\circ}\text{C}$ ) მიმდინარეობს ორგანული პოლიმერების დაშლა. ამასთან, პოლიმერების პიროლიზი, რასაც თან სდევს აქროლადი ნივთიერებების აორთქლება, წარმოადგენს არა ზედაპირულ მოვლენას, არამედ ნიმუშის მთელ მოცულობაში ხდება აორთქლების უნარის მქონე მოლეკულების წარმოქმნა.

თერმოდესტრუქციისადმი სტაბილურობით გამოირჩევა ისეთი პოლიმერები, რომლებსაც პოლიმერიზაციის მაღალი თბური პარამეტრები გააჩნია (პოლიეთილენი, პოლიფენოლი) და პოლიმერები პოლარობის ჩამნაცვლებლით (ფტოროპლასტები).

ოზონისადმი მდგრადია სილიციუმორგანული ნაერთები, ტროპიკული ატმოსფერო-

სადმი – პოლიეთილენი, პოლიტეტრაფტორეთილენი, პოლიამიდის ბოჭკო; არამდგრა-დია ნატურალური და სინთეთიკური კაუჩუკი, ვისკოზა.

დაძველების პროცესის შესანელებლად პოლიმერულ მასალას უმატებენ სტაბილი-ზატორებს (სხვადასხვა ორგანულ ნივთიერებას) და ანტიოქსიდანტებს (ამინებს, ფენო-ლებს და სხვა)

## 9.5. პარმოადგენის და რეჟიმი

რეზინი წარმოადგენს მასალას, რომელიც მიიღება კაუჩუკისა და სხვადასხვა და-ნამატების სპეციალური დამუშავებით, ვულკანიზაციით. კაუჩუკი წარმოადგენს რბილ, ელასტიკურ პროდუქტს სიმკვრივით (0,92–0,94 გ/სმ<sup>3</sup>).

ანსხვავებენ ნატურალურ (ბუნებრივ) და სინთეტიკურ კაუჩუკს. ბუნებრივი კაუჩუ-კის ფუძეს ერთ-ერთი ხის წევნი წარმოადგენს, რომელიც ტროპიკულ ქვეყნებში იზრ-დება. ამ პროდუქტიდან მიღებულ კაუჩუკს აქვს ( $C_5H_8$ )<sub>n</sub> გამოსახულებასთან მიახლოე-ბული ფორმულა, სადაც n რამდენიმე ათასი რიგის რიცხვია. ნატურალური კაუჩუკის ფუძეზე წარმოებული რეზინი მაღალი სიმტკიცით და ელასტიკურობით გამოირჩევა, მაგრამ მოკლებულია მოედ რიგ საექსპლუატაციო თვისებებს, როგორიცაა, მაგალი-თად, ნავთობპროდუქტების ზემოქმედებისადმი მდგრადობა.

სინთეტიკური კაუჩუკი მზადდება სხვადასხვა პოლიმერისაგან. მისი მრავალი სა-ხეობა არსებობს, მათ შორის:

**ნატრიუმბუტადიენის** კაუჩუკი, რომლის მიახლოებული ფორმულაა ( $C_4H_6$ ), გამო-ირჩევა ცვეთისადმი მაღალი წინაღობით;

**იზოპროპინის** კაუჩუკი ( $C_5H_8$ )<sub>n</sub>, რომელიც სიმტკიცითა და თბომედეგობით ახლოს დგას ნატურალურთან, მხოლოდ უმნიშვნელოდ ჩამოუვარდება მას ელასტიკურობით;

კაუჩუკის და ზოგიერთი ორგანული ნივთიერების ერთობლივი პოლიმერიზაციით დებულობენ პროდუქტს, რომელსაც თანაპოლიმერს უწოდებენ. ასეთებია:

**ბუტადიენსტიროლის** კაუჩუკი – ეს არის ბუტადიენის და სტიროლის თანაპოლი-მერი ( $CH_2=CH-C_6H_5$ ). იგი ხასიათდება მაღალი მექანიკური თვისებებით, მდგრადობით ცვეთის მიმართ, ხოლო ზოგიერთი სახეობა – ყინვაგამძლეობითაც.

**ნიტრილბუტადიენის** კაუჩუკი – წარმოადგენს ბუტადიენის და აკრილმერას ნიტ-რილის ( $CH_2=CH-CN$ ) თანაპოლიმერს. ნიტრილის კაუჩუკი გამოირჩევა გაზრდილი მე-

ქანიკური სიმტკიცით და ბენზინის, ნავთის, ზეთის და წყლის მიმართ განსაკუთრებული მდგრადობით.

თუ ბუტადიენში წყალბადის ერთი ატომი ქლორით შეიცვლება, მიიღება ქრომოკრენი ( $\text{CH}_2=\text{CH}-\text{CCl}=\text{CH}_2$ ). მისი პოლიმერიზაციით აწარმოებენ **ქრომოპრენის კაუჩუკს – ნეოპრენის (ნაილოფის)**. იგი ხასიათდება მაღალი მდგრადობით ზეთის, ნავთის, ბენზინის, ოზონისა და გარემოს (მზის, გაზრდილი ტემპერატურის, ჰაერის ჟანგბადის) ზემოქმედების მიმართ.

**ბუტილკაუჩუკი** არის ბუტადიენის, ოზოპრენის და იზობუტილენის თანაპოლიმერი [ $\text{CH}_2=\text{C}(\text{CH}_3)-\text{CH}_3$ ]. ბუტილკაუჩუკის ერთ–ერთი ძირითადი ლირსებაა პრაქტიკულად სრული აირშეუღწევლობა. იგი ხასიათდება აგრეთვე მნიშვნელოვანი სიმტკიცით და ელასტიურობით, რომელსაც ინარჩუნებს  $-70$ –დან  $+150^{\circ}\text{C}$  ინტერვალში, აგრეთვე ჟანგბადის, მჟავების და სხვა რეაგენტების ზემოქმედებისადმი მაღალი წინააღმდეგობით.

ზოგიერთ შემთხვევაში გამოიყენება მაღალმოლეკულური ელასტიური მასალები, რომლებსაც კაუჩუკების ჯგუფს მიაკუთვნებენ. ამ მასალების აგებულებას საფუძვლად უდევს ატომების ჯაჭვი, რომელშიც მონაწილეობს გოგირდის ან სილიციუმის ატომები. შესაბამისად მიიღება ტიოკოლის ან პოლისილოქსანის (სილიკონის ან სილიციუმორგანული) კაუჩუკი.

**ტიოკოლის კაუჩუკი**, რომელსაც ტიოკოლის ფუძეზე ( $\text{C}_2\text{H}_4\text{S}_4$ ) აწარმოებენ, გამოირჩევა აირშეუღწევლობით, ბენზინისა და ზეთისადმი მედეგობით, კარგი ჰერმეტული თვისებებით და მაღალი ადჰეზიით ლითონების მიმართ.

**სილიკონის კაუჩუკის** განსაკუთრებული თვისებაა კარგი დიელექტრიკული მახასიათებლები, მდგრადობა ოზონისა და სინათლის ულტრაიისფერი სხივის ზემოქმედების მიმართ. იგი არ ძველდება და არ იჯირჯვება ორგანულ გამხსნელებში, პლასტიკურობას ინარჩუნებს  $-80$ –დან  $+270^{\circ}\text{C}$ -მდე. მისი გამოყენება მიზანშეწონილია შემამჭიდროვებლის, მემბრანის და მოქნილი შეერთებების დასამზადებლად.

**პოლიურეტანის კაუჩუკი** ხასიათდება მაღალი ცვეთამედეგობით.

ამგვარად, ნებისმიერი რეზინის ფუძემასალას ნატურალური ან სინთეტიკური კაუჩუკი, ელასტომერი წარმოადგენს. კაუჩუკის მაღალ ელასტიურობას განაპირობებს მისი წირითი ან სუსტად დატოტვილი მოლექულების ზიგზაგისებრი ან სპირალური კონფიგურაცია და დიდი მოქნილობა. თუმცა წირითი აგებულების კაუჩუკის გამოყენება შეუძლებელია ნაკეთობის დასამზადებლად ორგანულ სითხეებში მისი სსნადო-

ბის გამო. გარდა ამისა, იგი ხასიათდება დიდი ცოცვადობის უნარით ოთახის და, განსაკუთრებით, გაზრდილი ტემპერატურის პირობებში. ამ უარყოფითი თვისებების ასაცილებლად ნედლი რეზინის (კაუჩუკისა და ინგრედიენტების მექანიკური ნარევის) დაწესებით, წნევის ქვეშ ჩამოსხმით, გამოწნებით ან პლასტიკური დეფორმაციის სხვა ხერხით ფორმირებულ ნაკეთობას ანიჭებენ ნაკერიან, მეჩხერბადისებრ მოლეკულურ სტრუქტურას. ასეთ ოპერაციას ვულკანიზაციას უწოდებენ. ვულკანიზაციის პროცესში ჩამოყალიბებული ნაკერების რაოდენობის მიხედვით შეიძლება რბილი, საშუალო სიმტკიცისა და მტკიცე რეზინის მიღება.

რეზინი მთავარ დამახასიათებელ თვისებას, ელასტიურობას, კაუჩუკისგან იძენს. რეზინს აქვს ძალიან დიდი დეფორმაციის უნარი. გარკვეული ძაბვების ზღვრებში იგი არსებითად ხასიათდება დეფორმაციის სრული შექცევადობით, რაც უადრესად მცირე დროში რეალიზირდება. უარყოფითი ტემპერატურის ზემოქმედება განაპირობებს მაღალელასტიური თვისებების შემცირებას ან სრულ კარგვას, მინისებრ მდგომარეობაში გადასცლას და სიხისტის გაზრდას რამდენიმე ხარისხით. დეფორმაციის უნარს რეზინი (-30 . . +130°C) ზღვრებში ინარჩუნებს. ჩრდილოეთისათვის აწარმოებენ ყინვა-გამძლე რეზინს, რომელიც -65°C-სს უძლებს, ხოლო უფრო მაღალ ტემპერატურაზე სამუშაოდ ამზადებენ თბომედეგ რეზინს, რომლის სამუშაო ტემპერატურა 150°C-სს აღწევს.

მაღალ ელესტიურობასთან ერთად რეზინს აქვს მთელი რიგი სხვა ლირსშესანიშნავი თვისებებიც, როგორიცაა შედარებით მაღალი სიმტკიცე გაჭიმვაზე (20-30 მგპა), ცვეთამედეგობა, ელექტროსაიზოლაციო თვისებები, აირ და წყალშეუღებელობა, ქიმიური მედეგობა და სხვა.

სხვადასხვა კაუჩუკზე დამზადებული რეზინის გაჯირჯვების ხარისხი დამოკიდებულია რეზინის ბადურობის ხარისხზე, სითხის მოლეკულების აქტივობაზე და ე.წ. ხსნადობის პარამეტრზე, რომელიც ახასიათებს კაუჩუკისა და გამხსნელის პოლარულობის ურთიერთშეფარდებას.

რბილი, მაღალელასტიური რეზინის მოლეკულებში 80%-ზე მეტი გამოუყენებელი ორმაგი კავშირებია შენარჩუნებული. ეს შედარებით არამდგრადი კავშირები თერმოჟანგით, ფოტო და მექანიკური დესტრუქციის კერებს წარმოადგენს. ელასტიური მაღალმოლეკულური, მეჩხერბადისებრი სტრუქტურა დროში ცალკეულ დაბალმოლეკულურ ფრაგმენტებად იშლება, რაც იწვევს როგორც ელასტიურობის, ისე სიმტკიცის

შემცირებას და ბზარების წარმოქმნას, ანუ განაპირობებს რეზინის დაძველებას.

ნაჯერი კაუჩუკის ფუძეზე დამზადებული რეზინი საკმაოდ მდგრადია დაძველებისა და აგრესიული გარემოს მიმართ.

ანსევავებენ საერთო დანიშნულებისა და სპეციალურ რეზინებს.

საერთო დანიშნულების რეზინის ექსპლუატაცია შესაძლებელია წყლისა და ჰაერის გარემოში, მჟავების, მარილისა და ტუტების სუსტ ხსნარებში, აგრეთვე სპირტში, აცეტონში და ცხიმოვან მჟავებში. მუშა ტემპერატურული ინტერვალი ძევს ზღვრებში (-60. . . -35)-დან (80. . . 130) $^{\circ}\text{C}$ -მდე. ამ ჯგუფის რეზინები, განსაკუთრებით რბილი, არა მდგრადია სინათლითა და თბური დაძველებისადმი; განიცდის ძლიერ გაჯირჯვებას (200-600%-ით) ცხიმოვან და არომატულ გამსსნელებთან (ბენზინი, ნავთი, ბენზოლი, ქლოროფორმი, გოგირდნახშირბადი, სამანქანო ზეთი) კონტაქტის შემთხვევაში.

სპეციალური რეზინი რამდენიმე ჯგუფად იყოფა:

**ზეთმედები** და **ბენზინმედები** რეზინები – გამოიყენება მინერალურ ზეთებთან, ნავთონან და ბენზინთან კონტაქტში, რომლებშიც იგი 24 საათში 60%-ით განიცდის გაჯირჯვებას. ხასიათდება გაზრდილი მდგრადობით სინათლით დაძველებისადმი და ქიმიური მედეგობით. უარყოფითი მხარეა შემცირებული ელასტიურობა და გამყიფება (-30. . . -50) $^{\circ}\text{C}$  ტემპერატურულ ინტერვალში. მისი თბომედეგობა არ აღემატება 130 $^{\circ}\text{C}$ .

**შუქმედები**, **ოზონმედები** და **ქიმიურად მდგრადი** ჯგუფის რეზინები არ იშლება რამდენიმე წლის განმავლობაში ატმოსფეროს ზემოქმედებით. შესაძლებელია აგრეთვე მათი ექსპლუატაცია კონცენტრირებულ მჟავებთან და გამსსნელებთან კონტაქტში.

**თბომედები** რეზინები მუშაობს -60-დან +250 და -100-დან +350 $^{\circ}\text{C}$  ტემპერატურულ დიაპაზონში. არ ძველდება, ელასტიურია, თუმცა განიცდის გაჯირჯვებას გამსსნელებში და ზეთებში, ახასიათებს დაბალი სიმტკიცე, დაბალი ადჰეზია და ცუდად მუშაობს ცვეთაზე.

**ფტორშემცველი** კაუჩუკისგან წარმოებული რეზინის საექსპლუატაციო ტემპერატურული დიაპაზონია (-50. . . 300) $^{\circ}\text{C}$ . ამ ჯგუფის რეზინები მეტად მდგრადია სინათლის, ოზონისა და თბური ზემოქმედებით დაძველების მიმართ, ზეთმედები, ბენზინმედები და ქიმიურად მდგრადია გასურების შემთხვევაშიც კი, არ იწვის, ხასიათდება ცვეთამედეგობით, საკმაოდ მტკიცე და ელასტიურია.

## 9.6. აფსებჭარმომქმნელი და ლაშსაღებავი მასალები. ემალი

აფსებჭარმომქმნელს მიეკუთვნება პოლიმერების, ოლიგომერების ან არაორგანული ნივთიერებების ფუძეზე დამზადებული მასალები, რომლებიც ხსნარებში ან ნალღობებში გამოიყენება. ზედაპირზე მათი დატანისა და გაშრობის შემდეგ წარმოიქმნება აფსები (ფირი), რომელიც მტკიცედ გავრის დასაფარ ზედაპირს (ფუძეშრებს).

აფსებჭარმომქმნელი მასალის უნარს, მტკიცედ შეუკავშირდეს დასაფარ ზედაპირს, ფასდება ადჰეზიით, რომელსაც განსაზღვრავს აფსებჭარმომქმნელი მასალისა და ფუძეშრის გამყოფ ზედაპირზე მიმდინარე მოვლენები. ფირის საკუთარი სიმტკიცე და მოკიდებულია კოჰეზიაზე – მოლეკულებს შორის ურთიერთქმედებაზე აფსებჭარმომქმნელის მოცულობაში.

დანაფარსა და ფუძეშრებს შორის შეჭიდულობის ხარისხის გასაზრდლად მეტად მნიშვნელოვანია დასაფარი ზედაპირის გაუცხიმოება აცეტონით ან სპირტით, რაც გააუმჯობესებს აფსებჭარმომქმნელი მასალით ზედაპირის დასველების უნარს. შესაძლებელია აგრეთვე დასაფარი ზედაპირის ხორკლიანობის გაზრდა ქიმიური ან მექანიკური გზით, რაც ყოველთვის მიზანშეწონილი არ არის.

აფსებჭარმომქმნელი მასალის შედგენილობაში შედის აფსებჭარმომქმნელი ნივთიერებები – ფუძე, რომელიც ძირითადად განსაზღვრავს მასალის თვისებებს; გამხსნელი, რომელიც მასალას გარკვეულ სიბლანტეს ანიჭებს; პლასტიფიკატორები ფირში ჩაჯდომის მოვლენის ასაცილებლად და მისი ელასტიურობის გასაზრდელად; გამამყარებელი და კატალიზატორი აფსებჭარმომქმნელის გადასაყვანად თერმოსტაბილურ მდგომარეობაში; შემავსებლები ფირის ჩაჯდომის შესამცირებლად.

ლაქსაღებავი წარმოადგენს მასალას აფსებჭარმომქმნელის ფუძეზე. იგი ძირითადად გამოიყენება ხსნარების სახით სხვადასხვა დანამატებით, რომლის ფუძეშრეზე დატანის შემდეგ მტკიცე აფსები წარმოიქმნება. ლაქსაღებავი ძირითადად კოროზიისაგან დაცვის ფუნქციას ასრულებს. დამცავი დანაფარები უნდა ხასიათდებოდეს ატმოსფეროს, ქიმიური და თბური ზემოქმედებისადმი მდგრადობით.

შედგენილობის მიხედვით ლაქსაღებავ მასალებში ძირითადად გამოყოფენ: ლაქს, საღებავს და ემალს.

ლაქი არის აფსებჭარმომქმნელის ხსნარი ორგანულ გამხსნელში. ზოგჯერ იგი შეიცავს ორგანულ საღებარს, რომელიც აფსებს გამჭვირვალობას უნარჩუნებს. საღება-

ვი არის ლაქისა და საღებარის ნარევი, ხოლო ლაქს, რომელიც არაორგანულ პიგმენტებს შეიცავს – ემალს უწოდებენ. პიგმენტები არსებით გავლენას ახდენს დანაფარის თვისებებზე: ანიჭებს გაუმჯვირობას, ზრდის მექანიკურ სიმტკიცეს, ხელს უწყობს შედწევადობის შემცირებას; ზოგიერთი მათგანი ზრდის კოროზიამედეგობას. ემალი შეიცავს 100–150% პიგმენტებს (100% აფსკრამომქმნელზე გათვლით). ემალის დანაფარს ლამაზი გარეგნული იერის მისანიჭებლადაც იყენებენ. იგი ძირითადად შავი ლითონების – თუჭისა და ფოლადისაგან დამზადებული ქიმიური და სასურსათო მრეწველობის აპარატურის ზედაპირზე დააქვთ. ფართო გამოყენებას პოულობს აგრეთვე სამაცივრო და აირული აპარატურის, ჭურჭლის და სხვა წარმოებაში.

აფსკრამომქმნის მიხედვით ლაქსაღებავები იყოფა ზეთის, ბითუმის, ეთერცელულოზის და ფისის საღებავებად. ფართოდ გავრცელებულ ლაქსაღებავების დანაფარების მიეკუთვნება პერქლორვინიდის, აკრილის (თერმოპლასტებიდან); ფენოლოფორმალდებიდის, ეპოქსიდის, ალკიდის, სილიციუმორგანული, პოლიამიდის და სხვა (გამამყარებელი ფისებიდან).

## 9.7. საპონსტრუქციო ჭებო

წებოთი შეერთებას გააჩნია მთელი რიგი უპირატესობა შეერთების სხვა მეთოდებთან შედარებით: სხვადასხვაგვარი მასალების შეერთების უნარი; მდგრადობა ატმოსფეროს და კოროზიული ზემოქმედების მიმართ; მაღალი ჰერმეტულობა და სიმტკიცის მახასიათებლები ზომიერ ტემპერატურაზე და ვიბრაციის პირობებში, განსაკუთრებით მცირე განივალეთის ლითონის შეერთებებში; მცირდება ტექნოლოგიური კვანძის წონა და წარმოების დანახარჯები, მარტივდება აგრეგატის დამზადების ტექნოლოგია, იქმნება კონსტრუქციის დამზადების ახალი შესაძლებლობები ლითონური და არალითონური მასალების ურთიერთშეხამებით.

წებოთი შეერთების ძირითადი უარყოფითი მხარეა თბომედეგობის შედარებით მცირე ხანგამძლეობა, რაც განპირობებულია აფსკრამომქმნელი მასალის ორგანული ბუნებით და მიდრეგილებით დაძველებისადმი. სილიციუმორგანული და არაორგანული პოლიმერების ფუძეზე დამზადებული წებო უზრუნველყოფს  $1000^{\circ}\text{C}$ -მდე ექსპლუატაციას, მაგრამ მათ არ გააჩნია აფსკის საკმაო ელასტიკობა.

თანამედროვე წებოს კომპოზიციები სინთეტიკური ფისების და კაუჩუკის ფუძეზე მაღალხარისხოვანი შეერთების შესაძლებლობას იძლევა თვისებათა ფართო დიაპა-

ზონში. იგი უზრუნველყოფს ფოლადის, კერამიკის, მინის, მერქნის და ქაღალდის შეწებას სხვადასხვა კომპინაციით.

სუფთა ფისის ფუზებე წარმოებული წებო გაზრდილი სიმყიფით ხასიათდება. ამიტომ სიმყიფის შესამცირებლად ფისს კაუჩუკთან და თერმოპლატებთან შეთავსებით იყენებენ.

ფენოლოფორმლდებიდის ფისის ფუზებე დამზადებული წებო გამოიყენება პლასტმასისა და მერქნის შესაწებებლად. ფისის პოლარულობის გამო წებო ხასიათდება კარგი ადჰეზიით სხვადასხვა მასალასთან. შეწებება შეიძლება განხორციელდეს როგორც ჩვეულებრივ პირობებში, ისე, პროცესის დასაჩქარებლად, შეთბობით.

ფართოდ გამოიყენება ფენოლო-პოლივინილაცეტატის კომპოზიცია (იგი ცნობილია მარკით ნფ). წებოს ძირითადი შემადგენელია ფენოლოფორმალდებიდის ფისის ხსნარი სპირტში. ჰიდროქსილის ჯგუფების დიდი რაოდენობა წებოს პოლარულს ხდის ლითონთან და მრავალ არალითონურ მასალასთან მაღალი ადჰეზიური თვისებებით. მისი თბომედეგობა  $120^{\circ}\text{C}$ -მდეა.

ეპოქსიდური ფისის ფუზებე დამზადებული წებო მყარდება გამამყარების საშუალებით ცივი ან ცხელი მეთოდით, თანაპროდუქტის გამოყოფის გარეშე, რაც შეწებების აფსკში ჩაჯდომის მოვლენის აცილებას უწყობს ხელს. წებოს პოლარულობა მის კარგ ადჰეზიურ თვისებებს განაპირობებს.

თბომედეგს მიეკუთვნება წებო სილიციუმორგანული ნაერთების ფუზებე. ადჰეზიური თვისებების უზრუნველსაყოფად ხშირად მას სხვადასხვა ფისს უთავსებენ.

## 9.8. აირსავსე პლასტმასები

აირსავსე პლასტმასები წარმოადგენს პოლიმერულ მასალებს, რომლებიც მიეკუთვნება „მყარი ტანი-აირი“ ტიპის დისპერსიულ სისტემას. აირსავსე პლასტმასები იყოფა ქაფპლასტმასებად, რომლებიც უპირატესად შეიცავს დახშულ ფორებს ან უჯრედებს და ფორმპლასტებად, ანუ ღრუბლოვან მასალებად, რომლებშიც ღია ფორები უპირატესად ერთმანეთთან არის შეერთებული. დრეკად-ელასტიური თვისებების მიხედვით აირსავსე პლასტმასებს პირობითად ყოფენ ხისტ, ნახევრადხისტ და ელასტიურ მასალებად.

აირსავსე პლასტმასების მიღება პრაქტიკულად ნებისმიერი შემკვრელი პოლიმერიდან არის შესაძლებელი. დიდ ინტერესს იმსახურებს ინტეგრალური ქაფპლასტი,

რომელიც ხასიათდება ცვალებადი ფორიანობით მასალის სისქის მიხედვით. მაღალ-ფორიანი შიდა ფენები პლასტმასის უმთავრეს თვისებებს უზრუნველყოფს, ხოლო მკვრივი, ზედაპირული ფენა არსებითად ზრდის მასალის სიმტკიცეს. მნიშვნელოვანია აგრეთვე სფეროპლასტის სინთეტიკური ქაფი – პლასტიკი დრუ შემაგსებლით, რომელისაც, ქაფპლასტისაგან განსხვავებით, აქაფების გარეშე დებულობენ. ამ მასალებს აქვს უჯრედების მხოლოდ დახურული სტრუქტურა. თერმოპლასტიკური ქაფპლასტების – ქაფპოლიეთილენის, ქაფპოლისტიროლის და ქაფპოლივინილქლორიდის საექსპლუატაციო ტემპერატურული დიაპაზონია  $\pm 60^{\circ}\text{C}$ .

ქაფპლასტები გამოიყენება, როგორც მსუბუქი საკონსტრუქციო მასალა სამფენოვან პანელებში თბოსაიზოლაციო, ბგერათსაიზოლაციო, ვიბროსაიზოლაციო კაბინებში, კონტეინერებში, ხელსაწყოების კაპსულირებისას და ა.შ.

## საპონიტრუქციო მასალები სასურსათო წარმოებაში

### 10.1. ზოგადი მიმოხილვა

სასურსათო წარმოება მიეკუთვნება თანმიმდევრული ტექნოლოგიური პროცესების ერთობლიობას, რომლის მიზანია მცენარეული ან/და ცხოველური წარმოშობის ნედლეულის გადამუშავების გზით საკვები ან ფარმაცევტული პროდუქციის მიღება წინასწარ ცნობილი თვისებებისა და შენახვის ვადის უზრუნველყოფით.

სასურსათო წარმოებაში ტექნოლოგიური პროცესის შემდეგი დამახასიათებელი ეტაპები შეიძლება გამოიყოს:

1. ნედლეულის, პროდუქტების და მოწყობილობის გარეცხვა ან სანიტარულ-ჰიგიენური დამუშავება;
2. პროდუქციის დაწვრილმანება, დაყოფა და დაკალიბრება;
3. პროდუქტების შერევა;
4. პროდუქტებზე თბური ზემოქმედება;
5. დაფასოება და შეფუთვა;
6. ტრანსპორტირება.

თანამედროვე სასურსათო წარმოების მრავალფეროვნებამ არაერთი სპეციფიკური ტექნოლოგიური მოწყობილობის შექმნის აუცილებლობა განაპირობა. დასამუშავებელ პროდუქტზე ზემოქმედების მიხედვით სასურსათო წარმოების მოწყობილობა შეიძლება სამ ძირითად ჯგუფად დაიყოს:

- აპარატები პროდუქტების ფიზიკურ-მექანიკური ან აგრეგატული მდგომარეობის შესაცვლელად ფიზიკურ-მექანიკური, ბიომექანიკური, ან თბური პროცესების ზემოქმედებით;
- მანქანები მექანიკური ზემოქმედებსათვის პროდუქტების ფორმისა და ზომების შეცვლის მიზნით, საწყისი თვისებების შენარჩუნების უზრუნველყოფით;
- სატრანსპორტო მანქანები ნედლეულის ან შეუფუთავი პროდუქტების ტრანსპორტირებისათვის.

სასურსათო წარმოებისათვის დამახასიათებელ თავისებურებებს მიეკუთვნება პროდუქტის კონტაქტი აღნიშნული მანქანებისა და აპარატების ელემენტებთან, აგრეთვე

დროის ფაქტორი იმ შემთხვევაში, როდესაც ტექნოლოგიური პროცესის ხანგრძლივობა მკაცრად არის დროში რეგლამენტირებული. აღნიშნულ ზღვარს ზემოთ პროდუქცია შეიძლება წუნდებული აღმოჩნდეს.

ამგვარად, სასურსათო წარმოებაში გადასამუშავებელი ნედლეულის მრავალფეროვნება და პროცესების თავისებურება ქმნის განსაკუთრებულ ტექნოლოგიურ გარემოს, რომლის გათვალისწინებაც ერთ-ერთ აუცილებელ და ფრიად საპასუხისმგებლო პირობას წარმოადგენს სასურსათო მრეწველობაში მოწყობილობის კვანძების დასამზადებლად საკონსტრუქციო მასალების სწორად შერჩევის თვალსაზრისით.

## 10.2. პგების პროდუქტების ფეროლოგიური გარემო

სასურსათო წარმოების ტექნოლოგიური გარემო შედგენილობისა და თვისებების მიხედვით შეიძლება პირობითად ორგანულ და არაორგანულ გარემოდ დაიყოს. ორგანულ გარემოს მიეკუთვნება მცენარეული და ცხოველური წარმოშობის ორგანული ნახშირბადშემცველი ნაერთები, ხოლო არაორგანულს – ქიმიურად აქტიური არაორგანული მჟავების, ტუტების, მარილების და სხვათა წყალხსნარები.

ძლიერ კოროზიულად აქტიურ არეს პურის საცხობი წარმოების გარემო წარმოადგენს, რომელსაც ქმნის მარილწყალხსნარები, თხევადი საფუარი და ხერგილი, ჭვავის ცომი, ხორბლის ფქვილის ცომი და ზოგიერთი ნახევარფაბრიკატი.

პურის საცხობ წარმოებაში საფუარიანი ცომის და ნახევარფაბრიკატების დუღილის პროდუქტებს წარმოადგენს ეთილის სპირიტი, ნახშირორჟანგის აირი, სხვადასხვაორგანული, უმთავრესად რძემჟავა და ძმარმჟავები, ზოგიერთი ალდეჰიდი და რთული ეთერები. მჟავიანობა შეიძლება იცვლებოდეს ზღვრებში pH=6,0-4,2.

შაქრის წარმოებაში ჭარხლის გადასამუშავებელი განყოფილების გარემო, როგორც წესი, ნეიტრალური ან სუსტად მჟავეა (pH=6,0-7,0. ტემპერატურა 14-45°C). მათ მიეკუთვნება ტბორის და მდინარის წყალი, რომელიც შეიცავს შეტივტივებულ მყარ ნაწილაკებს (0,005-30 გ/ლ) და გახსნილ მარილებს; დიფუზური წვენი, რომელიც შეიცავს 15%-იან შაქრის და უშაქრო წყალხსნარებს. უშაქრო წყალხსნარებს მიეკუთვნება 5%-მდე აზოტოვანი და არააზოტოვანი ნაერთები.

შაქრის წარმოების წვენის გამწმენდი განყოფილების გარემო შედგენილობის მიხედვით უფრო მრავალფეროვანია და ხასიათდება გაზრდილი ტუტიანობით (pH=8,0-14,0. ტემპერატურა 65-96 °C). იგი შედგება კირის წვენის, დეფეკირებული და სატურირებუ-

ლი წვენებისაგან, რომლებიც სხვადასხვა რაოდენობით შეიცავს კალციუმის პიდრო-ქსიდს, კალციუმგარბონატს, სილიციუმის ოქსიდს და სხვა შეწონილ ნაწილაკებს, რომლებიც საკმაოდ მაღალი აბრაზიული თვისებებით ხასიათდება.

პროდუქტების განყოფილების გარემო სუსტად მუვეა ( $\text{pH}=8,0-9,0$ ). იგი შეიცავს შაქრის დიდ რაოდენობას (25-65 %). ეს გარემო პირობითად შეიძლება ორ ჯგუფად დაიყოს: უტფელად (კრისტალიზაციის პროდუქტები) და აფინაციურ მასებად, რომლებიც შეიცავს 40-70% შაქარს, ბადაგს და უშაქრო მინარევების დიდ რაოდენობას.

ღვინის წარმოების ტექნოლოგიური გარემო მეტად აგრესიულია ნახშირბადიანი ფოლადების მიმართ. ღვინის აგრესიულობა განისაზღვრება მასში შაქრის და სპირტის შემცველობით. აგრესიულობის ხარისხი მნიშვნელოვან ზღვრებში იცვლება ღვინის ხარისხზე დამოკიდებულებით. მაგალითად, მშრალი ღვინო არ შეიცავს შაქარს, ხოლო სპირტის რაოდენობა მხოლოდ 9-14 მოცულობით პროცენტს (მოც.%) შეადგენს. გამაგრებული ღვინო შეიცავს 8-10% შაქარს და 16-20 მოც.% სპირტს, ტკბილი (სადესერტო) ღვინო – 8-20% შაქარს და 13 მოც.%-ზე მეტ სპირტს, ხოლო ნახევრად-ტკბილი (სუფრის) ღვინო – 3-7% შაქარს და 7-12 მოც.% სპირტს. ეს განზოგადებული მონაცემებია, თუმცა ღვინის მწარმოებელმა ფირმამ შეიძლება საკუთარი ტექნოლოგიური პროცესებიდან გამომდინარე, ამ მონაცემებს გვერდი აუაროს. მაგალითად, წითელ ნახევრადტკბილ ცქრიალა ღვინოში „ბადაგონი“ შაქრის შემცველობა ~25%-ს შეადგენს, ალკოჰოლის რაოდენობა – 10-12,0%.

სპირტის წარმოების გარემო კოროზიულად აქტიურია, რადგან ის შეიძლება შეიცვდეს მშრალ ნივთიერებებს, დაუდუღებელ შაქარს, ორგანულ მუვებს, რთულ ეთერებს, რახის ზეთებს, ალდეჰიდებს და ა. შ. ასეთ გარემოს შეიძლება მივაკუთვნოთ მაჭარი (მარცვლის, ბადაგის, ლერწმის), სპირტ-რეკტიფიკატი, დაუმუშვებელი სპირტი, ბარდა (მარცვლის, ლერწმის, აცეტონბუთილის), აგრეთვე არაყი და სხვადასხვა ლიქიორი.

საკონდიტრო წარმოების გარემოს მიეკუთვნება შაქრის და კარამელის სიროფი ლიმონისა და რქემუვას დანამატებით, ბადაგი, ხილ-კენკროვანის ნახარში, სულფიტირებული პიურე და გულსართი, აგრეთვე საკვები ესენციებისა და საღებავების დიდი რაოდენობა, რომლებიც ხელს უწყობს მასალათა კოროზიას.

ზოგიერთი სასურსათო გარემო აბრაზიული ხასიათისაა. მაგალითად, კეტჩუპი, ტომატის პასტა, მაიონეზი, სხვადასხვა სოუსი. აბრაზიული თვისებებით ხასიათდება, აგრეთვე, ფხვიერი გარემოს უმრავლესობა.

ამგვარად, სასურსათო წარმოების სპეციფიკური პირობები, როგორიცაა კოროზიულად აქტიური არე, სარეცხი და სადეზინფექციო სინარები, გაზრდილი ტემპერატურა, მუშა არის დიდი სიჩქარით გამოდინება, წნევების მნიშვნელოვანი სხვაობა (ვარდნილი) – განსაკუთრებულ მოთხოვნებს უყვნებს მასალის სწორად შერჩევის საკითხს ტექნოლოგიური მოწყობილობის კონსტრუირებისას.

### 10.3. ტექნოლოგიური მოწყობილობის მუშაობის უნარიანობა და საიმულობრივობა

სასურსათო წარმოებაში ტექნოლოგიური მოწყობილობის საიმულობისადმი გაზრდილი მოთხოვნა იმით არის განპირობებული, რომ უმეტეს შემთხვევაში საჭარმო ციკლში რომელიმე კვანძის მტყუნება ტექნოლოგიური პროცესის დარღვევას და პროდუქტის კარგვას განაპირობებს.

როგორც წესი, თანამედროვე მოწყობილობის მორალური ვადა არ აღემატება 5 წელს, პროექტირების პროცესში კი ექსპლუატაციის ფიზიკურ ხანგრძლივობას 5-7 წელს ითვალისწინებენ.

მოწყობილობისა და მისი ცალკეული დეტალების მუშაობის უნარიანობის ძირითად კრიტერიუმებს მიეკუთვნება სიმტკიცე, სიხისტე, ცვეთამედეგობა, თბომედეგობა, მდგრადობა ცივტეხადობისადმი და ვიბრაციებისადმი, კოროზიამედეგობა.

ისეთი ტექნოლოგიური მოწყობილობის ელემენტებისათვის, რომლებიც უშუალო კონტაქტით სასურსათო არესთან ან სარეცხს საშუალებებთან, განსაკუთრებულ როლს სწორედ მასალის კოროზიული მედეგობა თამაშობს. მაგალითად, სასურსათო წარმოებაში სატრანსპორტო მოწყობილობა გამოიყენება როგორც ნედლეულისა და პროდუქციის ტრანსპორტირებისათვის ტექნოლოგიურ მოწყობილობებს შორის, ისე სხვადასხვა ტექნოლოგიური ოპერაციის შესასრულებლად. მაგალითად, ლენტური კონვეირი ძირითად დანიშნულებასთან ერთად გამოყენებას პოულობს ჩასატკეც მოწყობილობაში, დოზატორებში, ბლითის ფორმირების მანქანებში და კიდევ არაეთი დანიშნულებით. ასეთ შემთხვევებში ადგილი აქვს ნედლეულსა (ნახევარფაბრიკატსა) და სატრანსპორტო მოწყობილობის ელემენტებს შორის უშუალო კონტაქტს გარკვეული ძალის ზემოქმედების პირობებში.

კოროზიამედეგობა გულისხმობს მანქანებისა და აპარატების ელემენტების ზედაპირის უნარს წინააღმდეგობა გაუწიოს სასურსათო არის, პროდუქტების, სარეცხი და

სადეზინფექციო ხელისა და გამოყენების სითბოს, მუშა არის გამოდინების სიჩარის, წნევისა და სხვა ფაქტორების მნიშვნელოვანი ცვალებადობის გათვალისწინებით.

ცვეთა მეტად დამახასიათებელი სახეობაა მოწყობილობის მუშა ორგანოებისა და დეტალების ზედაპირის მწყობრიდან გამოსვლის თვალსაზრისით. ცვეთა არის დეტალის ზომების თანდათანობითი შეცვლის პროცესის შედეგი, რომელიც მიმდინარეობს ხახუნის პირობებში ზედაპირული ძალების ზემოქმედებით და დაკავშირებულია მასის კარგვასთან. ცვეთის სხვადასხვა სახეს უმეტესწილად ტექნოლოგიური მოწყობილობის მუშა ორგანოების მოხახუნები ზედაპირები განიცდის: ცენტრიდანული ტუმბოს, ხეპარატორის და ცენტრიფუგის ტორსული მაჭიდროვებელი რგოლები; სრიალის საკისრები; ტუმბოს ყვინთა (პლუნჯერი); მაჭიდროებელი სამაჯური (მანუეტი); ცილინდრ-დოზატორის მასრა; საჭრელი მანქანის და ხორცსაკეპის ბზრიალა და მჭრელი დანები და ა.შ.

თბომედეგობა და ცივტეხადობისადმი მდგრადობა გულისხმობს მასალის უნარს შეინარჩუნოს მუშა პარამეტრები გაზრდილ და დაბალ ტემპერატურებზე, აგრეთვე ტემპერატურის ციკლური ცვალებადობისას.

როგორც წესი, მოწყობილობისა და აპარატურის კვანძების საექსპლუატაციო მახასიათებლების უზრუნველსაყოფად აუცილებელ პირობას საკონსტრუქციო მასალისა და მისი შემდგომი დამუშავების მეთოდის სწორად შერჩევა წარმოადგენს.

#### **10.4. სასურსათო წარმოებაში გამოყენებული მასალებისადმი წაყვებული მიზითადი მოთხოვნები**

სასურსათო წარმოების ტექნოლოგია არსებითად განსხვავდება სხვა ქიმიურ-ტექნოლოგიური პროცესებისგან. მრეწველობის არც ერთი სხვა სფერო წარმოების პროცესს ისეთ მაღალ და მკაცრ მოთხოვნებს არ უყენებს, როგორც სასურსათო მრეწველობა. კვების პროდუქტების წარმოების ყველა საფეხურისათვის, დაწყებული ნედლეულის მიღებისა და დამუშავებიდან მზა პროდუქციის ტრანსპორტირებისა და მაღაზიის თაროებზე დასაწყობებამდე, შემუშავებულია ნორმატიული აქტები და დირექტივები, რომლის შესრულებაც აუცილებელ პირობას წარმოადგენს.

სურსათის წარმოების ტექნოლოგიური პროცესების უმთავრესი თავისებურებაა სანიტარულ-ჰიგიენური მოთხოვნების მკაცრად დაცვა, რაც პოტენციური მომხმარებლის ჯანმრთელობასთან არის დაკავშირებული.

სასურსათო წარმოების ისეთი სპეციფიკური პირობები, როგორიცაა კოროზიულად აქტიური გარემო, სარეცხი და სადეზინფექციო ხსნარების რეგულარული გამოყენება, გაზრდილი ტემპერატურა და წნევის არსებითი ვარდნილი, იმ განსაკუთრებულ მოთხოვნებს განსაზღვრავს, რაც ტექნოლოგიური მოწყობილობის კონსტრუქციებში გამოყენებული მასალების შერჩევასთან არის დაკავშირებული.

სასურსათო წარმოების მოწყობილობა, მათი გამოყენების სფეროს სპეციფიკიდან გამომდინარე, მთელ რიგ ტექნოლოგიურ მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს. კერძოდ, იგი უნდა ხასიათდებოდეს მდგრადობით ქიმიური, ფიზიკური და ტემპერატურული ზემოქმედების მიმართ, ამიტომ მოწყობილობისა და მისი ცალკეული კვანძების დასამზადებლად გამოყენებული უნდა იყოს კვების მრეწველობისათვის ნებადართული საკონსტრუქციო მასალები.

სურსათის წარმოების ინდუსტრიის მოწყობილობის კომპონენტების მიმართ წაყენებული მოთხოვნები დაკავშირებულია ისეთ ფაქტორებთან, როგორიცაა წარმოების პიგიენა და მომხმარებელთა უსაფრთხოება, ბაქტერიების აქტიურობის არიდება და ხშირი პროფილაქტიკური სამუშაოები. კვების მრეწველობის მანქანების დეტალები და კომპონენტები შემდეგ პირობებს უნდა აკმაყოფილებდეს:

- შიგა ზედაპირები უნდა იყოს გლუვი, ფორების გარეშე და პოლირებული;
- არ უნდა შეიცავდეს მავნე ნივთიერებებს, რომლებმაც შეიძლება პროდუქტი შეაღწიოს;
- არ უნდა წარმოადგენდეს პათოგენური მიკროორგანიზმების საკვებ წყაროს;
- არ გააუარესოს მზა საკვები პროდუქტების ორგანოლეპტური (გემო, სუნი, ფერი და სხვა) თვისებები;
- უზრუნველყოს პროდუქტების ბიოლოგიური ღირებულებების შენარჩუნება;
- ადვილად ექვემდებარებოდეს გეგმიურ რეცხვას, წმენდას და დეზინფექციას;
- არ შევიდეს რეაქციაში სხვადასხა სახის ტუტესთან და მუავასთან.

ნედლეულის, საკვები პროდუქტებისა და სასურსათო მოწყობილობის დასამზადებლად განკუთვნილი საკონსტრუქციო მასალის ურთიერთქმედების თვალსაზრისით, სამი არსებითი ფაქტორია გასათვალისწინებელი:

1. საკონსტრუქციო მასალის ნეიტრალობა დასამუშავებელ კვების პროდუქტებთან (გამორიცხული უნდა იყოს საკონსტრუქციო მასალის ზემოქმედება კვების პროდუქტებზე);

2. საკვები პროდუქტის ნეიტრალობა საკონსტრუქციო მასალის მიმართ;
3. საკონსტრუქციო მასალის მუშაობისუნარიანობა (ტექნოლოგიური პროცესების შესრულების უზრუნველყოფა).

მასალები, რომლებიც სასურსათო მრეწველობის ტექნოლოგიურ მოწყობილობაში გამოიყენება, პირობითად შეიძლება ოთხ ძირითად ჯგუფად დაიყოს:

- საკონსტრუქციო მასალები მოწყობილობის ისეთი დეტალების დასამზადებლად, რომლებსაც არა აქვს უშუალო კონტაქტი საკვებ ნედლეულთან ან პროდუქტებთან;
- საკონსტრუქციო მასალა მოწყობილობის ისეთი დეტალებისათვის, რომლებიც უშუალო კონტაქტშია გადასამუშავებელ ნედლეულთან ან კვების პროდუქტებთან;
- გარე დამცავი დანაფარები ისეთ დეტალებზე, რომლებიც კონტაქტშია ნედლეულთან, კვების პროდუქტებთან, სარეცხ და სადეზინფექციო საშუალებებთან;
- შესაფუთი მასალები მოხმარების ან ტრანსპორტირებისათვის.

მასალა, რომლისგანაც ნებისმიერი სასურსათო მოწყობილობა მზადდება, უვნებელი უნდა იყოს მზა პროდუქციისა და მოხმარებლის ჯანმრთელობისათვის, შეესაბამებოდეს წარმოების ჰიგიენის მოთხოვნებს და დაშვებული იყოს კვების მრეწველობის საწარმოებში გამოყენებისათვის.

ანსევაუებენ მასალების ფიზიკურ, ქიმიურ, ტექნოლოგიურ, მექანიკურ, ტრიბოლოგიურ და სანიტარულ-ჰიგიენურ მოთხოვნებს. სასურსათო მანქანათმშენებლობაში განსაკუთრებულ და გარკვეულ წილად სპეციფიკურ როლს ქიმიური და სანიტარულ-ჰიგიენური მოთხოვნები თამაშობს.

ნებისმიერ კონსტრუქციაში მასალების გამოყენების უმთავრესი პირობაა სამუშაო გარემოსთან მათი შეთავსებადობა. სასურსათო წარმოების ტექნოლოგიური პროცესები მიმდინარეობს მაღალ და დაბალ ტემპერატურებზე, მაღალი წნევის პირობებში და ვაკუუმში, მუშა არის ნაკადის გამოდინების დიდი სიჩქარით და სასურსათო გარემოს მშვიდ მდგომარეობაში ხანგრძლივი დაყოვნების პირობებში, pH გარემოს ფართო დიაპაზონში ცვლილებისა და კიდევ სხვა ჯერ კიდევ გაუთვალისწინებელი ფაქტორების თანაარსებობისას, რაც სასურსათო გარემოს აგრესიულობას განაპირობებს.

მრავალი სასურსათო გარემო ელექტროლიტს წარმოადგენს, ამიტომ კოროზია მათში ელექტროლიტურ ხასიათს ატარებს. ელექტროლიტის ქიმიური ბუნება განპირობებულია გარემოს შედგენილობაში მუშაობისა და მინერალური ნივთიერებების არსებობით. სწორედ მათი რაოდენობა და დისოციაციის ხარისხი განსაზღვრავს ძირითა-

დად სასურსათო გარემოს აგრესიულობას. ტექნოლოგიური პროცესის სხვადასხვა ეტაპზე სასურსათო გარემოს ქიმიური თვისებები იცვლება, რის შედეგადაც მათი კოროზიული ზემოქმედება მოწყობილობა-დანადგარების ზედაპირზე მცირდება ან იზრდება.

სასურსათო წარმოების აპარატები ექვემდებარება აგრესიული სარეცხი და სადგზინფექციო სინარების (1-2%-იანი კაუსტიკური სოდის, 5-10%-ინი კალცინირებული სოდის, 2%-იანი გოგირდმჟავას, 2%-იანი მარილმჟავას, 3%-იანი აზოტმჟავას, 0,2-0,5%-იანი კალიუმის პერმანგანატის და სხვა საშუალებების) პერიოდულ ზემოქმედებას. ტექნოლოგიურ მოწყობილობაზე ყველაზე აგრესიულად მჟავა დეზინფექტორები მოქმედებს. სადეზინფექციო სინარების შემკრების და მიღგაყვანილობის დამზადება უჯანგავი ფოლადისაგან ყოველთვის ვერ უზრუნველყოფს კონსტრუქციის კორიზიული მედეგობის ამაღლებას.

სასურსათო წარმოებაში ქიმიურ კოროზიას დამხმარე საამქროების მხოლოდ ზოგიერთი (სამაცივრე-კომპრესორული, ნახშირორჟანგის, საქვაბის) აპარატი და კომუნიკაცია განიცდის. ტექნოლოგიური საამქროების მოწყობილობა კი ძირითადად ელექტროქიმიურ კოროზიას ექვემდებარება. გარემოს აგრესიულობაზე და ელექტროქიმიური პროცესების მიმდინარეობაზე დამოკიდებულებით ელექტროქიმიური კოროზიის შემდგენ სახეებია გავრცელებული:

- ატმოსფერული (მოწყობილობასა და ლითონკონსტრუქციებზე ნაგებობის გარეთ ჰაერის სამრეწველო აირით დაბინძურების შემთხვევაში);
- ნიადაგისა (მიწისქვეშა გაზგაყვანილობის, წყალგაყვანილობის, საკანალიზაციო ქსელის, თბერი ტრასის, ლითონკონსტრუქციის მიწისქვეშა ნაგებობების დაშლა);
- ელექტრული (ლითონზე მოხეტიალე დენის გავლენა);
- მჟავური (აზოტმჟავას, გოგირდმჟავას და მარილმჟავას წყალსნარები დეზინფექციის პროცესში, რძემჟავას ზემოქმედება ხერგილის შემჟავების შემთხვევაში და ა.შ.);
- მარილოვანი (მარილსნარის ტუმბოების, მიღგაყვანილობის, გაცივების ბატარეის, საორთქლებლის, ნატრიუმ-კათორნის დანადგარის და ა.შ. დაშლა);
- ტუტიანი (ტუტიანი სარეცხი და სადეზინფექციო სინარები). იგი განსაკუთრებით ძლიერ შლის სარეცხი მანქანების და სამსემელო სამქროების სავენტილაციო სისტემის აირგამყვან ლითონკონსტრუქციებს;
- კონტაქტური (ორი სხვადასხვაგვარი ლითონის კონტაქტის შემთხვევაში, რომლებსაც განსხვავებული ელექტროქიმიური პოტენციალი გააჩნია);

• ბიოლოგიური (გრუნტში განთავსებული პროდუქტის მიმწოდებელი არხების, აპარატურის, ლითონის და რკინაბეტონის კონსტრუქციების დაშლა).

ქიმიური კოროზია ვითარდება სასურსათო არის ორგანული მჟავების ზემოქმედებით ცემენტის ქვისა და რკინა-ბეტონის შემადგენელ ნაწილაკებთან.

ბიოლოგიური კოროზია წარმოადგენს მიკროორგანიზმების სასიცოცხლო ქმედების შედეგს სამშენებლო კონსტრუქციების ზედაპირზე, რომელიც სასურსათო არით არის დასველებული.

ფიზიკურ-ქიმიური კოროზია იწვევს სამშენებლო კონსტრუქციების დაშლას, მაგალითად, გარემოსთან თბომიმოცვლის პირობებში, აგრეთვე თხევადი სასურსათო პროდუქტების ზემოქმედებით გაყინვის შედეგად.

ტექნოლოგიური და სასურსათო არის უშუალო კონტაქტი, ხანგრძლივი და უწყვეტი მუშაობა, ზოგიერთი სასურსათო პროდუქტის აბრაზიული ზემოქმედება, გარემოს, სარეცხი და სადეზინფექციო ხსნარების აგრესიული გავლენა განაპირობებს სწორედ სასურსათო მრეწველობაში საკონსტრუქციო მასალების დანიშნულების, შერჩევისა და შემდგომი დამუშავების აუცილებელ და განსაკუთრებულ პირობებს.

## 10.5. ლითონური საპონეტრაზმიო მასალები

სასურსათო მრეწველობის მოწყობილობაში საკონსტრუქციო მასალების გამოყენების აუცილებელ პირობას სანიტარულ-ჰიგიენური და ტოქსიკოლოგიური კონტროლის გავლა წარმოადგენს. არახელსაყრელ პირობებში ზოგიერთმა, მაგალითად, პოლიმერულმა მასალამ ან მის შემადგენლობაში შემავალმა მონომერებმა, დაბალმოლეკულურმა ნაერთებმა და სხვადასხვა შემადგენელმა ნაწილებმა შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს საკვები პროდუქტების ხარისხზე და, აქედან გამომდინარე, ადამიანის ჯანმრთელობაზე. ჯანმრთელობაზე არასასურველი გავლენა შეიძლება გამოიხატოს როგორც მწვავე მოწამლვით, რომელიც რამდენიმე საათში ან დღეში გამოვლინდება, არამედ ქრონიკული მოწამლვითაც, რომელიც თვეების განმავლობაში მედავნდება.

ჰიგიენური და ტოქსიკოლოგიური შეფასების თვალსაზრისით მასალები შეიძლება შემდეგ ჯგუფებად დაიყოს:

1. სახელმწიფო სანიტარული ზედამხედველობის ორგანოს მიერ დაშვებული საკვებ პროდუქტებთან კონტაქტირებისათვის;
2. კონტაქტირებისათვის დაშვებული გარკვეულ სასურსათო პროდუქტებთან;

3. სასურსათო პროდუქტებთან კონტაქტირებისათვის დაშვებული მხოლოდ განსაკუთრებულ პირობებში;
4. სასურსათო წარმოებაში გამოყენებისათვის დაუშვებელი ტოქსიკურობის ან სასურსათო პროდუქტებთან მისი შეხების შემთხვევაში შედგენილობის ცვლილების გამო;
5. სასურსათო წარმოებაში გამოყენებისათვის დაუშვებელი, თუ არ არის შესწავლილი მისი პიგიენური და ტოქსიკოლოგიური თვისებები ან იმყოფება კვლევის სტადიაში.

**კოროზიამედული ფოლადები.** სასურსათო მანქანებისა და აპარატურის დასამზადებლად ყველაზე გავრცელებულ მასალას ლეგირებული კოროზიამედები, პ.წ. უჟანგავი ფოლადები წარმოადგენს. დღეისათვის შექმნილია „უჟანგავი ფოლადის მარკების მრავალსახეობა, რომლებიც რეკომენდებულია, როგორც საკონსტრუქციო მასალები სასურსათო მრეწველობის მოწყობილობის დასამზადებლად. კონკრეტული მარკის შერჩევა დამოკიდებულია ლითონთან კონტაქტში მყოფი დასამუშავებელი მასალის ან ქიმიური გარემოს კოროზიულ თვისებებზე.

მასალათა ჯგუფი, რომელიც გაერთიანებულია ტერმინში „უჟანგავი ფოლადები“, ზუსტად არ არის განსაზღვრული, თუმცა მიღებულია, რომ მასში ისეთი შენაღნობებია გაერთიანებული, რომელთა ძირითად კომპონენტებს რკინა და არანაკლებ 12% ქრომი წარმოადგენს. უჟანგავი ფოლადები გამოირჩევა მაღალი სიმტკიცით, მდგრადობით ელექტროქიმიური, ქიმიური (ატმოსფერული, ნიადაგის, ტუტების, მუვების, მარილების), კრისტალთშორისი და სხვა სახის კოროზიის მიმართ. ქრომის შემცველობის გაზრდა ამაღლებს ლითონის კოროზიულ მედეგობას.

ფოლადში კოროზიული მედეგობა ისეთი ელემენტების დამატებით მიიღწევა, რომლებიც მის ზედაპირთან მტკიცედ დაკავშირებულ, მკვრივ დამცავ შრეს წარმოქმნის და გამორიცხავს საექსპლუატაციო გარემოს უშუალო კონტაქტს ფუძელითონთან. უჟანგავ ფოლადში ასეთი დამცავი შრე მდგრადობას ინარჩუნებს მექანიკური ან ქიმიური დაზიანების შემდეგაც, რადგან მეტად სწრაფად ხდება მისი პირვანდელი სახის აღდგენა. აქედან გამომდინარე, ლითონის ანტიკოროზიულობის ხარისხი პრაქტიკულად უცვლელად არის შენარჩუნებული ექსპლუატაციის მთელი პერიოის განმავლობაში.

ქრომიან ფოლადებში ნიკელის, ტიტანისა და ნიობიუმის დამატება განაპირობებს

კრისტალთშორისი კოროზიისადმი ლითონის მიღრეკილების აცილებას, სილიციუმის დამატებით კი იზრდება ფოლადის მხერვალმტკიცობა.

სასურსათო წარმოებაში ისეთი დეტალების დასამზადებლად, რომლებიც თერმულ დამუშავებას არ განიცდის, სასურველია ნახშირბადმცირე ( $C<0,06\%$ ) უჟანგავი ფოლადის გამოყენება, რომელიც არ ხასიათდება ინტერკრისტალური კოროზიისადმი მიღრეკილებით.

მიკროსტრუქტურის მიხედვით სასურსათო უჟანგავი ფოლადები სამ ძირითად კატეგორიად იყოფა: აუსტენიტური, ფერიტული და მარტენსიტული.

**აუსტენიტური** ფოლადები არამაგნიტურ შენადნობებს მიეკუთვნება. ქრომთან ერთად იგი შეიცავს ნიკელს, რომელიც ზრდის წინააღმდეგობას კოროზიისადმი. ამ ჯგუფს მიეკუთვნება უჟანგავი მხერვალმტკიცე ფოლადები ნიკელის (10-20%) და ქრომის (17-25%) გაზრდილი შემცველობით. ფოლადები ხასიათდება უკეთესი წინააღმდეგობით ჟანგვისადმი მაღალ ტემპერატურაზე. აუსტენიტური სტრუქტურის ძირითად დირსებას წარმოადგენს აგრეთვე მაღალი მექანიკური თვისებების კომპლექსი. დღეისათვის იგი ყველაზე ფართოდ გამოყენებული უჟანგავი ფოლადების რიცხვს მიეკუთვნება.

**ფერიტული** ფოლადები ხასიათდება მაგნიტური თვისებებით, შეიცავს ქრომის შედარებით მცირე რაოდენობას (13-17%Cr, 0,08%C). ფერიტული კლასის ფოლადების კოროზიამედეგობა აღემატება მარტენსიტული ფოლადების კოროზიამედეგობას. ამასთან გასათვალისწინებელია, რომ ფერიტული სტრუქტურა რამდენადმე ამცირებს ფოლადის მექანიკურ თვისებებს და დამუშავების შესაძლებლობებს.

**მარტენსიტული** ფოლადები ასევე ხასიათდება მაგნიტური თვისებებით. იგი შეიცავს 13% ქრომს და 0,12% ნახშირბადს. განმტკიცების უფექტი წრთობითა და მოშვებით მიიღწევა. მაღალი სისალის გამო მარტენსიტული ფოლადებისგან უპირატესად მჭრელ იარაღებს ამზადებენ, როგორიცაა, მაგალითად, სამაგიდო ხელსაწყოები. ფოლადები, რომლებიც ნახშირბადს უფრო მეტი რაოდენობით შეიცავს, ძირითადად მჭრელი პირების დასამზადებლად გამოიყენება.

სასურსათო უჟანგავი ფოლადებიდან აუსტენიტური და ფერიტული კლასის ფოლადების გამოყენების დონე 95%-ს შეადგენს.

უჟანგავი ფოლადების უპირატესობა სხვა საკონსტრუქციო ფოლადებთან შედარებით შემდეგია:

**ტექნოლოგიურობა** – ფოლადები ხასიათდება მეტად მაღალი პლასტიკურობით,

ამიტომ მათ ფართოდ იყენებენ ნაკეთობის დასამზადებლად ღრმა გამოჭიმვის მეთოდით (სამზარეულოს ჭურჭელი, სხვადასხვა დანიშნულების მოცულობითი ნაკეთობა). უარყოფითი მხარეა ზოგიერთი ფოლადის მიღრეკილება ინტერკრისტალური კოროზისადმი, რომელსაც იგი იძენს ნელი სიჩქარით გაცივების პირობებში ან  $500-850^{\circ}\text{C}$  ტემპერატურულ ინტერვალში გახურებისას და შედუდების შემდეგ. ლითონის დამუშავების თანამედროვე მეთოდები უჟანგავი ფოლადების ჭრის, შედუდების, ფორმის შეცვლის ისეთივე შესაძლებლობებს იძლევა, როგორიც ტრადიციული ფოლადებისა და სხვა მასალების დამუშავებისათვის არის მიღებული.

**წინააღმდეგობა კოროზისადმი** – არსებობს უჟანგავი ფოლადების ისეთი სახეები, რომლებიც კოროზისადმი წინააღმდეგობას ამჟღავნებს არა მარტო ნორმალურ ატმოსფერულ პრობებში და წყლის გარემოში, არამედ მრავალ მჟავაში, ტუტეში და ზოგიერთ ქლორის წყალსსნარებში, რასაც არაერთი საწარმოო პირობები მოითხოვს.

**სიმტკიცე** – უჟანგავი ფოლადების მექანიკური თვისებები ნაკეთობის სისქისა და წონის შემცირების შესაძლებლობას იძლევა სიმტკიცის მახასიათებლების იგივე დონის შენარჩუნებით. ამასთან, აუსტენიტური კლასის ფოლადები მაღალ ტემპერატურაზე არ კარგავს სიმტკიცეს საერთო დანიშნულების საკონსტრუქციო ფოლადებთან შედარებით. ამიტომ, მიუხედავად უჟანგავი ფოლადების მაღალი ღირებულებისა, ამ უპირატესობების გათვალისწინებით შესაძლებელია მნიშვნელოვანი ეკონომია გაკეთდეს ტრადიციული მასალების გამოყენებასთან შედარებით.

**ჰიგიენა** – უჟანგავი ფოლადების ზედაპირი ყველაზე ჰიგიენურად არის აღიარებული სასურსათო პროდუქტების მიღებისა და წარმოებისათვის. მათი ზედაპირის უნიკალურობა იმაში მდგომარეობს, რომ იგი უფოროა, პზარების გარეშე, რაც გამორიცხავს ლითონში ჭუჭყისა და ბაქტერიების შეღწევას. ეს თვისება სხვა მასალებთან შედარებით უჟანგავ ფოლადებს მნიშვნელოვან უპირატესობას ანიჭებს მკაცრი ჰიგიენური მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად საავადმყოფოებში, საზოგადოებრივი კვების ობიექტებში, საქონლის სასაკლაოზე, აგრომრეწველობის კომპლექსის გადასამუშავებელ წარმოებაში საკვები მოწყობილობის დასამზადებლად.

**ესთეტიკური შეხედულება** – იგი დამოკიდებულია ზედაპირის მდგომარეობაზე. ნათელი და მომსახურებისათვის ადვილი ზედაპირი უზრუნველყოფს უჟანგავი ფოლადისგან დამზადებული ნაკეთობის მიმზიდველ, თანამედროვე გარეგნულ იერსახეს. ამჟამად სამზარეულოს ჭურჭლის დასამზადებლად გამოიყენება უჟანგავი ფოლადი

სარკისებური ზედაპირით, რომელიც ელექტროპოლირების სხვადასხვა ხერხით მიიღვა. ამასთან, დამუშავებას ექვემდებარება როგორც მზა ნაკეთობა, ისე ფურცლები, რომლებზეც ზედაპირის ხარისხის შესანარჩუნებლად მასზე პოლიეთილენის ფირს აკრავენ. კარგად შეიძლება უჟანგავი ფოლადის კომბინირება მინასთან, ქასთან, ხესთან.

შედგენილობისა (მარკების) და, აქედან გამომდინარე, თვისებების მრავალფეროვნების წყალობით, უჟანგავი ფოლადი სრულად აკმაყოფილებს მრეწველობის მიერ წაყენებული ფართო დიაპაზონის მქონე ყველა მოთხოვნას.

10.1 ცხრილში წარმოდგენილია მსოფლიო ბაზრის მოთხოვნის შესაბამისი სასურსათო უჟანგავი ფოლადების ანალოგები, ხოლო ცხრილში 10.2 – ძირითადი მწარმოებელი ქვეყნების შესაბამისი სტანდარტები.

მიუხედავად იმისა, რომ უჟანგავ ფოლადად ტრადიციულად მიჩნეულია ფოლადი ქრომის 12%-ზე მეტი შემცველობით, აქტიური სამუშაოები მიმდინარეობს უჟანგავი მასალების მისაღებად ქრომის დაბალი (5%-მდე) შემცველობით, რომელშიც შენარჩუნებული იქნება კოროზიამუდებობა 15-17% ქრომის შემცველი ფოლადების დონეზე. ეს მეტად აქტიულური საკითხია, რადგან უჟანგავი ფოლადის კონსტრუქციების ნგრევის ძირითად მიზეზს ხშირად ელექტროქიმიური კოროზია წარმოადგენს, რაც განაირობებულია შენადული ნაკერის ზონებისა და ძირითადი ლითონის არაერთგაროვნებით. თუ უჟანგავი ფოლადისგან დამზადებული კონსტრუქცია ხანგრძლივი დროის განმავლობაში განიცდის ექსპლუატაციას მაღალ ტემპერატურაზე, გათვალისწინებული უნდა იყოს ტემპერატურულ-დროითი ფაქტორი, რამაც შეიძლება ნეგატიური გავლენა მოახდინოს სიმტკიცის მახასიათებლებზე. მაგალითად, AISI 300 სერიის ნიკელის შემცველი უჟანგავი ფოლადი (იხ. ცხრ. 10.1) AISI 321 მარკის ფოლადის გამოკლებით, 450-750°C დიაპაზონში მხოლოდ რამდენიმე საათით ექსპლუატაციის შემდეგ შეიძლება მეტად საშიში, კრისტალთშორისი კოროზიული ნგრევა განვითარდეს. AISI 400 სერიის ქრომიანი ფერიტული ფოლადი კი არ განიცდის კოროზიას 1000°C-მდე გახურების შემთხვევაშიც კი. გარდა ამისა, ქრომიანი ფერიტული ფოლადებისგან დამზადებული ელემენტები, რომლებიც შედარებით დაბალი კუთრი თბოშემცველობით ხასიათდება, უფრო სწრაფად ხურდება მცირე ენერგოდანახარჯებით. ეს შესაძლებლობას იძლევა ავიცილოთ ინერციული გადახურება, რაც მეტად აქტიულურია ფართო რიგის საკვები პროდუქტების წარმოებაში. ამ სერიის ფოლადები უძლებს მაღალ პიკურ ტემპერატურულ დატვირთვებს (950°C-მდე) და შეიძლება მათი უწყვეტი ექსპლუატაცია როგორც მინიმუმ, 700°C-მდე.

## ცხრილი 10.1.

**სასურსათო უსანგავი ფოლადების ძირითადი მახასიათებლები**

AISI	ფოლადის მარკა	კლასი*	თვისებები	გამოყენების სფერო
304	08X18H10	δ	ადგილად დუღდება; მდგრადია კრისტალთშორისი კოროზის მიმართ; მაღალი სიმტკიცე დაბალ ტემპერატურაზე; ექვემდებარება ელექტროპოლირებას	კვების, ქიმიური, ტექსტილის, ნავთობის, ქაღალდის და ფარმაცევტული წარმოების დანადგარები.
316	03X17H14M2	δ	ტექნიკური თვისებები მაღალ ტემპერატურაზე გაცილებით უკეთესია ანალოგიურ ფოლადებთან შედარებით, რომლებიც არ შეიცავს მოლობდენს.	ქიმიური მოწყობილობა; იარადები; საკვების გადასამუშავებელი მოწყობილობა; მოცულობა ნამუშავარი ზეთისათვის.
321	12X18H10T	δ	მდგრადია კოროზის მიმართ; შენადუღი და 400-800°C-ზე მომუშავე კონსტრუქციები.	ქიმიური და ნავთობგადასამუშავებელი მრეწველობის მოწყობილობა.
409	08X13	ვ	ზოგადი მოხმარების დეტალები, რომლებიც შეიძლება ადაპტირებული იყოს ექსპლუატაციის სხვადასხვა პირობებთან.	საყოფაცხოვრებო ნაკეთობა (სამაგიდო ხელსაწყოები, სამზარეულოს ჭურჭელი).
410	12X13	გ	მაღალი დარტყმითი სიბლანტე; კარგი კოროზიამედეგობა და მხურვალმტკიცობა.	ნაკეთობა, რომელიც მუშაობს მცირედ აგრეციულ გარემოში; ღვინისა და სპირტის წარმოების, კვების სფეროს ნარჩენი პროდუქტების გადამუშავების მოწყობილობა.
420	20X13-40X13	გ	მაღალი ცვეთამედეგობა; მაღალი ტემპერატურისა და კოროზისადმი მდგრადობა.	სასურსათო მრეწველობის სფერო (რეცხვა; ნედლეულის პიგინური რეცხვა; პროდუქტის დახარისხება; თბური დამუშავება.)
430	08X17	ვ	მაღალი მექანიკური მახასიათებლები, თბოგამტარობა, დეფორმაციის უნარი, კოროზიამედეგობა გოგირდის შემცველ გარემოში.	თბომიმოცვლის სისტემები; საყოფაცხოვრებო ნაკეთობა საჯვები პროდუქტებისათვის, რომლის მომზადების პროცესში აუცილებელია გადახურების აცილება.
439	08X17T	ვ	მასალა სხვადასხვა ექსპლუატაციის პირობებში მასიური გამოყენებისათვის	მაცივარი, სარეცხი მანქანა, ნიჟარა და სხვა

\* ა—აუსტენიტური; ვ—ვერიტული; გ—მარტენიტული

## ცხრილი 10.2.

სასურსათო უქანგავი ფოლადის მწარმოებელი ზოგიერთი ქვეყნის სტანდარტი

AISI (აშშ)	GOST (დსტ)	EN (ევროპა)	JIS (იაპონია)	DIN (გერმანია)
304	08X18H10	1.4301	SUS 304	X5CrNi18-10
304L	03X18H11	1.4306	SUS 304L	X2CrNi19-11
316	08X17H13M2	1.4401	SUS 316	X5CrNiMo17-12-2
316L	03X17H14M2	1.4404	SUS 316L	X2CrNiMo17-12-2
316Ti	10X17H13M2T	1.4517	SUS 316 Ti	X6CrNiMoTi17-12-2
321	08X18H10T	1.4541	SUS 321	X6CrNiTi18-10
410	12X13	1.4006	SUS 410	X12CrN13
430	12X17	1.4016	SUS 430	X6Cr17
439	08X17T	1.4510	SUS 430 LX	X3CrTi17

### 10.6. უქანგავი ფოლადები სასურსათო და ბაზარული მრეწველობაში

დღეისათვის უქანგავი ფოლადი მინასთან და პლასტმასის ზოგიერთ სახეობასთან ერთად პრაქტიკულად ერთადერთ მასალას წარმოადგენს სასურსათო პროდუქტების საწარმოო მოწყობილობის, შენახვისა და ტრანსპორტირებისათვის საჭირო ნაკეთობების დასამზადებლად. ეს დაკავშირებულია მაღალ ჰიგიენურ, ესთეტიკურ და ტოქსიკოლოგიურ მოთხოვნებთან.

ჩვეულებრივ, სასურსათო მრეწველობის მოწყობილობის დასამზადებლად გამოიყენება AISI 304 და AISI 316 მარკის უქანგავი ფოლადები, თუმცა გასათვალისწინებელია, რომ AISI 304, 316 და 430 მარკის ფოლადები არ შეიცავს მასტაბილიზებელ ელემენტს, ტიტანს, რაც ამცირებს მათ კოროზიულ მედეგობას და ფოლადს ხდის მგრძნობიარედ მექანიკური, თერმული და ქიმიური ზემოქმედების მიმართ. მათი გამოყენება ექსპლუატაციის დროს შესაძლებელია საკვებ პროდუქტებთან მცირე ხნით კონტაქტის პირობებში.

მეტად იშვიათ შემთხვევაშია მოთხოვნა უხვადლეგირებული მარკის ფოლადებზე. უმთავრეს ფაქტორს წარმოადგენს ლითონის საუკეთესო და გლუვი (ფორების, უსწორმასწორობის და ნაკარგების გარეშე) ზედაპირი, მაგრამ ზოგიერთ შემთხვევაში აუცი-

ლებელია ელექტროლიტური პოლირებაც. ზედაპირის სიმქისე (ხორკლიანობა) არ უნდა აღემატებოდეს 0,6 მკმ-ს.

მაღალხარისხოვანი ჭურჭლის სარეცხი და ხორცის საკეპი მანქანების შიგა ზედაპირები ასევე უჟანგავი ფოლადისგან მზადდება. სასურსათო მეურნეობაში მოწყობილობის გასარეცხად ხშირად იყენებენ სულფანილმჟავას ან კაუსტიკური სოდის ცხელ ხსნარებს. ასეთ პირობებში მუშაობისათვის უკეთესია შეირჩეს აგრესიული არის მიმართ უფრო მდგრადი უჟანგავი ფოლადი AISI 316.

უჟანგავი ფოლადი – ეს არის მასალა, რომელიც დაკავშირებულია სიცოცხლის მაღალი დონის ცნებასთან. მისი გამოყენების მოცულობა საოჯახო აქსესუარების წარმოებაში განუხრელად იზრდება.

ქრომიანი უჟანგავი ფოლადები ხასიათდება მაღალი კოროზიამედეგობით მრავალი საკეპი პროდუქტის გარემოში. ამიტომ მათი ექსპლუატაცია დასაშვებია კვების პროდუქტების წარმოების სხვადასხვა ეტაპზე გამოყენებული ტექნოლოგიური მოწყობილობისა და კვანძების დასამზადებლად (რეცხვა ან ნედლეულის პიგიენური დამუშავება, დაფასოება და შეფუთვა, ტრანსპორტირება და ა.შ). AISI-400 ფოლადის ანალოგები მდგრადია მდუღარე სასმელ წყალში, გადახურებულ წყლის ორთქლში, მდუღარე მცენარეულ და ცხოველურ ცხიმში, ხორცპროდუქტებში, ღვინოში, ეთილის სპირტში, ლუდში, ლუდის ბადაგში და ა.შ.

უნიკელო უჟანგავი ფოლადის გამოყენება კვების და პროდუქტების გადასამუშავებელ მრეწველობაში რეგლამენტირებულია მრავალი სტანდარტით და ნორმატიული დოკუმენტაციით. სტანდარტი „ჭურჭლი კოროზიამედეგი ფოლადებისაგან“ მიუთითებს, რომ ჭურჭლის კორპუსისა და სახურავის დასამზადებლად გამოყენებული უნდა იყოს ფოლადი 08X13, 12X13, 15X25T, 12X17.

უჟანგავი ფოლადების ჩამონათვალში სარეცხი მოწყობილობის დასამზადებლად რეკომენდებულია ფოლადები 08X18T, სამზარეულოს სამაგიდო აქსესუარებისათვის – ფოლადები 30X13, სამზარეულოს დანების დასამზადებლად – 40X13. ზოგიერთი ფოლადი ფოლადი წარმატებით გამოიყენება აუსტენიტური 12X18H10T ქრომიანი ფოლადის შემცვლელად კვების მრეწველობის მოწყობილობისა და სამზარეულოს ჭურჭლის დასამზადებლად. გარდა ამისა, აღნიშნული მარკის ფოლადებზე არსებობს სანიტარულ-ეპიდომოლოგიური დასკვნები საკეპ პროდუქტებთან მათი კონტაქტის შესაძლებლობის შესახებ.

ნიკელის შემცველი უჟანგავი ფოლადების შემცვლელად ფართოდ შეიძლება აუსტენიტური კლასის ქრომმანგანუმიანი ფოლადის გამოყენება, რომელიც ხასიათდება უფრო მაღალი სიმტკიცით ქრომნიკელიან ფოლადებთან შედარებით, დაახლოებით თანაბარი პლასტიკურობის შენარჩუნების პირობებში. ხოლო ფოლადი 12X14Г14Н3Т წარმოადგენს 12X18Н10Т ფოლადის შემცვლელს საურსათო მრეწველობისათვის საჭირო ნაკეთობების დასამზადებლად.

AISI 409, 420, 430, 439 მარკის ფოლადების გამოყენება შესაძლებელია არა მარტო ნიკელიანი ფოლადების შემცვლელად, არამედ მთელი რიგი სპეციფიკური თვისებების გამო, ხშირად შეუცვლელია კვების მრეწველობის სხვადასხვა მოწყობილობის დასამზადებლად. ისინი უზრუნველყოფს დაჩქარებულ თბომიმოცვლას კვების რეზერვუარების გამაცივებელ სისტემაში (სისტემები გლიკოლემის, წყლის და სხვა გამაცივებელი საშუალებებით). უურადსალებია AISI 400 სერიის ფოლადების კოროზიამედეგობა საკვების ისეთ ზომიერ აგრესიულ გარემოში, როგორიცაა ცხოველური და მცენარეული ზეთები, ეთილის სპირტი, წვენები, საფუარი, ლუდის ბადაგი, ყველული, კრახმალი, ძმარმჯავა გოგირდის შემცველ გარემოში (მაგალითად, გოგირდის შემცველი ნიკორებები შედის კონსერვანტის შედგენილობაში). უფრო პოპულარული ნიკელის შემცველი ფოლადები გოგირდის შემცველ გარემოში გამოყენებისათვის არ არის რეკომენდებული. აქედან გამომდინარე, აუცილებელი ხდება მასალის ინდივიდუალური ტესტირება კოროზიულ მედეგობაზე, რომელიც განისაზღვრება ტემპერატურით, სხვა არეებთან კონტაქტით, დატვირთვის სიდიდით, უშუალო კონტაქტის ხანგრძლივობით ტექნოლოგიურ და საკვების გარემოსთან, უწყვეტი მუშაობის ხანგრძლივობით, პროდუქტების აბრაზიული, სარეცხი და სადეზინფექციო ხსნარების ზემოქმედებით და სხვა სპეციფიკური პირობებით.

კვების პროდუქტების წარმოებაში არაერთ ტექნოლოგიურ ციკლში აქტიურად იყენებენ უჟანგავი ფოლადის მილებს. მილის მასალა უნდა აკმაყოფილებლეს DIN 11850 სტანდარტის მოთხოვნებს, რაც ფოლადის შედგენილობას და შენადუდი ნაკერის ხარისხს განსაზღვრავს.

უჟანგავი ფოლადის მილები სრულად პასუხობს საკონსტრუქციო მასალებისადმი წაყენებულ გაზრდილ პიგიენურ და ეკოლოგიურ მოთხოვნებს, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს სასურსათო წარმოებისა და საზოგადოებრივი კვების სფეროსათვის მოწყობილობის მწარმოებლები.

სასურსათო წარმოებისათვის განკუთვნილ მილებს ამზადებენ AISI 304 და AISI 316L ფოლადებისაგან, რომლებიც ხასიათდება მაღალი ცვეთამედეგობით, კოროზიამედეგობით მილის მთელ სიგრძეზე და შენადუდი შეერთების უბნებში, მდგრადია ქიმიურად აგრესიულ გარემოში; ეკოლოგიურად უსაფრთხოა და არატოქსიკური; შესაბამისობაშია მძიმე ლითონების მიგრაციის (ხსნადობის) სტანდარტებთან მუშა არეში; სიმქისის პარამეტრები შენარჩუნებულია ექსპლუატაციის სრული ვადის განმავლობაში, რაც აადვილებს მოწყობილობის გასუფთავებისა და მომსახურების ოპერაციებს.

სასურსათო წარმოებაში უჟანგავი ფოლადების გამოყენების ზოგიერთი სფერო ასეთია:

**რძის პროდუქტები** – აუსტენიტური ფოლადები გამოიყენება რძის სტერილიზაციისა და მაცივარში შენახვისათვის, რძის სეპარატორებში, ყველის წარმოებისა და სხვა დამხმარე მოწყობილობაში, ჭურჭლის სარეცხ მანქანებში და რძის გადასაზიდ ცისტერნებში. ფართოდ გამოიყენება აგრეთვე ნაყინისა და მშრალი რძის წარმოებაში.

**ლუდის წარმოება** – აუსტენიტური ფოლადისგან ამზადებენ მოცულობებს ლუდის დადუღებისათვის, თბომიმომცვლელებს, ცისტერნებსა და კასრებს ლუდის გადასაზიდად, მოწყობილობას საფუარის წარმოებისათვის.

**ხილის კონსერვი და წვენი** – ხილის და წვენის კონსერვირებისათვის ფართოდ სარგებლობენ გოგირდის ორჟანგით, ამიტომ ამ სფეროში მოწყობილობის დასამზადებლად მოლიბდენის შემცველ უჟანგავ ფოლადს იყენებენ.

**წვნიანი და სოუსი** – ეს პროდუქტები შეიძლება შეიცავდეს მეტად აგრესიულ ნარევს, რადგან ისინი მჟავე არეს წარმოადგენს და ერთდროულად ქლორიდებსაც შეიცავს. ამიტომ ამ შემთხვევაშიც ხშირად საჭირო ხდება უჟანგავი ფოლადის გამოყენება მოლიბდენის დანამატებით.

**საცხობი** – საცხობის მოწყობილობისათვის მთავარია, რომ მისი ზედაპირი ადვილად იწმინდებოდეს. ამიტომ შემრევი მოწყობილობისა და მუშა მაგიდის დასამზადებელ მასალას აუსტენიტური ფოლადები მიესადაგება.

კოროზიამედეგ უჟანგავ ფოლადებს საერთო თავისებურება გააჩნია – ისინი სხვადასხვა რაოდენობით შეიცავს ნიკელს, მოლიბდენს, ნიობიუმს, ტიტანს და სხვა ელემენტებს. მათი მექანიკური და საექსპლუატაციო თვისებები დამოკიდებულია ამ ელემენტების თანაფარდობაზე. იმისათვის, რომ ფოლადმა წარმატებით და ხანგრძლივად იმუშაოს, აუცილებელია მისი მარკის გულდასმით შერჩევა.

კორონიამედეგობის, მექანიკური და ფიზიკური თვისებების, თვისებათა სტაბილურობის და ექსპლუატაციის ტექნიკურული დიაპაზონის შესახებ ცხადი წარმოდგენა, აგრეთვე ნედლეულის დამუშავებისა და მოწყობილობის ექსპლუატაციის სპეციფიკის ცოდნა, წარმოების ეკონომიკურობის არსებით გარანტიას წარმოადგენს.

## 10.7. ზერადი ლითონები და შენაღებები სასურსათო წარმოებაში

როგორც ძირითადი, ისე დამხმარე მოწყობილობის დეტალების, მექანიზმებისა და აპარატების, მილგაფვანილობისა და სხვადასხვა დანიშნულების მოცულობების დასამზადებლად გამოყენებას პოულობს აგრეთვე ფერადი ლითონები და მათი შენადნობები – ალუმინი, სპილენძი, თითბერი და ბრინჯაო. თუმცა კორონიამედეგი ფოლადებისგან განსხვავებით, სასურსათო წარმოებაში ფერად ლითონებსა და შენადნობებზე მოქმედებს რეგლამენტი, რაც ყოველი ტიპის მასალისათვის მისი აკრძალვისა თუ გამოყენების შესაძლებლობებს განსაზღვრავს. მაგალითად, სპილენძის გამოყენება დასაშვებია საკონდიტო მოწყობილობაში, მაგრამ აკრძალულია რძის წარმოების ტექნოლოგიურ მოწყობილობაში. ალუმინის გამოყენება დასაშვებია რძის მრეწველობაში ზოგადად, მაგრამ აკრძალულია ბავშვთა კვების რძის პროდუქტების წარმოებაში.

ფერადი ლითონები და შენადნობები უნდა გადიოდეს აუცილებელ შემოწმებას და ნებართვას იღებდეს კონკრეტული სახის საკვები პროდუქტების წარმოების ტექნოლოგიურ ციკლში გამოსაყენებლად.

**„სასურსათო“ ალუმინი.** სხვადასხვა საკვებ პროდუქტზე ალუმინის ზემოქმედების შესწავლისას აღმოჩნდა, რომ ალუმინთან მათი უშუალო კონტაქტის შემთხვევაში ვიტამინები დაშლას არ განიცდის. კვლევის ამ შედეგებმა ბიძგი მისცა ალუმინის გამოყენებას კვების მრეწველობაში, კოსმეტიკაში და საყოფაცხოვრებო ქიმიაში. ამჟამად ალუმინისგან ფართოდ ამზადებენ საყოფაცხოვრებო ჭურჭელს, შაქრის გადსამუშავებელ, საკონდიტო, ზეთის სადღვებ და სხვა სახის აპარატურას. ალუმინისგან დამზადებული ნაკეთობა, როგორიცაა ხორცსაკები მანქანა, ჩანგალი, კოვზი თუ ჭიქა, წარმატებით გამოიყენება როგორც საზოგადოებრივი კვების, ისე საოჯახო სამზარეულოში. ალუმინის კილიტა სისქით 0,009 მმ საუცხოო შესაფუთი მასალაა, რომელიც სხვადასხვა პროდუქტის (ჩაის, რძის პროდუქტების, საკონდიტო ნაწარმის) რეალიზაციის პროცესში ან მათ შესანახად გამოიყენება. ალუმინის კილიტას შემოსახვევში აფასოებენ კულინარულ

ცხიმს, მარგარინს, ნაყინს. შოკოლადს; ტრადიციულად ალუმინის ტუბებში ფუთავენ კბილის პასტას. ადგილად მოხმარების მიზნით ზოგიერთ პროდუქტს, მაგალითად, მდნარ ყველს, ამოსახრახნთავიან ტუბებში აფასოებენ. ასეთივე ტუბებში შეფუთული საკვები პროდუქტებით სარგებლობენ კოსმოსში ასტრონავტები. სულ უფრო ხშირად გამოიყენება თხელი ფურცლოვანი ალუმინი სისქით 0,2–0,3 მმ თუნექის შემცვლელად კონსერვის ქილის წარმოებაში.

სასურსათო მოწყობილობის დასამზადებლად ფართოდ გამოიყენება ალუმინის შენადნობებიც, თუმცა ყველა მათგანზე არ არსებობს შესაბამისი სტანდარტი ან სხვა მარებულირებელი დოკუმენტები. მაგალითად, ხშირად ისმის კითხვა, შესაძლებელია თუ არა ფურცლოვანი ალუმინის და მისი შენადნობების გამოყენება ავტომობილის საბარგულის ან საკვები პროდუქტების შესანახი საწყობის შიგა ზედაპირების მოსაპირკეთებლად, დარის, ხონჩის ან პურის საცხობი ფორმის დასამზადებლად. სად და რა შემთხვევაში შეიძლება ალუმინის შენადნობების გამოყენება, რომელ ალუმინს შეიძლება გუწოდოთ „სასურსათო“. ასეთი ტერმინი, მართალია, გამოიყენება, მაგრამ იგი არ არის ასახული მარეგლამენტირებელ დოკუმენტებში.

სიტუაცია განსხვავებულია სამსხმელო ალუმინისგან დამზადებული სასურსათო ნაკეთობისათვის. დღეისათვის მოქმედი სტანდარტის თანახმად (ГОСТ 1583-93), სასურსათო დანიშნულების მოწყობილობის დასამზადებლად შესაძლებელია AK7, AK5M2, AK9 და AK12 ალუმინის შენადნობების გამოყენება. კვების პროდუქტებთან უშალო კონტაქტის პირობებში სხვა მარკის ალუმინის შენადნობების გამოყენებისათვის ყველა კონკრეტულ შემთხვევაში აუცილებელია ჯანმრთელობის დაცვის ორგანოების ნებართვა.

სასურსათო დანიშნულებისათვის განკუთვნილ ალუმინის შენადნობში ტყვიის შემცველობა (წონით პროცენტებში) არ უნდა აღემატებოდეს 0,15%, დარიშხანისა – 0,015%, თუთიისა – 0,3%, ბერილიუმისა – 0,0005%. ალუმინის შოთს, რომელიც განკუთვნილია კვების პროდუქტებთან კონტაქტში მყოფი მოწყობილობის დასამზადებლად და მარკირება არ არის ფერადი საღებავით შესრულებული, მარკის ბოლოში მითითებული აქვს ასო „П“.

ამგვარად, საყოფაცხოვრებო ჭურჭლის დასამზადებლად ნებადართულია A7, A6, A5, A0 მარკის ალუმინის, АД1, АД მარკის ფურცლის და ლენტის გამოყენება. თუ ჭურჭლის შიგა ზედაპირი იფარება, მაშინ შესაძლებელია მისი დამზადება АМII მარკის ალუმინის შენადნობებისგანაც. სამაგრ ნაწილებს, რომლებიც კონტაქტია კვების პრო-

დუქტებთან, ასევე ჭურჭლის დასამზადებლად განკუთვნილი ლითონისგან ამზადებენ. არმატურისათვის (სახელური, რკალი და ყური) იყენებენ როგორც ალუმინის, ისე მის შენადნობებს.

ცხრილში 10.3 მოცემულია სამაგიდე მოწყობილობის დასამზადებლდ რეკომენდული ზოგიერთი მასალის ჩამონათვალი.

### ცხრილი 10.3.

სამაგიდე მოწყობილობის დასამზადებლად განკუთვნილი მასალები

ნაკეთობის და დეტალის დასახელება	მასალის დასახელება და მარკა
მთლიანლითონური დანა და კომბინირებული დანის მჟრელი პირი	ფოლადი Y8A; Y10A
მთლიანლითონური ჩანგალი და კომბინირებული ჩანგლის მუშა ნაწილი	ფოლადი 08kp; 45; ალუმინის შენადნობები: A0; АВМ; АД1М. АД1; АВ; АМГ2. АК7; АК5М2; АЛ22; АЛ23.
კოვზი	ალუმინის შენადნობები: A0; АВМ; АД1М. АД1; АВ; АМГ2; АК7; АК5М2; АЛ22; АЛ23.
დანის და ჩანგლის კომბინირებული სახელურები	04П-01010, 05П-01020 მარკის პოლიპროპილუნი; Б კლასის ამინოპლასტი. ალუმინის შენადნობები: A0; АВМ; АД1М. დახერხილი ფოთლოვანი ჯიშის პირველი ხარისხის ხე ტენიანობით არაუმეტესი 12% (აბს.)
კომბინირებული ნაკეთობის არმატურა (რგოლი, საჟელური, მოქლონი, ხუფი)	ფოლადი 20; ალუმინის შენადნობი АД1

### 10.8. პოლიმერული საპონსტრუქტო მასალები და დანაზარები

კვების მრეწველობაში გამოყენებული პოლიმერული მასალები უნდა აკმაყოფილებდეს სანიტარულ-ჰიგიენური მოთხოვნების გარკვეულ კომპლექსს, რაც კვების პროდუქტებთან მათი კონტაქტით არის განპირობებული. კერძოდ:

- არ უნდა შეცვალოს პროდუქტის ორგანოლეპტური თვისებები;
- არ უნდა შეიცვავდეს ტოქსიკურ კომპონენტებს, რომლებიც შეიძლება ექსტრაგირდებოდეს სასურსათო გარემოს მიერ ან რეაგირებდეს მასთან.

კვების მრეწველობაში პოლიმერული მასალების გამოყენების აუცილებელი პორობაა სანიტარული ზედამხედველობის ორგანოს ნებართვა, რომელიც კომპლექსური გამოცდების საფუძველზე გაიცემა. გამოცდები ითვალისწინებს ორგანოლეპტური თვისებების, აგრეთვე პოლიმერებსა, კომპოზიციურ მასალასა და პროდუქტში შემავალი ცალკეული ინგრედიენტების სანიტარულ-ქიმიური და ტოქსიკოლოგიური კვლევების შეფასებას. სანიტარულ-ქიმიური კვლევით განისაზღვრება საკონსტრუქციო მასალიდან საკვებ გარემოში მიგრირებადი ნაერთების კონცენტრაცია და შედგენილობა ექსპლუატაციასთან მიახლოებულ პირობებში.

კვების პროდუქტებთან კონტაქტის ხარისხის მიხედვით პოლიმერულ მასალებს სამ ძირითად ჯგუფად ყოფება:

1. მასალები, რომლებიც კვების პროდუქტებთან კონტაქტის შეზღუდვის გარეშე გამოყენება;
2. მასალები, რომელთა კონტაქტი დასაშვებია კვების ზოგიერთ პროდუქტთან გარკვეული პირობების დაცვით;
3. მასალები, რომელთა კონტაქტი კვების პროდუქტებთან დაუშვებელია ტოქსიკურობის ან პროდუქტებთან შეხების შემთხვევაში შედგენილობის შეცვლის გამო.

სასურსათო მრეწველობა პოლიმერული მასალების მსხვილ მომხმარებელთა რიცხვს მიეკუთვნება. მრეწველობის ამ სფეროში პოლიმერების გამოყენება მნიშვნელოვან ტექნიკურ-ეკონომიკურ ეფექტს იძლევა, თუმცა აუცილებელია მასზე დაბალი ტემპურატურის, პაერის მაღალი და ცვალებადი ტენიანობის და განსაკუთრებით პროდუქტების შრობის, სტერლიზაციის და თერმული დამუშავების პროცესში მაღალი ტემპურატურის გავლენის გათვალისწინება სასურსათო წარმოების მრავალ სფეროში.

ხორბლის ტრანსპორტირებისას ლითონის შნეკების ნაცვლად მისი მუშა ზედაპირის პოლიურეტანით, პოლიკაპროლაქტამით ან პოლიტეტრაფტორეთილენით (ფტოროპლასტი 4) დაფარული შნეკის გამოყენება ხახუნის ეფექტის შემცირების გამო მწარმოებლობას საშუალოდ 25%-ით ზრდის და მარცვალიც ნაკლებად ზიანდება.

თევზის გადასამუშავებელ, საკონსერვო და რძის წარმოებაში ფართოდ არის გავრცელებული ტრანსპორტიორის ლენტი, რომლის რგოლები დამზადებულია შედარებით მსუბუქი, კოროზიამედეგი, მაღალი სიმკვრივის პოლიამიდის ან პოლიეთილენისაგან, ხოლო საკისრები – ფტოროპლასტი 4-ისა და პოლიამიდისაგან. ასეთი საკისრების საპოხ მასალად შეიძლება წყლის გამოყენება, რაც კვების პროდუქტების გა-

მოვნების, ხარისხისა და კვებითი დირექულებების შენარჩუნების შესაძლებლობას იძლევა.

უფრო აგრესიულ სასუსათო გარემოსთან კონტაქტის შემთხვევაში პერსპექტიულია ქიმიურად მდგრადი თერმოპლასტით, მაგალითად, პოლიოლეფინით, ვინიპლასტით ან ფტოროპლასტით პლაკირებული მინაპალსტიკის აპარატურის გამოყენება,

„სასურსათო“ რეზინისგან ამზადებენ რძის პასტერიზატორის, ღვინის, ლუდისა და საკონსერვო წარმოების აპარატებისა და მანქანების შუასადებს, მამჭიდროვებელ გარსამოსს, ტრანსპორტიორის ლენტს, ამძრავ ღვედს; სილიციუმორგანული და ბუტადიენ-ნიტრილის კაუჩუკის ფუძეზე დამზადებული თბომედეგი რეზინისგან – საშრობი აგრეგატების, ულტრაპასტერიზატორის და სხვა აპარატების შუასადებს, სადაც თხევად საკვებ პროდუქტებს ასტერილებენ  $120\text{--}130^{\circ}\text{C}$ -ზე უფრო მაღალ ტემპერატურაზე.

ავტომატის კვანძებში, რომლის დანიშნულებაა პოლიეთილენით დაფარული ქაღალდის აპეტების დამზადება, რძით შევსება და პერმეტიზაცია შედუდებით, ამორტიზატორი დაყენებულია ფტორისშემცველი ან სილიციუმორგანული კაუჩუკის ფუძეზე დამზადებული, ფტოროპლასტი 4-ით შევსებული რეზინის მიმჭერი გორგოლაჭით. ასეთი რეზინისგან დამზადებული დეტალების ექსპლუატაციის ხანგრძლივობა 7–8-ჯერ ადემატება, მაგალითად, ბუტადიენ-ნიტრილურ კაუჩუკს.

ეფექტურია აგრეთვე ნატურალური კაუჩუკისა და ბუტადიენ-სტიროლის კომპოზიციისგან დამზადებული მაღალი სისალისა და ცვეთამედეგობის რეზინის გამოყენება მარცვლის საფშვნელი დანადგარის დეკას დასამზადებლად.

სინთეტიკური, მაგალითად, პოლივინილაცეტატური დისპერსიის სინთეტიკური წებოს გამოყენება ნატურალურის ნაცვლად, მაღალი მწარმოებლობის ავტომატებზე გაუმჯობესებული ხარისხის ქაღალდის ტარის დამზადების შესაძლებობას იძლევა.

სასურსათო წარმოებაში მნიშვნელოვანი როლი ეკისრება პოლიმერულ ანტიადჰეზიურ დანაფარებს, რომლებიც ლითონურ კონსტრუქციებზე დააქვთ მათ ზედაპირზე ნედლეულისა და ნახევარფაბრიკატების მიკვრის ასაცილებლად, თუმცა მხედველობაში უნდა მივიღოთ, რომ ტექნოლოგიურ გარემოზე დამოკიდებულებით, დანაფარის მასალა შეიძლება აბსოლუტურად ან მეტ-ნაკლებად არამდგრადი აღმოჩნდეს. მაგალითად, პოლიქლორვინილი არამდგრადია ჭვავის საფუარიან ცომთან. ორგანულ მჟავებში, საქართვის, სარეცხისა და სხვა ნივთიერებებში, რომელსაც სასურსათო წარმოების არე შეცავს. სასურსათო არეებისადმი უნივერსალური მდგრადობით ხასიათდება კომპოზიცია ეპოქსიდის ფისის ფუძეზე. სხვადასხვა პოლიმერის დამცავი დანაფარის

მდგრადობა, რომელიც განისაზღვრება გარეგნული სახის ცვლილებით და მიღრეკი-ლებით გაჯირჯვებისადმი ზოგიერთი სასურსათო წარმოების ორგანული არის ზემოქ-მედებით, საკმაოდ ფართო ზღვრებში იცვლება.

ზოგიერთი ლაქსადებავი ანტიადჰეზიური თვისებებით ხასიათდება, რომლებიც მაგალითად, ფტოროპლასტის, პოლივინილბუტირალით მოდიფიცირებული და ფტორო-პლასტი 4-ის ფხვნილით შევხებული ფენოლო-ფორმალდეპიდის ან სილიციუმორგანუ-ლი (ეპოქსიდური ფისით მოდიფიცირებული პოლიმეთილფენილსილოქსანის) ლაქის სუსპენზიის დატანით მიიღება.

გარდა ლაქსადებავებისა, გავრცელებულია აგრეთვე ანტიადჰეზიური დანაფარები, რომლებიც მოდიფიცირებული ფტოროპლასტების, პოლივინილბუტირალის და მაღალი სიმკვრივის პოლიეთილენის ფხვნილების დაფრქვევით მიიღება. ზოგჯერ ლითონის დეტალებს ამოუფენენ პოლიეთილენის ფურცელს ან თხელ ფირს, ხოლო ტრანსპორტიორის ლენტს სილიციუმორგანული, უმეტეს შემთხვევაში, პოლიეთილპიდროსილოქ-სანის სითხით ამუშავებენ.

ლითონისაგან დამზადებული ინვენტარი ან მოწყობილობა (მაგალითად, ტრანს-პორტიორის ლენტი, ფორმები) ანტიადჰეზიური დანაფარებით, გამოიყენება აგრეთვე პურის საცხობებში ცომის დასანაწევრებელ ხაზზე, ხორცის ფარშის ტრანსპორტიორებისათვის, პელმენების გასაყინად, კულინარული ნაწარმის დამზადების მექანიზირებულ ხაზზე, თევზის კონსერვის საწარმოებში და ა.შ.

ანტიადჰეზიური დანაფარები დაიტანება ბუნკერის შიდა ზედაპირზე, საიდანაც ფხვიერი ან პასტისებრი პროდუქტები დასაფასოებელ და დასაგმან ავტომატებს მიე-წოდება. ეს ზრდის მოწყობილობის მუშაობის ხანგრძლივობას და მწარმოებლობას. დეტალების გაპოხვისა და წმენდის ოპერაციების გამორიცხვა ამცირებს სასურსათო ცხიმის (საპოხი საშუალებების) ხარჯს, ზრდის სამქროების სანიტარულ მდგომარე-ობას და პროდუქციის ხარისხს.

პურის საცხობ საწარმოებში მარილისა და საფუარის სსნარებისათვის გათვალის-წინებული მოცულობების, ვერტიკალური ელევატორის ციცხვებისა და წისქვილის მარცვლის სეპარატორის დარისა (ხონჩის) და სხვა მოწყობილობის კოროზიისაგან დაცვის მიზნით იყენებენ ფხვნილოვან პოლიოლეფინს, რომელსაც დასაცავ ზედა-პირზე აფრქვევენ. ზედაპირს, რომელიც ყველაზე აგრესიულ პირობებში განიცდის ექსპლუატაციას, იცავენ პოლიტრაფტორქლორეთილენის (ფტოროპლასტი-3) და ტეტრა-

რაფტორეთილენის თანაპოლიმერების დანაფარებით.

ლითონის ზედაპირთან კარგი ადჰეზიური თვისებებით, მექანიკური სიმტკიცით და ქიმიური მედეგობით ხასიათდება ანტიკოროზიული დანაფარი, რომელიც მიიღება ეპოქ-სიდური ფისის დატანით. ფისში მინერალური შემავსებლებია დამატებული. გამყარუბისა და ტუტე და მუკა რეაგენტებით გარეცხვის შემდეგ შესაძლებელია მრავალ სასურსათო გარემოსთან დანაფარის კონტაქტირება. დანაფარი გამოიყენება დიდი მოცულობის დვინის, სპირტის, ხილის წვენის ჭურჭლის და რძის პროდუქტების ცისტერნის შიგა ზედაპირის დასაცავად; პურის საცხობი და საფუარის წარმოების აპარატურის, ავტომატის დასაფასოებელი ბუნკერების, თევზის გადასამუშავებელი მანქანის დეტალების დასაცავად, რომლებიც ზდვის პირობებში გადის ექსპლუატაციას.

სასურსათო მოწყობილობაზე დეკორატიულ-დამცავ დანაფარებს დებულობენ პოლივინილბუტირალური და პოლიეთილენის ფხვნილოვანი საღებავების დაფრქვევით. გამოიყენება აგრეთვე სხვადასხვა ლაქსალებავი. როგორც წესი, სასურსათო მოწყობილობაზე არ დააქვთ რელიეფური დანაფარი, რადგან მათი სტერილური გარკვეულ სირთულეებთან არის დაკავშირებული.

ლითონური დანაფარებიდან კალა მეტად უნიკალური და ძვირფასი თვისებებით გამოიჩევა. იგი არის ქიმიურად პასიური ლითონი და ადამიანის ორგანიზმისადმი სრულიად უსაფრთხო. მეტად ინერტულია აგრეთვე თრგანული ნივთიერებების მიმართ და ლითონის ზედაპირზე საუკეთესო დანაფარს იძლევა (მოკალვა). ყოველივე ამან განაპირობა კალის განსაკუთრებით ფართო გამოყენება სასურსათო წარმოებაში სპილენძის, სპილენძის შენადნობებისა და შავი ლითონების ზოგიერთი დეტალის ზედაპირების დასაფარად.

ემალი წარმოადგენს ადვილდნობად მინას, რომელსაც ხშირად სხვადასხვა შეფერილობას აძლევენ. ემალის დანაფარს კოროზიისაგან დაცვის ან ლამაზი გარეგნული იერის მისანიჭებლად იყენებენ. იგი ძირითადად შავი ლითონების ზედაპირზე დააქვთ. შემუშავებულია ემალის მრავალი შედგენილობა. ემალით ყველაზე ხშირად თუჯისა და ფოლადისაგან დამზადებული ქიმიური და სასურსათო მრეწველობის აპარატურის ზედაპირს ფარვენ. იგი ფართო გამოყენებას პოულობს აგრეთვე სამაცივრო და აირული აპარატურის, ჭურჭლის და ა.შ. წარმოებაში.

ისეთი აპარატურისა თუ მოწყობილობის დასამზადებლად, რომლებიც განკუთვნილია მაღალი სისუფთავის ხარისხის პროდუქტებთან კონტაქტირებისათვის და არა-

სასურველია ლითონის უმნიშვნელო რაოდენობის მოხვედრაც კი (მაგალითად, ქიმიურად სუფთა რეაქტივების, ფარმაცევტული პრეპარატების და საკვები პროდუქტების მიღება და შენახვა), ფართოდ იყენებენ კოროზიამედეგ არალითონურ მასალებს. ამ თვალსაზრისით შეუცვლელია ფაიფური და მინა.

გასათვალისწინებელია, რომ მასალათა უმრავლესობა, რომლებიც სოფლის მეურნეობაში, ქიმიურ და სასურსათო წარმოებში გამოიყენება, წარმოადგენს კოლოიდურ კაპილარულფორმვან სხეულს, რომლებიც წარმოების ტექნოლოგიურ პროცესში სველდება, ხურდება და ცივდება. ასეთ პროცესებში შეინიშნება არა მარტო სითბოს გადაცემა დასამუშავებელ მასალაში, არამედ არ არის გამორიცხული ერთდროული მასის გადატანაც, ანუ ერთი კომპონენტის შექრა მეორეში – დიფუზის განვითარება.

## 10.9. ტარა და საჭუთავი მასალები

საურსათო წარმოებაში დღითიდღე იზრდება მოთხოვნა როგორც ერთშრიანი, ისე მრავალშრიანი და კომბინირებული პოლიმერული საფუთავი მასალებისადმი. აღნიშნული მასალები საკვებ პროდუქტს არა მარტო იცავს ნაადრევი გაფუჭებისაგან, არამედ ხელს უწყობს მათ სწრაფ რეალიზაციასაც. საფუთავი მასალების სწორად შერჩევისათვის სასურსათო სფეროში დასაქმებულმა მწარმოებლებმა ზედმიწევნით უნდა იცოდნენ არა მარტო საფუთავი მასალების, არამედ იმ სასურსათო პროდუქტების თვისებებიც, რომლის შესაფუთადაც არის ესა თუ ის მასალა გათვალისწინებული. მნიშვნელოვანია, აგრეთვე, საკვებ პროდუქტსა და საფუთავს შორის შესაძლო ურთიერთქმედების ეფექტის გათვალისწინებაც. შეიძლება ითქვას, რომ დღევანდელი სასურსათო წარმოების უმთავრესი დევიზია „ყოველ პროდუქტს–საკუთარი საფუთავი“. ამ პრინციპის პრაქტიკაში განხორციელებისათვის ისეთი ფაქტორების გათვალისწინებაა აუცილებელი, რომლებიც უზრუნველყოფს შესაფუთი მასალით პროდუქტების დაცვას და მისი შენახვის ხანგრძლივობას დასაწყობების, ტრანპორტირების და საოჯახო პორტებში. ამ ფაქტორებს, უპირველეს ყოვლისა მიეუთვნება:

- საკვები პროდუქტის შედგენილობა, ტიპი და თვისებები;
- საფუთავის კონსტრუქცია და ფუთაში არსებული გარემო;
- საფუთავი მასალის ფიზიკურ-მექანიკური მახასიათებლები, შეღწევადობა და სანიტარულ-ჰიგიენური თვისებები, რამაც უნდა უზრუნველყოს საკვები პროდუქტის უსაფრთხოება.

გარდა ამისა, საფუთავი მასალა უნდა უზრუნველყოფდეს მასზე შტრიხკოდის და ბეჭდის დატანის შესაძლებლობას ინფორმაციულობისა და შეფუთვის მიმზიდველობის ასამაღლებლად.

იმ საფუთავი მასალების სანიტარულ-პიგიენური მოთხოვნები, რომლებიც უშუალო შეხებაშია საკვებ პროდუქტებთან, მეტად მკაცრია. ასეთი მასალები უნდა იყოს ქიმიურად ინერტული – არ უნდა გამოყოფდეს მავნე ნივთიერებებს დასაშვებ ზღვარზე ზევით და არ ცვლიდეს პროდუქტის ორგანოლეპტურ თვისებებს; არ ხასიათდებოდეს კანცეროგენური, მუტაგენური და ალერგიული თვისებებით; არ შეიცავდეს ტოქსიკურ ინგრედიენტებს.

ამჟამად გამოწნდა მასალების ახალი სახეობა, ე.წ. „აქტიური“ საფუთავი, რომლის შედგენილობაშიც შესაძლებელია ორგანიზმისათვის სასარგებლო ნივთიერების, მაგალითად, ვიტამინების შეყვანა; დაიცვას პროდუქტი მიკრობიოლოგიური ზემოქმედებისაგან; შექმნას ოპტიმალური გაზის გარემო საფუთავში; უზრუნველყოს პროდუქტის თერმული დამუშავების და საფუთავის საკვებად გამოყენების შესაძლებლობაც კი შეფუთულ პროდუქტთან ერთად. საფუთავი მასალებისადმი წაყენებული ასეთი მოთხოვნების და შეფუთვის თანამედროვე ტექნოლოგიები განაპირობებს ახალი, ექსპლუზიური საფუთავი მასალების შექმნის აუცილებლობას.

**პოლიმერული და კომბინირებული საფუთავი მასალების ძირითადი სახეები.** საფუთავ მასალად ყველაზე ფართო გამოყენებას პოულობს პოლიოლეფინი, პოლიპროპილენი, დაბალი სიმკვრივის, მაღალი სიმკვრივის და წირითი პოლიეთილენი. ყველაზე პოპულარულს პოლიპროპილენი წარმოადგენს, რომლისგანაც ამზადებენ აფსკებს, მრავალშრიან პოლიმერულ (რომელიც მხოლოდ პოლიმერის ფენებისგან შედგება) და კომბინირებულ (რომელიც სხვადასხვაგარი მასალის ფენებისგან არის შედგენილი) მასალებს, აგრეთვე წვრილ სამომხმარებლო და მსხვილ სატრანსპორტო ტარას. პოლიეთილენი უმთავრესად გამოიყენება გამჭიმავი, შეკლების და ჰაერბუშტრივანი აფსკების დასამზადებლად.

ზემოთ წარმოდგენილი პოლიოლეფინის მასალები მიეცუთვნება ნაწილობრივ კრისტალიზებურ პოლიმერებს. ამორფული პოლიმერებიდან საფუთავის დასამზადებლად ყველაზე ხშირად პოლისტიროლი და პოლივინილქლორიდი გამოიყენება. ქლორისშემცველი პოლიმერებიდან ამ ნიზნით გამოიყენება აგრეთვე პოლივინილიდენქლო-

რიდი თანაპოლიმერის სახით – ვინილიდენქლორიდი (85-87% მოლებულური მასით) მცირე რაოდენობით (13-15%) ვინილქლორიდთან, რომლისგანაც აწარმოებენ აფსკურ მასალას სავაჭრო დასახელებით „სარანი“ (Saran, დარეგისტრირებულია Dow Cemikal Co კომპანიის მიერ).

სულ უფრო იზრდება სამომხმარებლო ბაზარზე როგორც ამორფული, ისე კრისტალური აგებულების პოლიეთილენტერეფტალატის გამოყენების სფერო. მისი თვისებათა უნიკალური კომპლექსი, რაც აუცილებელია საკვები პროდუქტების საფუთავი მასალებისათვის, მდგომარეობს მაღალ მექანიკურ და ბარიერულ თვისებებში, ცხიმმედებობაში, ეკოლოგიურ უსაფრთხოებაში, საკმარის გამჭვილვალობაში. თანაპოლიმერებიდან აღსანიშნავია ეთილენის და ვინილაცეტატის, ეთილენისა და ვინილის სპირტის თანაპოლიმერები.

მასალათა წარმოების თანამედროვე ტექნოლოგიებმა შესაძლებელი გახადა მასალას მიენიჭოს სრულიად ახალი ფუნქცია და თვისებები. მაგალითად, თვითგაცხელებადი და თვითგაცივებადი ქილები, თვითშლადი აფსკის საფუთავი, რომელიც კომპოსტში ან ნაგავსაყრელზე ჰაერის ჟანგბადისა და მზის სინათლის ზემოქმედებით დაბალმოლებულურ პროდუქტებად – წყლად და ნახშირჟანგის აირად გარდაიქმნება.

განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს სპეციალური ბაქტერიოლოგიური და ანტიმიკრობული თვისებების მქონე „აქტიური“ საფუთავი, რომელიც ანტისეპტიკურ გავლენას ახდენს უშუალოდ პროდუქტზე, უმთავრესად ხორცის პროდუქტებზე და ყველეულზე.

საკვები პროდუქტების მრავალფეროვნება – რძის პროდუქტები, ყველეული, ცხიმები, ხორცი და ხორცპროდუქტები, თევზი და მისი პროდუქტები, პურფუნთუიული და საკონდიტრო ნაწარმი, ფხვიერი პროდუქტები, ხილ-ბოსტნეული, წვენები, ალკოჰოლური სასმელები და ა.შ. სპეციფიკურ მოთხოვნებს უყენებს საფუთავ მასალებს. ამიტომ საფუთავისა და პროდუქტის შეფუთვის ხერხის შერჩევა მოითხოვს არა მარტო სამეცნიერო-ტექნიკურ ცოდნას, არამედ ხელოვნების ელემენტებსაც. მხოლოდ ამის შედეგ იქმნება საფუთავი მასალის წარმოებისა თუ შეფუთვის ობტიმალური ვარიანტის მიზანდასახულად შერჩევის შესაძლებლობა საკვები პროდუქტის სახეობის, მისი დამუშავების პირობების, შენახვისა და ტრანსპორტირების პირობების შესაბამისად.

**პოლიმერული მასალების გამოყენება ქვების მრეწველობაში.** ზოგადად შეიძლება ითქვას, რომ სასურსათო წარმოებაში საკვები პროდუქტების შესაფუთად გამოიყენება როგორც ერთშრიანი, ისე მრავალშრიანი აფსკი, სხვადასხვა პოლიმერული კომპოზიტით გაედენთილი კომბინირებული მასალები, პოლიმერით დაფარული ალუმინის ან ქალალდის აფსკი (კილიტა), ნახევრადხისტი ან ხისტი ტარა (ბოთლი, ფლაკონი, ჭიქა, ტუბა). ასეთ ტარას ამზადებენ ვაკუუმური და პნევმოფორმირების მეთოდით, წნევის ქვეშ ჩამოსხმით და შებერვითი ექსტრუზით. აღნიშნული ტარა ძირითადად გამოიყენება თხევადი და პასტისებრი პროდუქტების მაღალმწარმოებლურ ხაზებზე დაფასოუბისათვის, სადაც ერთ ნაკადში ხდება ტარის დამზადება, მისი შევსება პროდუქტით, ჰერმეტიზაცია და სასაქონლო ნიშნის დატანა.

განსაკუთრებული საფუთავი, რომელმაც პროდუქტს უნდა შეუნარჩუნოს ტენიანობის საჭირო დონე და მიკროორგანიზმების მოქმედება, არის პოლიმერული დანაფარები, რომლებიც მიიღება პარაფინის, პოლიეთილენის და პოლიიზობუტილენის შემცველი ნალღობისაგან; პოლივინილის სპირტის და სპირტში განზავებული პოლივინილბუტირალის წყალხსნარებიდან; პოლივინილაცეტატის და ვინილიდენქლორიდისა და ვინილქლორიდის თანაპოლიმერის წყლის დისპერსიოდან და სხვა.

საფუთავი მასალებისადმი მოთხოვნა განისაზღვრება პროდუქტის სახეობის მიხედვით, მისი დამუშავების, შენახვისა და ტრანსპორტირების პირობებით. მაგალითად, საფუთავის ჰერმეტულობის დაცვისა და დარტყმითი დატვითვებისადმი მდგრადობის უზრუნველსაყოფად აუცილებელია ისეთი მასალის გამოყენება, რომელიც ხასიათდება საკმაო მექანიკური სიმტკიცით და ელასტიურობით; ჰიგროსკოპული პროდუქტების შესაფუთად გამოიყენება ტენგაუმტარი, ხოლო ვაკუუმში ან ინერტული აირის ატმოსფეროში შესაფუთად – აირგაუმტარი მასალა.

ზოგიერთ შემთხვევაში, მაგალითად, ბიოლოგიურად აქტიური პროდუქტების შესაფუთად, სელექციურად აირგამტარი მასალები გამოიყენება. ხშირად საფუთავი მასალა არ უნდა ატარებდეს ნივთიერების ან ცხიმის სუნს, უნდა იყოს ყინვაგამძლე და მდგრადი დაძველების მიმართ, უზრუნველყოფდეს როგორც საფუთავის, ისე საკვები პროდუქტის უსაფრთხოდ შენახვას სხვადასხვა პირობებში.

საფუთავი მასალა, რომელიც დასაფასოებელ ავტმატებზე გამოიყენება, ადვილად უნდა დუღდებოდეს, ხოლო პროდუქტით შევსების შემდეგ მისმა სიხისტის დონემ უნდა უზრუნველყოს ფორმის შენარჩუნება. მრავალი ფიროვანი მასალა უნდა ხა-

სიათდებოდეს შეკლების უნარით, რათა მჭიდროდ შემოეკრას რთული კონფიგურაციის პროდუქტს და შესაძლებელი იყოს მასზე ბეჭდის დასმა.

მეტად მკაცრი მოთხოვნები წაგენება ხორცის სხვადასხვა სახეობის, მათი ნახევარფაბრიკატების, რძისა და რძის პროდუქტების, ასევე თევზისა და თევზის პროდუქტების საფუთავ მასალებს.

**ახალი ხორცი** მაღლუჭებადი პროდუქტია, რადგან იგი წარმოადგენს იდეალურ გარემოს მიკროორგანიზმებისა და სოკოს გამრავლებისათვის. მიკრობული პროცესების მიმდინარეობისათვის საუკეთესო არეს წარმოადგენს აგრეთვე ბმული წყლის მნიშვნელოვანი რაოდენობა, რომელსაც ახალი ხორცი შეიცავს და შენახვის პროცესში „ხორცის წვენის“ (წყლისა და სისხლის ნარევის) სახით გამოიყოფა. ამის გამო ხორცი მეტად მგრძნობიარეა გარემოს ფაქტორების – წნევის, ჰაერის ტენიანობის და ტემპერატურის მიმართ. აღნიშნული ფაქტორები ერთობლიობაში უარყოფით გავლენას ახდენს ხორცის გემოზე, ფერზე და სიახლეზე. ამაში გადამწყვეტ როლს თამაშობს ხორცის ზედაპირზე მიკრობების საწყისი რაოდენობა, რომელიც საქონლის დაკვლის შემდეგ ყოველ 20 წუთში ორმაგდება. პროცესის მიმდინარეობა ნელდება 1-20°C-ზე ან სპეციალურ საფუთავში სათანადო გარემოს შექმნით. ძირითადი საინფორმაციო კრიტერიუმი საფუთავი მასალის შესარჩევად არის წყალბადის მნიშვნელობისა (pH) და წყლის აქტივობის მაჩვენებელი  $A_w$ , რომლებიც შესაბამისად უნდა თავსდებოდეს ზღვრებში 6,0 და 0,99. ამ მნიშვნელობების ზევით ხელსაყრელი გარემო იქმნება მიკრობების ზრდისათვის და ხორცის მოხმარებამ შეიძლება კვებითი მოწამლვა გამოიწვიოს. გარემოს ფაქტორები არსებით გავლენას ახდენს კუნთის პიგმენტზეც, რაც ხორცს გარკვეულ შეფერილობას აძლევს. იგი წარმოადგენს მიოგლობინის ცილას, რომელიც ჰაერის ჟანგბადის ზემოქმედებით, ჟანგვის ხანგრძლივობაზე დამოკიდებულებით, შეძლება სამ ურთიერთგარდამავალ ფორმაში არსებობდეს: მეწამულ-წითელი ფერის მიოგლობულინში, ღია-წითელი ფერის ოქსიმიოგლობულინში და ყავისფერ მეტმიოგლობულინში. ახალი ხორცის ნორმალურ შეფერილობად ღია წითელი ითვლება, დაუშვებელ შეფერილობად – ყავისფერი, რომელიც ხორცის უხარისხობაზე მიუთითებს.

გარკვეული დროის განმავლობაში ხორცის სიახლის შესანარჩუნებლად საფუთავი მასალა უნდა ხასიათდებოდეს ჰაერის ჟანგბადის გაღწევადობის უნარით ატმოსფერულ პირობებში შენახვისას და შეუღწევლობით გაკუშმში შეფუთვისას. ამ პირობებს

აკმაყოფილებს პოლიეთოლენის აფსკი, ნაკლები ხარისხით – ცელოფანი. ვაკუუმური შეფუთვისათვის გამოიყენება „სარანის“ ტიპის ვინილიდენქლორიდის და ვინილქლორიდის თანაპოლიმერი, შეკლების უნარის მქონე „ეთილენისა და ვინილაცეტატის თანაპოლიმერი–„სარანი“–დასხივებული ეთილენისა და ვინილაცეტატის თანაპოლიმერი“ შედგენილობის თანაექსტრუზიული აფსკი, ნაილონი (ПА66), „სურლინის“ ტიპის იონომერი (Surlyn, დარეგისტრირებულია DuPont კომპანიის მიერ. ეთილენის თანაპოლიმერები მაღალი ფიზიკურ-მექანიკური მახასიათებლებით, დაბალი დნობის ტემპერატურით, შედუღების ფართო ტემპერატურული ინტერვალით, შესანიშნავი გამჭვირვალობით და მოქნილობით).

**გაცივებული ხორცის** შესაფუთად, რომლის დაცვაც აუცილებელია ფერისა (რაც განპირობებულია მიოგლობინის დაშლით უჟანგბადობის პირობებში) და სხვა ორგანოლეპტური თვისებების შეცვლისაგან, აგრეთვე ბაქტერიების ზემოქმედებისაგან, ყველაზე გამოსადეგია ცელოფანი გარედან დაფარული ლაქით. ამ მიზნით გამოიყენება აგრეთვე არალაქირებული ცელოფანი, პოლივინილქრორიდის აფსკი, ვინილიდენქლორიდისა და ვინილქლორიდის („სარანი“), პოლიეთილენის, პოლისტიროლის, კაუჩუკის პიდროქლორიდის თანაპოლიმერები. ხორცის შენახვის ვადა პოლიმერულ საფუთავში 2-3 დღედამე 0°C-ის და 1,5 დღედამე 6°C-ის ტემპერატურულ პირობებში.

**დამარილებულ ხორცს**, რომელიც ხანგრძლივი შენახვისთვის არის გათვალისწინებული, აფასოებენ და ფუთავენ მაღალი მწარმოებლობის ავტომატებზე ვაკუუმში ან ინერტული აირის ატმოსფეროში. საფუთავ მასალად, რომელმაც პროდუქტი უნდა დაიცვას ჟანგბადის ან ტენის შეღწევისაგან და სინათლის ზემოქმედებისაგან, გამოიყენება მრავალშრიანი ფირი ცელოფანი-პოლიეთილენი, პოლიეთილენ-ტერეფტალატი-პოლიეთილენი, პოლიამიდი-პოლიეთილენი, „სარანი“-პოლივინილქლორიდი-სარანი და ცელოფანი-ფოლგა-პოლიეთილენი. ხმარებაშია აგრეთვე პოლიკარბონატის, პოლიურეტანის ან პოლივინილის სპირტი შედუღებად (ჩვეულებრივ, პოლიეთილენის) ფირთან შესამებით. ხორცი, რომელსაც გავლილი აქვს თბური დამუშავება (წინასწარი დამარილების შემდეგ), იფუთება იგივე ფირებში, როგორმიც დამარილებული ხორცი.

**ხორცის კონსერვებისთვის**, რომლებიც სტერილიზაციას გადის, განსაკუთრებით გამოსადეგია კომბინირებული მასალა – პოლიეთილენტერეფტალატი-ფოლგა-პოლიეთილენი, აგრეთვე სხვა კომბინირებული მასალები ფოლგის შუაფენებით.

**ძებულის და ხოსტის** გარსის მისაღებად უპირატესად ცელოფანი გამოიყენება.

დაშვებულია აგრეთვე ვისკოზით გაჟღენთილი, გრძელბოჭქოვანი, იზოტროპული ქადალდის, „სარანის“ ტიპის და პოლივინილსპირტის ფირის გამოყენება.

**მოხარშული და შებოლვილი ძებვეულის, ლორის, კულინარიული ხორცის** ცალკეული ულუფების სახით წარმოებული პროდუქციის ხარისხის შესანარჩუნებლად, უპირველეს ყოვლისა, აუცილებელია ჟანგბადის ზემოქმედებისაგან მათი დაცვა. ასეთი დაცვა წარმატებით ხორციელდება სუსტადშეღწევადი ორი ან სამფენიანი, სხვადასხვა ქიმიური ბუნების პოლიმერების აფსკისგან დამზადებული პაკეტის ვაკუუმირებით. ამ მიზნით რეკომენდებულია პოლიამიდის, პოლიეთერის, პოლივინილიდენქლორიდის, პოლიეთილენის სხვადასხვა შესამებით გამოყენება. იშვიათად სარგებლობენ ალუმინის კილიტას ფუძეზე დამზადებული ლამინატით ან მეტალიზირებული ფირით.

ძებვეულის ნაწარმის და კულინარიული ხორცის დაფასოება უმეტეს შემთხვევაში ხორციელდება მთლიანზიდული, შეკლების უნარის მქონე აფსკისაგან. შეკლება ხორციელდება ცხელ წყალში. ასეთი საფუთავის მასალად შეიძლება პლასტიფიცირებული პოლივინილქლორიდის, პოლიამიდი – „სარანის“, პოლიამიდი – პოლიეთილენის გამოყენება. წილობრივი ულუფის შესაფუთად სარგებლობენ „სარანი“ – „ეთილენი – ვინილაცეტატის თანაპოლიმერი (შიდა ფენა)“ პაკეტებით.

**სოსისის** გარსაცმის დასამზადებლად იყენებენ გამჭვირვალე საფუთავს ლამინატის სახით – პოლიამიდი – პოლიეთილენი, აგრეთვე ცელოფანის ან პოლიამიდის ერთშრიან აფსკს, რომელზედაც დააქვთ წყალში უხსნადი არაორგანული დისპერსია, მაგალითად, მოხარშული ძებვის, სოსისის, აგრეთვე ყველის დასაცავად.

ფართო გამოყენებას პოულობს ძებვეულისთვის განკუთვნილი გარსი სასაქონლო მარკით „ამიტან“, რომელიც პოლიამიდის ფუძეზეა დამზადებული (კომპანია „ატლანტის – პაკ“, ქ. დონის – როსტოვი). გარსი ძებვეული ნაწარმის ულუფებად შეფუთვის და სასაქონლო სახის გაუმჯობესების შესაძლებლობას იძლევა, ზრდის პროდუქტის შენახვის ვადას და ხასიათდება კარგი ადსორბციული თვისებებით, რაც მეტად მნიშვნელოვანია პოლიგრაფიული დამუშავებისათვის.

ცნობილია, რომ პოლიამიდის აფსკის ძირითადი დადებითი მხარეა მაღალი ბარიერული თვისებები, ანუ დაბალი შეღწევადობა, თუმცა შეზღუდულია ძებვეულის ან სოსისის გარსად მისი გამოყენების შესაძლებლობა აუცილებელი ორგანოლეპტური მახასიათებლების შენარჩუნებით. ამ უარყოფითი მხარის გამოსასწორებლად შემუშავებულია პრინციპულად ახალი ტექნოლოგია, რომელიც პოლიამიდების მორფოლო-

გიის ისეთნაირად შეცვლის შესაძლებლობას იძლევა, რომ მისგან წარმოებული გარსი აირების, ორთქლის და წყლის მიმართ სელექციური შეღწევადობის უნარს დებულობს. აღნიშნული ჯგუფიდან ყველაზე ცნობილია გარსი „ამიტან პრო“ (გამოიყენება ყველა სახის მოხარული ძეხვეულისა და ლორის შესაფუთად), „ამისმოკ“ (ნახევრად შებოლვილი და მოხარულ-შებოლვილი ძეხვეულის შესაფუთად) და „ამილუქს“ (გამოიყენება ტრადიციული მეთოდით სოსისის და სარდელის დასამზადებლად).

უკანასკნელ წლებში ფართო გამოყენება პოვა თერმული შეკლების უნარის მქონე ძეხვეულის მრავალ მრიანმა გარსმა დასახელებით „ბეტან“. იგი ხასიათდება მაღალი სიმტკიცითა და ბარიერული თვისებებით, უძლებს მაღალ წნევას ძეხვეულის ფარშის მისხურებისას, ზრდის ძეხვეულის შენახვის ხანგრძლივობას და პროდუქციის სასაქონლო სახეს.

თითქმის ყველა სახის პოლიამიდის აფსკის ნარჩენები უფრო ეკოლოგიურია პოლივინილიდენქლორიდის აფსკებთან შედარებით, რადგან პრაქტიკულად გარემოს არავითარ ზიანს არ აყენებს. იგი გადაყრის შემდეგ რამდენიმე თვეში იშლება.

**ახლად შებოლვილი ძეხვეულის, ყველეულის** და სხვა ზოგიერთი პროდუქციის დაცვის ეფექტურ ხერხს წარმოადგენს ბაქტერიციდური დანაფარების შექმნა პიგიენურად უსაფრთხო ლატექსის ფუძეზე (ორგანული პოლიმერების წყლიანი დისპერსია), რომელიც ანტიმიკრობულ დანამატებს შეიცავს. ასეთ დანამატებად ევროპაში გამოყენებულია პრეპარატი „დალვოციდი“, რომლის ფუძეს ანტიბიოტიკი პიმარიცინი წარმოადგენს, ხოლო დსთ-ს ქვეყნებში – დეპიდრაცეტონის მჟავა (ДГК) და მისი წყალში ხსნადი მარილები. ლატექსის დანაფარები, რომლებიც აღნიშნულ დანამატებს შეიცავს და უშუალოდ საკვები პროდუქტის ზედაპირზე ფორმირდება, ხასიათდება მნიშვნელოვანი უპირატესობით სხვა საფუთავ საშუალებებთან შედარებით. უმთავრესია პროდუქტის ხარისხის ამაღლება და ეკოლოგიური უსაფრთხოება.

საკვები საფუთავების სფეროში შედარებით ახალ მიღწევად შეიძლება ჩაითვალოს ძეხვეულის გარსი ანტიმიკრობული თვისებებით. იგი შეიცავს სპეციალურ დანამეტებს: გაზის და ტენის შთანმთქმელებს, სხვადასხვა ანტიმიკრობებს, ფერმენტებს და არომატიზატორებს, რაც აუმჯობესებს პროდუქტის სასაქონლო სახეს და მნიშვნელოვნად (2–3–ჯერ) ზრდის შენახვის ხანგრძლივობას.

პერსპექტიულ მიმართულებად ითვლება ისეთი „აქტიური“ გარსის შექმნა, რომლის გამოყენებაც საკვებად არის შესაძლებებლი. ასეთი დანაფარების ფუძეს ბუნებ-

რიგი პოლიმერები – პოლისაქარიდები წარმოადგენს. ბუნებრივი პოლიმერების აფსკი მაღალი სორბციული თვისებებით ხასიათდება და ადამიანის ორგანიზმში მოხვედროსას ადსორბირებს და გამოაქვს ლითონის იონები, რადიონუკლიდები და სხვა მავნე ნივთიერებები.

ამერიკელმა ბიოტექნოლოგებმა შეიმუშავეს ხილისა და ბოსტნეულის საფუთავი მასალა, რომელიც საკვებში შეიძლება გამოვიყენოთ. იგი წარმოადგენს კიბორჩხალას (ჰიტოზანი) ჯავშანის და კვერცხის ცილის პროტეინის (ლიზოცინი) თხევად ნარევს, სადაც შეიძლება ადამიანის ორგანიზმისთვის აუცილებელი ნივთიერებების შეყვანა. შემადგენლობა სითხის სახით დააქვთ, უმეტეს შემთხვევაში, მრგვალი ფორმის პროდუქტები, სადაც გარკვეული დროის შემდეგ მყარდება. დანაფარი ხასიათდება მნიშვნელოვნად უფრო მაღალი დამცავი, მათ შორის ბაქტერიციდური თვისებების კომპლექსით მაღალი სიმკვრივის პოლიეთილენთან შედარებით.

**გაყინული ქათმისათვის** ყველაზე კომპაქტურ და მოსახერხებელ საფუთავ მასალას „სარანის“ ტიპის, შეკლების, აგრეთვე ჰიდროკაუზუკის და პოლიეთილენის ფირები მიეკუთვნება. ტენის შთანთქმის მიზნით ზოგჯერ ფრინველს შეფუთვამდე ქაფლისტიროლის ან ქაფპოლივინილქლორიდის ხონჩაზე ათავსებენ.

**ნატურალური ყველის** შესაფუთდ, რომლის დაცვაც აუცილებელია ბაქტერიებისაგან, ტენისაგან და ჟანგბადის შედწევისაგან, ორივე მხრიდან ტენმედეგდანაფარიანი, უმეტეს შემთხვევაში, „სარანის“ ტიპის ან ჰიდროქლორიდკაუზუკისგან დამზადებული ცელოფანი გამოიყენება. ასეთი შეფუთვით ყველის შენახვა შესაძლებელია 3 დღე-დამის განმავლობაში. უფრო ხანგრძლივი შენახვისათვის (5–8 დღედამე) შეფუთვას მრავალშრიანი ფირით აწარმოებენ – ცელოფანი-სარანი-პოლიეთილენი (გამოსადეგია ვაკუუმში შესაფუთად); პოლიეთილენტერეფტალატი-სარანი-პოლიეთილენი; პოლიამიდი-სარანი-პოლიეთილენი ან პოლიპროპილენი-პოლიეთილენი-სარანი-პოლიეთილენი.

**ძრნარ ყველს** (იგი უფრო მდგრადია ნატურალურთან შედარებით, რადგან დამზადების პროცესში ხდება მისი პასტერიზაცია) ფუთავენ ფოლგაში, რომელიც დაფარულია ვინილქლორიდისა და ვინილაცეტატის თანაპოლიმერის ფუძეზე დამზადებული ლაქით; კომბინირებულ მასალაში ქაღალდი-ფოლგა-პოლიეთილენი; პოლივინილქლორიდის ან „სარანის“ ტიპის ფირში. ყველი შეიძლება დაფასოვდეს აგრეთვე ცვილით დაფარულ ცელოფანში, რომლის შემადგენლობაშიც შედის ცერეზინი და დაბალმოლეკულური პოლიეთილენი. ასეთ შემთხვევაში მდნარ ყველს ასხამენ პაკეტებში და უტარ-

ბენ პერმეტიზაციას შედუღებით. ფართოდ არის გავრცელებული მდნარი ყველის დაფასოება ხისტ ტარაშიც, მაგალითად, დარტყმისადმი გამძლე პოლისტიროლის ჭიქაში.

გარდა ხორცისა, ხშირად მოიხმარება და ერთ-ერთი მაღლუჭებადი პროდუქტია **თევზეული**, რომლის შენახვის ვადა უფრო ნაკლებია ხორცთან შედარებით. ეს აისწენება თევზში შემცველი ადგილად ჟანგვადი ცხიმით და გარე ზემოქმედებისადმი მეტად მგრძნობიარე, არამდგრადი მიოზინით (ფიბრილური ცილა, კუნთების შემჯუმშავი ბოჭკოს ერთ-ერთი ძირითადი კომპონენტი – მიოფიბრილი). იგი შეადგენს კუნთების ცილის საერთო რაოდენობის 40-60%). ყოველივე ამის გამო საფუთავი მასალა და ფუთაში შექმნილი გარემო საიმედოდ უნდა იცავდეს პროდუქტს ცილითა და ცხიმით გაფუჭებისგან, ატმოსფერული ჰაერით დაჟანგვის, მიკროორგანიზმების ზემოქმედებისა და ტენის კარგვისგან, რაც ხელს უწყობს მისი ხარისხის გაუარესებას და გაფუჭებას. თევზეულის ხარისხის შედარებით ხანგრძლივი დროის განმახლობაში შენარჩუნებას უზრუნველყოფს დაბალი ტემპერატურა, ზოგჯერ  $-30^{\circ}\text{C}$ -მდე. გაყინული თევზის შესანახად გამოიყენება სხვადასხვა პოლიმერული აფსკი ან დანაფარები. ამ მიმართულებით კარგ შედეგს იძლევა პოლივინილის სპირტის ფუძეზე დამზადებული დანაფარები, რომლებიც სითხის სახით ადვილად დაიტანება თევზის ზედაპირზე და შემდგომ იყინება ხანგრძლივი შენახვის მიზნით. ეს მეთოდი განსაკუთრებით კარგ შედეგს იძლევა ძვირფასი, ზუთხისებრი ჯიშის თევზულის დასამუშავებლად.

კულინარული თევზის ნაწარმის შეფუთვას აწარმოებენ კომბინირებული მასალებით „სარანის“, პოლიპროპილენის და პოლივინილქლორიდის გამოყენებით, რომლებიც ცხიმგამძლე მასალებს მიეკუთვნება. მცირე სამომხმარებლო პროდუქტის შეფუთვისათვის „პოლიეთოლენი–პოლიამიდი“ გარსის გამოყენება შემდგომი ვაკუუმირებით მისი აირგაუმტარობის გამო საშუალებას იძლევა შეიზღუდოს მიკრობიოლოგიური დაბინძურების შესაძლებლობა ტრანსპორტირებისა და შენახვისას, აგრეთვე აცილებული იქნას ასეთი პროდუქციის ცილოვანი და ცხიმით გაფუჭების პროცესი.

ნედლ, ახალ თევზს ფუთავენ ბადეში ან პოლიეთოლენის პაკეტში. სითხის შთანთქმის მიზნით, ზოგჯერ პაკეტში ქაფპოლისტიროლს აფენენ. გაყინული თევზის შესაფუთად იყენებენ აგრეთვე ცელოფანს, პოლიეთოლენს ან მუყაოს ყუთს, რომელიც შიგნიდან დაფარულია პოლიეთოლენის ან ვინილიდენქლორიდისა და ვინილქლორიდის თანაპოლიმერით.

შედარებით რთულია საფუთავის შერჩევა შებოლვილი თევზისათვის. ამ შემთხ-

ვევაში ძირითადი მოთხოვნაა ცხიმოვანი ნაწილის დაცვა პაერის ქანგბადისაგან, რასაც უზრუნველყოფს ვაკუუმური შეფუთვა შეკლების, მცირეშედწევადობის და ცხიმგამძლე აფსკით პოლივინილიდენქლორიდის და მისი თანაპოლიმერების ფუძეზე. საფუთავმა უნდა უზრუნველყოს აგრეთვე პროდუქტის სუნის შენარჩუნება, მისი დაცვა ბაქტერიებისაგან და უცხო სუნის შეღწევისაგან. ამიტომ შებოლვილი თევზის ვაკუუმში შესაფუთად გამოიყენება აგრეთვე მრავაშრიანი ფირი, როგორიცაა ცელოფანი—პოლიეთილენი, პოლიეთილენტერეფტალატი—ცელოფანი—პოლიეთილენი, პოლიამიდ-12-ის ფირი. ეს უკანასკნელი თევზის გათბობის შესაძლებობას იძლევა საფუთიდან მისი ამოღების გარეშე.

დამარილებული თევზისათვის ხშირად იყენებენ ხის კასრს ან ყუთს, რომელიც ამოგებულია შედუღებით ჰერმეტიზირებული პოლიეთილენის ან პლასტიფიცირებული პოლივინილქლორიდით. მარილესნარში თევზს აფასოებენ დაბალი სიმკვრივის პოლიეთილენის ქილაში და უტარებენ ჰერმეტიზაციას იგივე პოლიმერის სახურავით.

განსაკუთრებით ძვირფასი ხარისხის თევზის, შავი და წითელი ხიზილალის საფუთავს, რომლებიც ყველაზე ხშირად მომხმარებელს ულუფების სახით მიეწოდება, უნდა გააჩნდეს არა მარტო მაღალი ბარიერული თვისებები, არამედ სამომხმარებლო ხარისხიც, კერძოდ, განსაკუთრებული დიზაინი. ასეთი პროდუქციის ხანგრძლივი შენახვისათვის გამოიყენება შედარებით ძვირი, გამჭვირვალე გარსი: პოლიეთილენტერეფტალატი—თანაპოლიმერი „ბინილიდენქლორიდი-ბინილქლორიდი“, პოლიამიდი—თანაპოლიმერი „ბინილიდენქლორიდი-ბინილქლორიდი“, პოლიეთილენტერეფტალატი—პოლიამიდი და სხვა.

პიგროსკოპული საკონდიტრო ნაწარმი (კარამელი, ირისი) იფუთება წყალგაუმტარ, უმთავრესად პოლიპროპილენის ფირებში, აგრეთვე კომბინირებულ მასალაში – პოლიეთილენი—ფოლგა. ცელოფანის გამოყენება ამ შემთხვევაში იმით არის შეზღუდული, რომ პიგროსკოპულ პროდუქტთან შეხებისას იგი მყიფდება. ზოგიერთი მასალის ფირის გამოყენება გამნელებულია მაღალმწარმოებლურ ავტომატებზე შეფუთვისას, რაც გამოწვეულია ელექტროსტატიკური მუხტის წარმოქმნით.

ნაკლებად პიგროსკოპული საკონდიტრო ნაწარმი (მაგალითად, უელეს კამფეტი, მარმელადი) შეიძლება შეიფუთოს არალაქირებული ცელოფანის ან ცელულოზის აცეტატის ორთქლგამტარ ფირებში. ხანგრძლივი შენახვისათვის პრაქტიკულად არაპიგროსკოპული შოკოლადის ნაწარმის შესაფუთად სარგებლობენ კომბინირებული მასა-

ლებით პოლიეთილენტერეფტალატი-ფოლგა-პოლიეთილენი. ასეთი საფუთავი ხელს უშლის დაობებას და ცხიმისა და შაქრის მიგრაციას შოკოლადის ნაწარმის ზედაპირზე მაღალი ტემპერატურის პირობებში.

პურფუშეულს დაობების ასაცილებლად და პიგიენის პირობების დაცვის მიზნით უპირატესად პოლიეთილენის ან პოლიპროპილენის ფირში ფუთავენ. აუცილებლობის შემთხვევაში საფუთავს უტარებენ პერმეტიზაციას სპეციალურ ავტომატებზე პლასტმასის ან ლითონის მომჭერით.

განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს პოლიამიდ-12 ფირის გამოყენება გაყინული ცომის შესანახად ან პურის გამოსაცხობად. ასეთნაირად შეფუთული პურის შენახვა სტერილიზაციის შემდეგ 7 თვემდეja შესაძლებელი.

ახალი ბოსტნეულის და ხილის შესაფუთად დიდ მნიშვნელობას დებულობს სელექციური აირგამტარი მასალები (მაგალითად, რომელშიც უპირატესად შეაღწევს  $\text{CO}_2$ , ხოლო ნაკლები ინტენსივობით –  $\text{O}_2$ ). ეს უზრუნველყოფს აღნიშნული პროდუქტების ხანგრძლივ შენახვას. ამ მიზნით ყველაზე გამოსადეგია სილიციუმორგანული კაუჩუკის, აგრეთვე ჰიდროქლორიდკაუჩუკის ფირი. გარდა ამისა, შესაძლებელია პოლიეთოლენის (მათ შორის პერფორირებული), პოლივინილქლორიდის პლასტიფიცირებული და ცელულოზის აცეტატის ფირების გამოყენება.

რძეს, რძის პროდუქტებს და წვენებს აფასოებენ ქაღალდში, რომელიც შიგნიდან დაფარულია პოლიეთილენით, ხოლო გარედან – პარაფინით. თხევადი პროდუქტებისათვის, რომლებიც სტერილიზაციას ექვემდებარება, ასევე გამოიყენება ქაღალდი, რომელიც პოლიპროპილენით არის დაფარული და კომბინირებული მასალა – ქაღალდი-ფოლგა-პოლიპროპილენი. ნახევარფაბრიკატებისა და კონცენტრატების შესაფუთად, ჩვეულებრივ, გამოიყენება კომბინირებული მასალები ფოლგის შუალედური ფენით. მაგალითად, პოლიეთილენტერეფტალატი-ფოლგა-პოლიეთილენი, ქაღალდი-ფოლგა-პოლიეთილენი. იყენებენ აგრეთვე ერთფენიან, მაგალითად, პოლივინილსპირტის ან პოლიეთილენის ფირებს, მრავალშრიან ფირებს „სარანი“-ცელოფანი-„სარანი“, აგრეთვე ქაღალდს წყლის დისპერსიიდან დატანილი დანაფარით ვინილი-დენქლორიდის და ვინილქლორიდის თანაპოლიმერის ფუძეზე. ზოგჯერ, მაგალითად, ყავის შეფუთვისას, გამოიყენება მუყაოს ყუთი, რომელიც „სარანის“ ტიპის ფირით არის ამოგებული.

პოლიმერული საფუთავი საიმედოდ იცავს კონცენტრატებს და ნახევარფაბრიკატებს ტენის შედწევისაგან, დანამცეცებისა და დამძაღებისაგან. ზოგიერთ შემთხვევაში

საკვებ კონცენტრატებში შენახვის დროს მათი სტაბილურობის გასაზრდელად შეაქვთ მიკროგაფსულირებული ცხიმი და სხვა სურნელოვანი ნივთიერებები.

პლასტმასის მაღალი მექანიკური სიმტკიცე მანქანათმშენებლობაში დიოთონის ნაცვლად მისი გამოყენების შესაძლებლობას იძლევა, რაც მანქანათა ნაწილების წონის მნიშვნელოვან შემცირებას განაპირობებს. გარდა ამისა, ეკონომიას უწევს დეფიციტური ფერადი ლიოთონების ხარჯს. განსაკუთრებული მაღალი სიმტკიცე, რაც ფოლადის სიმტკიცეს უტოლდება, გააჩნია ე.წ. მინაპლასტებს, რომლის ფუძეს დანაწევრუბული, უმეტეს შემთხვევაში ეპოქსიდის, პოლიეთერის ან სხვა ფისიო შეკავშირებული მინის ბოჭკო წარმოადგენს. იგი პრაქტიკულად არის არმირებული პლასტმასი, რომელმაც მანქანათმშენებლობაში მეტად ფართო გამოყენება პოვა. პლასტმასისგან დამზადებულ ნაკეთობას არ ესაჭიროება რაიმე დამატებითი მექანიკური დამუშავება და არ განიცდის კოროზიას, ამიტომ, გარდა მანქანათმშენებლობისა, მას ფართოდ იყენებენ სხვადასხვა აპარატების, ტუმბოების, მილების, ონკანების და ა.შ. დასამზადებლად, ქიმიურ და სასურსათო წარმოებაში – ტარის და საფუთავი მასალების საწარმოებლად, მედიცინაში – ქირურგიული ძაფების, კბილისა და ძვლის პროთეზის, ინსტრუმენტებისა და ხელსაწყოების დასამზადებლად.

## ગોધુરાંગુરા

1. თქმოსაშვილი გ, გოგოლაძე გ. მასალათმცოდნეობა. თბილისი, „ტექნიკური უნივერსიტეტი“, 2008, გვ. 262;
  2. გორგოძე ე. მასალათმცოდნეობა. თბილისი, „განათლება“, 1984, გვ. 494;
  3. Лахтин Ю.М., Леонтьева В.П. Материаловедение. М., «Машиностроение», 1990, с. 527;
  4. Жадан В.Т., Гринберг Б.Г., Никонов В.Я. Технология металлов и других конструкционных материалов. М., «Высшая школа», 1970, с. 703;
  5. Любешкина Е.Г. Полимерные материалы для упаковки пищевых продуктов: требования и принципы выбора. «Полимерные материалы», 2009, №4, с. 4-10;  
<http://www.polymerbranch.com/b4d168b48157c623fdb095b4a565b5bb/075b007a877a4e4221fb61f3a7e369bd/magazineclause.pdf>
  6. Меньшиков А. Г., Реброва Е. М. Нержавеющие стали для пищевой промышленности.  
<http://www.metalika.ua/node/324324>
  7. Конструкционные материалы и покрытия в пищевом машиностроении.  
<https://studopedia.info/8-69763.html>
  8. Материалы, используемые в пищевом оборудовании. Коррозионостойкие стали, пищевые полимеры и прочие материалы для пищевой промышленности.  
<https://www.kp.ru/guide/pishchevaya-nerzhaveika.html>
  9. Полимеры в пищевой промышленности (polymers.in food industry)  
<http://kursak.net/polimery-v-pishchevoy-promyshlennosti/> © kursak.net
  10. Полимеры в пищевой промышленности. (Конструкционные полимерные материалы и покрытия в пищевой машинностроении; Тара и упаковочные материалы в пищевой промышленности). Энциклопедия полимеров, под редакцией Каргина В.С. Дата в источнике: 1972 год; Март 25, 2015.  
<https://mplast.by/enciklopedia/polimeryi-v-pishchevoy-promyshlennosti/>
  11. Применение различных металлов в современной промышленности.  
[infolab.ru/index.php?id=text&folderName=first&id2=24;](http://infolab.ru/index.php?id=text&folderName=first&id2=24)
  12. Упаковочные материалы в пищевой промышленности.  
<https://studfiles.net/preview/940729/page:12/>
  13. Пищевой алюминий в ГОСТах и СанПин. [https://www.metmk.com.ua/5\\_pal.html](https://www.metmk.com.ua/5_pal.html)

<b>შესავალი</b>	3
<b>თავი I. ლითონის კრისტალური აგებულება</b>	4
1.1. ლითონების კლასიფიკაცია	4
1.2 ლითონის კრისტალური აგებულება	6
<b>თავი II. სუფთა ლითონების კრისტალიზაცია</b>	13
2.1. კრისტალიზაციის პროცესის ენერგეტიული პირობები და მექანიზმი	13
2.2. მეორეული გარდაქმნები სუფთა ლითონებში	17
<b>თავი III. ლითონის მექანიკური თვისებები</b>	22
3.1. ზოგადი მიმოხილვა	22
3.2. ლითონის მექანიკური თვისებების მახასიათებლები	23
3.3. ცივჭედვა და რეკრისტალიზაცია	27
<b>თავი IV. შენადნობთა აგებულება</b>	31
4.1. მიკრომექანიკური ნარევი	31
4.2. ქიმიური ნაერთი	32
4.3. მყარი ხსნარი ერთ-ერთი კომპონენტის ფუძეზე	33
4.4. მყარი ხსნარი ქიმიური ნაერთის ფუძეზე	35
4.5. მყარი ხსნარის მოწესრიგება	36
<b>თავი V. რკინა-ნახშირბადის შენადნობები</b>	38
5.1. რკინა-ნახშირბადის შენადნობთა სისტემის მდგომარეობის დიაგრამა	38
5.2. ნახშირბადიანი ფოლადი	41
5.3. თუჯი	47
<b>თავი VI. ლითონის თერმული დამუშავება</b>	52
6.1. მოწვა	52
6.2. ფოლადის წრთობა	55
6.3. მოშვება	58
<b>თავი VII. ლეგირებული ფოლადი</b>	60
7.1. მალეგირებელი ელემენტების გავლენა ფოლადის თვისებებზე	60
7.2. ლეგირებული ფოლადის კლასიფიკაცია და ნიშანდება	61
7.3. საკონსტრუქციო ლეგირებული ფოლადი	63
<b>თავი VIII. ფერადი ლითონები და შენადნობები</b>	68
8.1. ალუმინი და მისი შენადნობები	68

8.2. სპილენბი და მისი შენადნობები . . . . .	71
<b>თავი IX. არალითონური მასალები . . . . .</b>	<b>75</b>
9.1. პოლიმერების კლასიფიკაცია . . . . .	75
9.2. ზოგადტექნიკური დანიშნულების თერმოპლასტები და თერმორეაქტიული პლასტმასები . . . . .	79
9.3. პლასტმასების მექანიკური თვისებები . . . . .	82
9.4. პოლიმერების დაცველება . . . . .	84
9.5. კაუჩუკი და რეზინი . . . . .	85
9.6. აფსენარმომქმნელი და ლაქსალებავი მასალები. ემალი . . . . .	89
9.7. საკონსტრუქციო წებო . . . . .	90
9.8. აირსავსე პლასტმასები . . . . .	91
<b>თავი X. საკონსტრუქციო მასალები სასურსათო წარმოებაში . . . . .</b>	<b>93</b>
10.1. ზოგადი მიმოხილვა . . . . .	93
10.2. კვების პროდუქტების ტექნოლოგიური გარემო . . . . .	94
10.3. ტექნოლოგიური მოწყობილობის მუშაობის უნარიანობა და საიმედოობა . . . . .	96
10.4. სასურსათო წარმოებაში გამოყენებული მასალებისადმი წაყენებული ძირითადი მოთხოვნები . . . . .	97
10.5. ლითონური საკონსტრუქციო მასალები . . . . .	101
10.6. უჟანგავი ფოლადები სასურსათო და გადამამუშავებელ მრეწველობაში . . . . .	107
10.7. ფერადი ლითონები და შენადნობები სასურსათო წარმოებაში .	111
10.8. პოლიმერული საკონსტრუქციო მასალები და დანაფარები .	114
10.9. ტარა და საფუთავი მასალები . . . . .	118
<b>ლიტერატურა . . . . .</b>	<b>131</b>